ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 5 იანვარი, 2011 №3 (5388) ფასი: 30 თეთრი

## რას გვიშვრება მთავრობა და ოპოზიცია

გვ.4



გასა ვირებელი ჯერ კიდევ ბევრია

# მომავალი პრეზიდენტი პაატა ბურჭულაძე იქნება?!

გვ.2

თუ გავიხსენებთ საქართველოს ისტორიას ბოლო 18 წლის განმავლობაში, ყველას გაახსენდება ბევრი პოლიტიკური კრიზისი





„ჩვენი ოპოზიცია მიშაზე უარესია“

გვ.3

## „დავით ბაქრაძემ ინგლისურის მასწავლებელი სახლში გამოკეტა“

## ვეტერანებს 400-ლარიანი ჯარიმების გადახდა დაეკისრათ

გვ.2

## ნინო ბურჯანაძე დიპლომატიურ კორპუსს მიმართავს

გვ.4



## გოგა ხაინდრავა ხელისუფლებას ცინიზმსა და უპასუხისმგებლობაში ადანაშაულებს

გვ.4





ბათუმში ტა რის დანგრევა ისევ დღის წესრიგში დგას

გვ.5

## თურქებმა აჭარა ძალიან იაფად იყიდეს



## ლაშა ჩხარტიშვილი გმირთა მოედანზე მიმდინარე მოვლენებს დიქტატურას უწოდებს

გვ.4



გვ.6

## ჯონ ტეფტიმ აგვისტოს ომზე ტყუილი დაწერა



## 3090

### sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი


ISSN 1987-9385

6 საპროტესტო აქციების გამართვა ყოველი თვის 25 რიცხვში იგეგმება

2 „სახალხო კრება“ ომის ვეტერანების დარბევას სამარცხვინო ფაქტს უწოდებს

4 გია ბარამიამ ვეტერანთა დარბევის ფაქტზე კომენტარის გაკეთება არ ისურვა

5 ჯორჯ ბუშის თანაშემწის ცხედარი ნაგავსაყრელზე იპოვეს

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

ნანა მიშელაშვილი

# მომავალი პრეზიდენტი პაატა ბურჭულაძე იქნება?!

## თუ გავიხსენებთ საქართველოს ისტორიას ბოლო 18 წლის განმავლობაში, ყველას გაახსენდება ბევრი პოლიტიკური კრიზისი

**პაატა ბურჭულა ე შესა ლოა პოლიტიკაში წავიდეს. კულუარული ინფორმაციით, მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში შესა ლოა პაატა ბურჭულა ემ იყაროს კენჭი.**

პოლიტიკის კუთხით პაატა ბურჭულაძეს აქამდე არასდროს უაქტიურია, თუმცა, ორ წელიწადში შესაძლოა ბურჭულაძე საქართველოს პრეზიდენტი გახდეს.

მომავალი საპრეზიდენტო არჩევნები 2013 წელს არის, მანამდე ჯერ დიდი დროა, თუმცა, უკვე მიდის საუბარი იმაზე, თუ ვინ შეიძლება იყოს ქვეყნის პრეზიდენტი, პრემიერი და პარლამენტის თავმჯდომარე.

ერთ-ერთი ვერსიით, საქართველოს მომავალ პრეზიდენტად პაატა ბურჭულაძე მოიაზრება, პრემიერად — მიხეილ სააკაშვილი, ხოლო პარლამენტის თავმჯდომარედ — დავით ბაქრაძე.

კონსტიტუციაში შეტანილი ახალი ცვლილებების თანახმად, პრეზიდენტი იმ ფუნქციების მატარებელი აღარ იქნება, რაც ამჟამად აქვს. მომავალი პრეზიდენტი სხვა საქმეებით იქნება დაკავებული. ის ძირითადად არბიტრის ფუნქციას შეასრულებს. ასევე წარმოადგენს ქვეყანას საერთაშორისო არენაზე.

ქვეყნის საერთაშორისო არენაზე წარდგენის კუთხით პაატა ბურჭულაძეს საკმაოდ ბევრის გაკეთება შეუძლია. პაატა ბურჭულაძე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში წარმატებით მოღვაწეობდა და მის სახელს ბევრი კეთილი საქმე უკავშირდება.

56 წლის პაატა ბურჭულაძე ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას და არის ფონდ „იავნანას“ პრეზიდენტი. არის თბილისის საპატიო მოქალაქე, მინიჭებული აქვს ღირსების ორდენი.

ახალი კონსტიტუციით, პრეზიდენტის დისტანცირება მოხდება ყოველდღიური პოლიტიკისგან და იგი ნეიტრალური არბიტრის როლში იქნება. ასე რომ, თუ ვინმეს ჰგონია, რომ ქვეყნის მომავალი პრეზიდენტი მაინცდამაინც გამოცდილი პოლიტიკოსი უნდა იყოს, ცდება.

მომავალი პრეზიდენტი წარმომადგენელი იქნება საგარეო ურთიერთობებში, ის პირდაპირ არჩეული უმაღლესი პოლიტიკური პირი იქნება, თუმცა, პრეზიდენტი აღმასრულებელ ფუნქციებში აღარ ჩაერევა.

მართალია, საპარლამენტო არჩევნების წინ გავრცელდა ხმები, რომ პაატა ბურჭულაძე თბილისის ერთ-ერთ რაიონში კენჭს იყრიდა, მაგრამ მაშინ ეს ინფორმაცია არასწორი გამოდა. ორი წლის წინ, პაატა ბურჭულაძეს საპარლამენტო არჩევნებში კენჭი არ უყრია. გადაწყვეტს თუ არა ბურჭულაძე ახლა საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭისყრას, ეს თავად მასზეა დამოკიდებული.

ამ დრომდე პაატა ბურჭულაძეს არც ერთი საჯარო განცხადება არ გაუკეთებია, რომ ის რაიმე ფორმით პოლიტიკაში აპირებს წასვლას, მით უფრო, მას არაფერი უთქვამს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით. ამის მიუხედავად, კულუარებში ვრცელდება ხმები, რომ საქართველოს მომავალ პრეზიდენტად პაატა ბურჭულაძე მოიაზრება.

კარგა ხანია მიდის საუბარი იმაზე, რომ მიხეილ სააკაშვილი მომავალში პრემიერობისთვის ემზადება. ექსპერტებისა და პოლიტოლოგების ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ სააკაშვილი ვლადიმერ პუტინის მაგალითს გაიმეორებს და პრეზიდენტობის შემდეგ პრემიერის სავარძელში აღმოჩნდება. ექსპერტების მეორე ნაწილი კი დარწმუნებულია, რომ სააკაშვილი პრემიერი არ გახდება.

რადიკალური და ზომიერი ოპოზიცია კი ამტკიცებს, რომ დასავლეთი და აშშ მიხეილ სააკაშვილს ურჩევს, არ გაიმეოროს რუსეთის პრემიერის მაგალითი და არ გახდეს პრემიერი.

რას ურჩევენ სხვადასხვა რანგის პოლიტიკოსები სააკაშვილს და ვის რჩევას გაითვალისწინებს ან არა, ეს ყველაფერი მას შემდეგ გაირკვევა, რაც საარჩევნო ციებ-ცხელება დაიწყება.

რაც შეეხება მომავალი პარლამენტის თავმჯდომარეს, ვინ გახდება საკანონმდებლო ორგანოს სპიკერი, ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელი პოლიტიკური ძალა მოვა უმრავლესობით. სწორედ უმრავლესობით მოსული ძალა აკომპლექტებს მთავრობასა და საპარლამენტო კომიტეტებს.

გახდება თუ არა მომავალი პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე? ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი კონფიგურაციითა და რაოდენობით შევა ნაციონალური მოძრაობა პარლამენტში.

პარლამენტის ისტორიაში იყო პერიოდები, როდესაც ერთი და იგივე ადამიანი სხვადასხვა მოწვევის პარლამენტში სპიკერი იყო. გახდება თუ არა დავით ბაქრაძე მეორედ პარლამენტის თავმჯდომარე, ეს 2012 წელს გაირკვევა. მანამდე კი, ყველა პოზიცია მხოლოდ ვარაუდებისა და პროგნოზების დონეზეა.



ახალი კონსტიტუციის თანახმად, მთავრობას მთლიანად პარლამენტი აკომპლექტებს. აქამდე მთავრობის დაკომპლექტებაში ყოველთვის პრეზიდენტი მონაწილეობდა. დღემდე პარლამენტი პრეზიდენტს თანხმობას აძლევს მთავრობის დაკომპლექტებაზე, თუმცა, მთავრობის ფორმირებაში მთავარი როლი პრეზიდენტს აკისრია.

დღემდე მოქმედი ნორმით, პარლამენტის უფლება მთავრობის დამტკიცებაში საკმაოდ შეზღუდულია. ახალი კონსტიტუციით კი, პარლამენტი ერთადერთი წყარო ხდება მთავრობის დაკომპლექტებისას.

არსებული კანონმდებლობის მიხედვით, მთავრობა უფრო მეტად პრეზიდენტის წინაშეა პასუხისმგებელი, ვიდრე პარლამენტის. მას შემდეგ რაც ახალი კონსტიტუცია ამოქმედდება, მთავრობა მთლიანად პასუხისმგებელი იქნება საკანონმდებლო ორგანოს წინაშე.

ევროპული ქვეყნების კონსტიტუციების დიდი ნაწილის თანახმად, პოლიტიკური ძალა, რომელიც საპარლამენტო არჩევნებს იგებს, სწორედ ის პოლიტიკური ძალა მართავს ქვეყანას.

საპრეზიდენტო არჩევნებზე მეტად, მომავალში გადამწყვეტი იქნება თუ ვინ მოიგებს საპარლამენტო არჩევნებს. პარტიები ან პოლიტიკური ალიანსები, რომლებიც ახალ საპარლამენტო არჩევნებს მოიგებენ, მთავრობას დააკომპლექტებენ.

პარლამენტის თავმჯდომარის შეფასებით, მთავრობაში მოსვლის გზა არის ძალიან მარტივი: „თუ გინდა მოხვიდე მთავრობაში, უნდა მოიგო საპარლამენტო არჩევნები“.

— მთავარი აქცენტი გადადის საპარლამენტო არჩევნების მოგებაზე. ეს არის სტაბილურობის ძირითადი წყარო, ჩვენ გადავდივართ საარჩევნო ბრძოლაზე. ქუჩის ბრძოლიდან, რომელიც ბოლო 20 წელია არსებობს, ჩვენ უნდა გადავიდეთ საარჩევნო ბრძოლაზე, — ასეთია დავით ბაქრაძის პოზიცია.

იმ შემთხვევაში, თუ მომავალ პარლამენტში არც ერთ ძალას არ ექნება საპარლამენტო უმრავლესობა, ნებისმიერი მცირე პარტიის ხმებს გადამწყვეტი როლი ექნება. სწორედ ამ პატარა პარტიის ხმებზე წავა „ნადირობა“, რომ მათი დახმარებით, ან კოალიციაში შესვლით უმრავლესობა შეიქმნას.

კონსტიტუციაში შეტანილი ახალი ცვლილებების ნაწილი 2012 წელს შევა ძალაში, ნაწილი კი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის.

კონსტიტუციაში შეტანილი ახალი ცვლილებების შემდეგ, ახლებურად იქნება განსაზღვრული პარლამენტის, პრემიერისა და პრეზიდენტის ფუნქციები.

რაც შეეხება პრეზიდენტს, მომავალი პრეზიდენტი აღმასრულებელ ფუნქციაში აღარ ჩაერევა და ის იმოქმედებს მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს პოლიტიკური კრიზისი.

მართალია, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას თავიდან რამდენიმე ოპოზიციური ძალა აპროტესტებდა, თუმცა, ყველა ამბობდა, რომ ქვეყნის მთავარ კანონში ცვლილებები შესატანი იყო.

მმართველი პარტია კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობას იმითაც ხსნიდა, რომ არსებული სისტემა ვერ უზრუნველყოფდა კრიზისებიდან დაცვას და კრიზისების განმუხტვას. კრიზისი მუდმივად ქუჩაში გადადიოდა და სხვადასხვა ფორმას იღებდა.

— თუ გავიხსენებთ საქართველოს ისტორიას ბოლო 19 წლის განმავლობაში, ყველას გაახსენდება ბევრი პოლიტიკური კრიზისი. პოლიტიკური კრიზისი, რომელიც თავიდან ვერ ავიცილეთ, პოლიტიკური კრიზისი, რომელიც პოლიტიკური საშუალებებით ვერ განვმუხტეთ. ყველაზე ცუდი გამოვლინება იყო 1991-92 წლის მოვლენები, სამოქალაქო ომი, დაპირისპირება, ესეც იყო პოლიტიკური კრიზისი, რომელიც ნორმალური საშუალებებით ვერ განიმუხტა და ძალადობამდე მიგვიყვანა, — ასეთია დავით ბაქრაძის მოსაზრება.

პარლამენტის თავმჯდომარე დარწმუნებულია, რომ კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებები უზრუნველყოფს იმას, რომ სამომავლოდ კრიზისები თავიდან ავიცილოთ.

2011 წლის განმავლობაში პარტიებს საშუალება ექნებათ მოემზადონ, რათა 2012 წლის და 2013 წლის არჩევნებში წარმატებას მიაღწიონ.

## ვეტერანებს 400-ლარიანი ჯარიმების გადახდა დაეკისრათ

საპროტესტო აქციის დაშლისას დაკავებულ ვეტერანებს თბილისის საქალაქო სასამართლომ 400-400-ლარიანი ჯარიმების გადახდა დააკისრა.

როგორც „მედიანიუსს“ მათმა ერთ-ერთმა ადვოკატმა გელა ნიკოლაიშვილმა განუცხადა, ადმინისტრაციული ჯარიმა 11-ვე პირს: მალხაზ თოფურიას, ლევან ასათიანს, შოთა იამანიძეს, ვალერიან ძებისაშვილს, დავით ზღუდაძეს, ამური რევიშვილს, ლევო ასატრიანს, ზაზა გერმანოზაშვილს, ლეონიდე ეხვაიას, ილია ჩიღოშვილსა და სერგო დვალს დაეკისრა.

დაცვის მხარე ასეთ გადაწყვეტილებას არ ეთანხმება, რადგან მიიჩნევს, რომ ვეტერანები უკანონოდ და უსაფუძვლოდ დააკავეს.

„საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები იძულებულნი გახდნენ, ტყუილები ემტკიცებინათ, თითქოსდა მათ აქციის დაშლა კი არ ჰქონდათ ნაბრძანები, არამედ ვეტერანები გზის გადაკეტვას ცდილობდნენ და ეს უნდა აღეკვეთათ“, — აღნიშნა გელა ნიკოლაიშვილმა.

მისი თქმით, დაცვის მხარე პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას სააპელაციო სასამართლოში დადგენილების მიღებიდან 10 დღის ვადაში გაასაჩივრებს. სასამართლოს დადგენილებას კი ზეგისათვის მიიღებს.

როგორც ცნობილია, სამართალდამცავებმა ვეტერანები თბილისში, გმირთა მოედანზე მიმდინარე საპროტესტო აქციის დაშლისას გუშინ დააკავეს. მათ ბრალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით წაუყენეს, რაც წვრილმან ხულიგნობასა და პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას გულისხმობს.

**მედიანიუსი**

## „ქართული პარტია“ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს

თბილისის საქალაქო სასამართლომ 400 ლარიანი ჯარიმა შეუფარდა „ქართული პარტიის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის ერთ-ერთ ლიდერს შოთა იამანიძეს, რომელიც 3 იანვარს ვეტერანი მეომრების საპროტესტო აქციის ძალადობრივი დაშლის დროს სამართალდამცავებმა დააკავეს. მას ბრალად წაუყენეს ადმინისტრაციული კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების დარღვევა, რაც წვრილმან ხულიგნობას და პოლიციელის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობას გულისხმობს.

სასამართლო პროცესზე მოსამართლემ დაცვის მხარის მიერ წარდგენილი არც ერთი მტკიცებულება დასაშვებად არ სცნო.

„ქართული პარტია“ თბილისის საქალაქო სასამართლოს 4 იანვრის გადაწყვეტილებას ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივრებს.

**მედიანიუსი**

## „სახალხო კრება“ ომის ვეტერანების დარბევას სამარცხვინო ფაქტს უწოდებს

„წარმომადგენლობითი სახალხო კრება“ გმირთა მოედანზე ომის ვეტერანების დარბევას სამარცხვინო ფაქტს უწოდებს. „სახალხო კრების“ განცხადება ჟურნალისტებს კრების თავმჯდომარემ, ნონა გაფრინდაშვილმა გააცნო. „ქვეყნის სირცხვილია, როდესაც ჯარისკაცები, თავდადებული ადამიანები მძიმე მორალურ და სოციალურ მდგომარეობაში არიან და კიდევ უფრო დიდი სირცხვილია, როდესაც ქვეყნის მთავარსარდალი, მიხეილ სააკაშვილი იმ ადამიანებს, რომლებიც საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად საქართველოს მიწა-წყალს იცავდნენ, ძალით უსწორდება“, — განაცხადა ნონა გაფრინდაშვილმა. მისივე თქმით, პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც მიხეილ სააკაშვილი ძალით უსწორდება მათ, ვისაც რაიმე სახის დისონანსი შეაქვს „მისთვის გაბრწყინებულ ქვეყანაში“. ნონა გაფრინდაშვილის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილმა საკუთარი დამოკიდებულება ქართული ჯარისადმი ჯერ კიდევ მაშინ გამოხატა, როდესაც მუხროვანის ამბოხის სპექტაკლი დადგა. „ასევე გამოხატა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, როდესაც საომარ ვითარებაში მიატოვა ჯარისკაცები და თვითონ თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. გამოხატა მაშინ, როდესაც გმირულად დაღუპული ბიჭები უპატრონოდ დაყარა, წაგებული ომი კი მოგებულად გამოაცხადა“, — განაცხადა ნონა გაფრინდაშვილმა.

მისივე თქმით, ხელისუფლებას არ შეიძლება ეპატიოს ომის ვეტერანების დარბევა. „წარმომადგენლობითი სახალხო კრება“ მიმართავს საზოგადოებას, ხმა აიმაღლოს ხელისუფლების ქმედებების წინააღმდეგ. „მივმართავთ სრულიად საქართველოს მოსახლეობას — ხმა აიმაღლეთ ხელისუფლების მხრიდან ჩვენი სამშობლოს ერთიანობისათვის, თითოეული ჩვენგანის კეთილდღეობისათვის თავდადებულ მებრძოლებზე ხელისუფლების მხრიდან განხორციელებულ სამარცხვინო ფაქტზე“, — განაცხადა ნონა გაფრინდაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

## სახალხო დამცველი მთავარ პროკურორსა და შს მინისტრს მიმართავს

საქართველოს სახალხო დამცველი ვეტერანთა აქციის დაშლის გამო მთავარ პროკურორს და შინაგან საქმეთა მინისტრს რეკომენდაციით მიმართავს. ამასთან დაკავშირებით დღეს სახალხო დამცველმა განცხადება გაავრცელა.

განცხადების თანახმად, სახალხო დამცველი ითხოვს, გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები და დადგეს იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომელთა მხრიდანაც, 2011 წლის 3 იანვარს, გმირთა მოედანზე მიმდინარე ომის ვეტერანთა აქციის დაშლის დროს, საქართველოს კანონმდებლობის დარღვევას ჰქონდა ადგილი.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ 3 იანვარს, გმირთა მოედანზე, აფხაზეთის ომში დაღუპულთა მემორიალურ დაფასთან მოშიმშილე ომის ვეტერანების აქცია საპატრულო პოლიციამ დაშალა. მასში ასევე მოყვანილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ოფიციალური ინფორმაცია, რომლის თანახმად, დაკავებულები არიან: მალხაზ თოფურია, ამურ რევიშვილი, ზაზა გერმანოზაშვილი, ლევან ასათიანი, ლევონ ასატრიანი, შოთა იამანიძე, ვალერიან ძებირაშვილი, შოთა ზღუდაძე, ლეონიდ ეხვაია, ილია ჩილოშვილი და სერგო დვალი.

საქართველოს სახალხო დამცველის ხელთ არსებული ინფორმაციით, აქციის მონაწილეები დაკავებულნი არიან საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166 ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173 ე (სამართალდამცავ ორგანოთა მუშაკების ან სამხედრო მოსამსახურეების კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) მუხლების საფუძველზე.

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აქციის მონაწილეთა მიმართ ადგილი ჰქონდა კანონმდებლობის უხეშ დარღვევას. კერძოდ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა ნაწილმა, მათ შორის 1992-1993 წლებისა და 2008 წლის საომარი მოქმედებების მონაწილეებმა, გმირთა მოედანზე პერმანენტული საპროტესტო აქციები 2010 წლის 27 დეკემბერს დაიწყეს. აქციის ფარგლებში რამდენიმე ვეტერანი ომში დაღუპულთა მემორიალთან შიმშილობდა.

ვეტერანები შიმშილობის შეწყვეტას 6 იანვრისთვის გეგმავდნენ. აქცია მიმდინარეობდა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის სრული დაცვით. აქციის მონაწილეებს დაკავებული არ ჰქონიათ გზის სავალი ნაწილი, არ გადაუკეტავთ მოძრაობა და არ დაურღვევიათ შეკრება მანიფესტაციის ჩატარებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

ასევე, არ დგინდება აქციის მონაწილეთა მხრიდან საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166 ე და 173 ე მუხლებით დადგენილ მოთხოვნათა დარღვევა.

განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ 3 იანვარს სახალხო დამცველის წარმომადგენლები შეხვდნენ აქციის მონაწილეებს და ჩამოართვეს ახსნა-განმარტებები. სახალხო დამცველი ფაქტის შეფასებისას მათ ხელთ არსებული დოკუმენტაციას, ტელეკომპანია „კავკასიისა“ და ინტერნეტ პორტალ „ინტერპრესსნეწს.გე“-ს მიერ გავრცელებული ვიდეო მასალას ეყრდნობა.

**ინტერპრესნიუსი**

## გმირთა მოედანზე გუშინ დაკავებულ ვეტერანებს 400-ლარიანი ჯარიმა შეეფარდათ

თბილისის საქალაქო სასამართლომ გმირთა მოედანზე დაკავებულ ვეტერანებს 400-ლარიანი ჯარიმა შეუფარდა. ისინი პატიმრობიდან უკვე გაათავისუფლეს.

ადმინისტრაციული კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების დარღვევის ბრალდებით, გუშინ, საპატრულო პოლიციამ გმირთა მოედანზე დააკავა ზაზა გერმანოზაშვილი, ილია ჩილოშვილი, ვალერიან ძებირაშვილი, ლევან ასათიანი, მალხაზ თოფურია, ამურ რევიშვილი, სერგო დვალი, ლევონ ასატრიანი, ლეონიდ ეხვაია, შოთა იამანიძე და შოთა ზღუდაძე.

შსს-ს ოფიციალური ინფორმაციით, აღნიშნული პირები მართავდნენ საპროტესტო აქციას საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალთან, სადაც ასევე გაშლილი ჰქონდათ თვითნაკეთი კარავი. შსს-ს განმარტებით, აქციის მონაწილეები არ დაემორჩილნენ ადგილზე გამოცხადებული საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მოთხოვნას კარვის აღების თაობაზე, გაუწიეს მათ ფიზიკური წინააღმდეგობა და მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა ნაწილმა, მათ შორის 1992-1993 წლებისა და 2008 წლის საომარი მოქმედებების მონაწილეებმა, გმირთა მოედანზე პერმანენტული საპროტესტო აქციები 27 დეკემბერს დაიწყეს. ისინი ხელისუფლებას ომის ვეტერანთა მიმართ უყურადღებობაში ადანაშაულებდნენ და მოთხოვდნენ, რომ ის ადამიანები, რომლებმაც სამშობლოს წინაშე ვალი პირნათლად მოიხადეს, სათანადოდ დაფასდნენ. ვეტერანები შიმშილობის შეწყვეტას 6 იანვრისთვის გეგმავდნენ.

**ინტერპრესნიუსი**

# „დავით ბაქრაძემ ინგლისურის მასწავლებელი სახლში გამოკეტა“

ნონა ცაბა ე

### ინტერვიუ შალვა ხაჭაპურიძესთან



***— ბატონო შალვა, დღეს 7 წელი შესრულდა, რაც მიხეილ სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტია. შეიძლება, ოპოზიციისთვის დიდად ძვირფასი და აღსანიშნავი დღე არ არის, მაგრამ, მოდით, მაინც შევაფასოთ ის პერიოდი, რაც სააკაშვილი საქართველოს ხელისუფლების სათავეშია.***

— არა, მნიშვნელოვანი დღეა გარკვეული ფაქტორების გამო. პირველი, რომ არა სააკაშვილისნაირი მმართველი, რომელიც არ გამოირჩევა დიდი ზნეობრივი და მორალური მართვის პრინციპებით, ვერასდროს გავიგებდით, რა მძიმედ იყო დაავადებული ქართველი ხალხი.

***— რას გულისხმობთ ამაში?***

— ის, რომ შემოღებულ იქნა ჩაშვების ინსტიტუტი. დღეს მეგობარი მეგობარს ადებს ხელს იმნაირ დანაშაულებებში, რაც მას არ ჩაუდენია. ასევე ბევრია შემთხვევა, როდესაც მამა შვილს ადებს ხელს, შვილი მამას, დედა — შვილს და ასე შემდეგ. იყო კონკრეტული შემთხვევაც — იმისთვის, რომ საპროცესო შეთანხმება გაკეთებოდა, დამ ძმას, უდანაშაულო



**„ჩვენი ოპოზიცია მიშაზე უარესია“**

კაცს დააბრალა ყველაფერი, თვითონ 4 წელი გაიფორმა, ძმას კი სამუდამო პატიმრობა მისცეს.

სააკაშვილმა კარგიც გააკეთა — გაიყვანა გზები, ჩაბნელებული საქართველო გაანათა, მაგრამ სააკაშვილი ერთგული დარჩა იმ პრინციპებისა, რის გამოც ის კომკავშირში მიიღეს — ანუ მან უნდა გააყალბოს არჩევნები, ქვეყანაში უნდა ჰქონდეს ტირანია, უნდა მოახდინოს ხელისუფლების უზურპირება. დააკვირდით საახალწლო დღეებს. საახალწლო კონცერტები ტარდება თავისუფლების მოედანზე და სექსუალურ აქტს პირდაპირ აჩვენებენ მთელი საქართველოს დასანახად. წამყვანები მაქვს მხედველობაში, მათი ამორალური საქციელი სცენაზე. ერთ ამბავს მოგიყვებით. ჩემთან სახლში ერთი თვის განმავლობაში ცხოვრობდა ამერიკიდან ჩამოსული ინგლისური ენის მასწავლებელი, რომელიც ჩემამდე ცხოვრობდა პარლამენტის თავმჯდომარის სახლში და თქვენ უნდა მოუსმინოთ, ეს ადამიანი რეებს ჰყვება.

***— მაინც რას ყვება ასეთს?***

— როგორ გამოკეტეს სახლში, საჭმელს როგორ არ აჭმევდნენ.

***— საკმაოდ საინტერესო და სკანდალური ისტორიაა...***

— დიახ, მართლაც რომ საინტერესოა. ამ გოგოს რეკლამებია გამოკრული მთელ თბილისში, როგორ გამოკეტეს სახლში და აჭმევდნენ მხოლოდ კარტოფილს და პურს, რის გამოც შემდეგ საავადმყოფოში მოხვდა, გადასხმები გაუკეთეს, ისე ცუდად იყო.

***— რას ჰყვება ბაქრაძის ოჯახის შესახებ?***

— პირველ რიგში ვკითხე, ინგლისური როგორ იცის-მეთქი და მითხრა, საშუალო დონეზე იცისო. ამერიკაში ნაცხოვრები თავისუფალი ადამიანია და ასეთ რამეს მეუბნება, ამ ადამიანებს არ აინტერესებთ თქვენი ქვეყანა, მათთვის, განსაკუთრებით მისი ცოლისთვის და მისთვის, მთავარია, როგორ ჩაიცვან, სად გაატარონ კარგი დრო და ასე შემდეგ. ტყუილად გგონიათ, რომ ის ქვეყნის მეორე პირია და ქვეყანაზე ზრუნავსო და ამას მეუბნება ამერიკელი.

აცხადებენ, რომ გიგი უგულავას მეუღლის ორგანიზებული იყო თბილისის მერიის წინ გამართული კონცერტი. გიგი უგულავას პირველი ცოლისგან ჰყავს ორი ბავშვი, ის ბავშვები ჩემი ბავშვების მეგობრები არიან და მისმა შვილებმაც უნდა, რომ ამას უყურონ, რაც იმ სცენაზე მოხდა?! არ იზრდებიან გიგი უგულავას ბავშვები ისე, რომ ამას უყურონ. ძალიან ზნეობრივ ოჯახში იზრდებიან, მინდა გითხრათ. ანუ რა ხდება, იცით...

***— რა ხდება ბატონო შალვა?***

— ხშირად უსვამენ ოპოზიციონერებს ამ კითხვას, რას ნიშნავს სულიერი ექსპანსია და ამ კითხვაზე პასუხს ვერ იძლევა ოპოზიცია. არსებობს ასეთი ცნება — სუბკულტურა. სუბკულტურა ნიშნავს იმას, რომ შენ შემოგაქვს ადამიანის ცნობიერებაში ისეთი კულტურა, რომელიც ამდენ ხანს მისთვის მიუღებელი იყო და შენ ამით ახდენ ამ ადამიანების ზომბირებას, მენტალიტეტის შეცვლას და ასე შემდეგ. ცდილობ, ჩამოაყალიბო ახალი ადამიანი. ამას არც მალავს ჩვენი ხელისუფლება, არაერთხელ უთქვამთ და ამ ბოლო დროს რატომღაც ვანო მერაბიშვილი გახდა ამ ხელისუფლების იდეოლოგი, იმიტომ, რომ ყველაზე მეტს ის ლაპარაკობს, აფრქვევს იდეოლოგიურ სიბრძნეებს და თან მხოლოდ რუსულ გაზეთებს აძლევს ინტერვიუებს. მე წლის ბოლოს რუსეთში გახლდით და იქ უფრო მეტი მოვისმინე მათ შესახებ და რატომ ჰგონიათ სააკაშვილს და მერაბიშვილს, რომ რუსეთი აგინებთ მათ? ერთი საგინებელი გადაცემაც კი ვერ ვნახე მოსკოვში ყოფნის დროს. ცენტრალურ არხებზე გადიოდა ფილმები, როგორი მაგარია პატრული და როგორი მაგარია ვანო მერაბიშვილი.

ამათი მიზანია, რომ გარდაქმნან ადამიანის ფსიქოლოგია და ასეთი მცდელობა ჰქონდათ კომუნისტებსაც და რითი დამთავრდა, ისიც კარგად გვახსოვს. ეს მოიტანა სააკაშვილმა, მან ასევე მოიტანა საქართველოსთვის უბედურება. უამრავი ადამიანი გამოამწყვდია ციხეში. გუშინ ამაზრზენი ფაქტი მოხდა, ვეტერანები აყარეს, მათ ოფიციალურად ჰქონდათ ნებართვა, რომ იქ ყოფილიყვნენ და ჩაეტარებინათ აქცია, რატომ აყარეს აქცია? იმიტომ, რომ გამივა მაინცო, იძახის ეს კაცი. რატომ გასდის ყველაფერი? იმიტომ, რომ ოპოზიციის 90% შეკრულია სააკაშვილთან.

***— სწორედ ოპოზიციაზე მინდოდა მეკითხა...***

— დააკვირდით, რა ხდება. ოპოზიციის ერთი ნაწილი აქ იღებს თანხებს ხელისუფლებისგან, პირდაპირ სააკაშვილისგან და მეორე ნაწილი, ვითომ მაგარი ოპოზიცია რომ არის და რუსეთში რომ დადიან, იმ რუსეთში ერთ-ერთი ქართველისგან იღებენ თანხას და იმ ქართველს ამ თანხებს აქედან აწოდებს ვანო მერაბიშვილი. ვანო მერაბიშვილი აწოდებს სპეციალურად, რომ ჩემი ხელიდან კი არ მივცე, შენი ხელიდან მიეცი ეს ფული, რომ იარსებოს ამ ვითომ ოპოზიციამო. ანუ სააკაშვილს უნდა ჰყავდეს ერთი საპარლამენტო ოპოზიცია, გაწონასწორებული და ასე შემდეგ და მეორე — რადიკალური და მარგინალი ოპოზიცია და ამ მარგინალი ოპოზიციისთვის საჭიროა ფული. ამ მარგინალურ ოპოზიციას ვანო პირდაპირ ვერ მისცემს ამ თანხას, ამიტომ მოსკოვში არსებობს რამდენიმე ქართველი, რომლისგანაც ამ ფულს იღებენ და ამბობენ, ვითომდა ფეესბედან მოდის ეს ფული, სინამდვილეში მაპატიეთ და ფეხებზე კიდია ამ შენ ფეესბეს შენი საქართველო და ხდება ამ ქართველების მიერ ამ თანხის მოწოდება, მაგრამ რაც ყველაზე საინტერესოა, ამ ადამიანებმა იციან, რომ ეს ფული ვანო მერაბიშვილისგან მოდის.

***— ეს ინფორმაცია თქვენ საიდან გაქვთ?***

— რაც პოლიტიკაში ვარ, ჩემთვის ალარანაირი ინფორმაციაა მიუწვდომელი, არავის სძინავს და ყრუ არავინ არ არის, თვალებიც გვაქვს და ყურებიც. გვარებით და სახელებით ვიცით ეს ადამიანები, ისიც ვიცით, რომელ ადგილებზე ვის რამდენს აძლევენ. არ ვართ ციდან ჩამოფრენილები. სანამ პოლიტიკაში შემოვიდოდი ეს ვინმეს რომ ეთქვა ჩემთვის, არ დავიჯერებდი, მაგრამ ეხლა როდესაც ვხედავ, რაც ხდება, მე თქვენი გაზეთის მეშვეობით პირველად ვაყენებ საკითხს: იტყუება ბატონი შალვა ხაჭაპურიძე ახლა რასაც ამბობს? ადგეს ყველა ოპოზიციონერი, გაზეთში გამოაქვეყნონ თავიანთი ქონება. ჩაატარეთ ჟურნალისტებმა ჟურნალისტური გამოძიება, რა ქონების პატრონები არიან ჩვენი ოპოზიციონერები. ოცი წელია, ოპოზიციაში რომ ხარ კაცი, არ გიმუშავია ერთი საათი არსად. ძალიან კარგად ცხოვრობს ეს ხალხი, სახლი აქვთ, კარი აქვთ, კარგი მანქანები ჰყავთ, საზღვარგარეთ არიან ყოველ კვირას — საიდან?! ეს კითხვა არ ებადება ქართულ საზოგადოებას?! საიდან და მიშა რომ არის გათახსირებული, იმაზე მეტი გათახსირებულები არიან ესენი! ვინც ვაჟკაცი და მართლა ოპოზიციონერია, გამოაქვეყნოს, რა ქონება გააჩნია. ჩვენ პარტიაში ყველანი ადვოკატები ვართ და დღე და ღამე გადასწორებული გვაქვს, რომ თუნდაც ოფისი შევინახოთ. ესენი როგორ ცხოვრობენ ასე, გასაკვირია!

***— ბატონო შალვა, წლის პოლიტიკურ სკანდალად ბურჯანაძე — გაჩეჩილაძის დაპირისპირება დასახელდა, თქვენ რას იტყვით ამის შესახებ? უნდა ყოფილიყო დებატები, სასამართლო, მაგრამ საზოგადოებამ ვერაფერი იხილა, ყველაფერმა ჩვეულებრივად ჩაიარა.***

— ამასთან დაკავშირებით ვიტყვი ერთ მოსაზრებას — თავისი საქმე თვითონ იციან, მაგრამ მე რომ კაცმა ეს მითხრას, რომ შენ ფული გაქვს აღებული, ასე გაქვს და ისე გაქვს, ბუნებრივია, მივმართავდი სასამართლოს, სასამართლო არ გადამიწყვეტს? მაშინ მივმართავ სხვა საშუალებებს, არსებობს ამის ქართული ტრადიციული საშუალებები, რითაც შეიძლება ადამიანს, რომელიც ცილს გწამებს, პასუხი გასცე. ერთი არ კეთდება, მეორე არ კეთდება, აბა რა გითხრათ, გაარკვიონ თვითონ. მე დღეს მაწუხებს საქართველოს ხვალინდელი დღე. ხვალ რა იქნება.

***— რა იქნება ხვალ, თქვენის აზრით?***

— პირადად მე დღეიდან ვემზადები იმისთვის, რომ ჩვენ გვექნება მუდმივი შეკრების ადგილი, სადაც საზოგადოებას შეეძლება მოვიდეს, მოისმინოს ჩვენი მოსაზრებები, გადავწყვიტოთ, როგორ გავთავისუფლდეთ ამ ხელისუფლებისგან, დროა, დაიწყოს მზადება დიდი ეროვნული დაუმორჩილებლობისთვის. მთავარი მოთხოვნა უნდა იყოს დამნაშავე რეჟიმის წარმომადგენლების და მისი მეთაურის, მიხეილ სააკაშვილის დაპატიმრება. წინააღმდეგ შემთხვევაში ზაფხულში მიიტრუნება ყველაფერი და სექტემბრიდან აზრი არა აქვს, იყვირე, რამდენიც გინდა, არჩევნები მოდის უკვე და ყველა დაიწყებს არჩევნებისთვის მზადებას. მაგრამ იქ ბოკერია ზის გამზადებული უკვე ამ არჩევნების მოსაგებად და ჩათვალეთ, რომ მას უკვე მოგებული აქვს ეს არჩევნები. აი, ყველაფერი ასე იქნება.

## გია ბარამიამ ვეტერანთა დარბევის ფაქტზე კომენტარის გაკეთება არ ისურვა



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელმა, გია ბარამიამ ვეტერანთა შიმშილობის აქციის დარბევის ფაქტზე კომენტარის გაკეთება არ ისურვა.

გია ბარამია გუშინ საპატრიარქოში მივიდა, სადაც კათოლიკოს-პატრიარქს დაბადების დღე მიულოცა. ჟურნალისტებმა ბარამიას კომენტარის გაკეთება გუშინ გმირთა მოედანზე განვითარებული მოვლენებისა და ვეტერანების აქციის დაშლის გამოც სთხოვეს.

„ეს თემა უფრო საინტერესოა და მნიშვნელოვანი", — განაცხადა ბარამიამ ტელეკამერების წინ უწმინდესისადმი მილოცვის ჩაწერის შემდეგ და კომენტარზე უარი თქვა.

გმირთა მოედანზე, აფხაზეთის ომში დაღუპულთა მემორიალთან მოშიმშილე ვეტერანები პოლიციამ ძალის გამოყენებით აყარა. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა ნაწილმა, მათ შორის 1992-1993 წლებისა და 2008 წლის საომარი მოქმედებების მონაწილეებმა, გმირთა მოედანზე პერმანენტული საპროტესტო აქციები 27 დეკემბერს დაიწყეს. აქციის ფარგლებში 10-მდე ვეტერანი შიმშილობდა. ისინი ხელისუფლებას ომის ვეტერანთა მიმართ უყურადღებობაში ადანაშაულებდნენ და მოთხოვდნენ, რომ ის ადამიანები, რომლებმაც სამშობლოს წინაშე ვალი პირნათლად მოიხადეს, სათანადოდ დაფასდნენ.

ვეტერანები შიმშილობის შეწყვეტას 6 იანვრისთვის გეგმავდნენ.

**ინტერპრესნიუსი**

## გოგა ხაინდრავა ხელისუფლებას ცინიზმსა და უპასუხისმგებლობაში ადანაშაულებს



ოპოზიციონერი გოგა ხაინდრავა ხელისუფლებას ცინიზმსა და უპასუხისმგებლობაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ ამას, სამწუხაროდ, საზოგადოებაც შეეჩვია.

როგორც ვარაზისხევთან მყოფმა გოგა ხაინდრავამ ჟურნალისტებს განუცხადა, ხელისუფლებამ ყველა ფასეულობა ფეხქვეშ გათელა და საზოგადოებას შეურაცხყოფა მიაყენა. მისი თქმით, ხელისუფლებამ პოლიციელებისგან ცრუ მოწმეების ინსტიტუტი ჩამოაყალიბა.

„პოლიცია ხალხს ხელს ურტყამს, სცემს, უსწორდება, შემდეგ კი ზუსტად ეს პოლიციელები სასამართლოებში მიდიან და კანონდარღვევაში უდანაშაულო ხალხს სდებენ ბრალს", — განაცხადა გოგა ხაინდრავამ. მისივე თქმით, საჭიროა, საზოგადოება გონს მოეგოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ერის განვითარებას მომავალი არ აქვს.

ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა ნაწილი გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ვეტერანების მხარდამჭერი დღევანდელი აქციის ორგანიზატორებმა აქცია დასრულებულად გამოაცხადეს, ეკა ბესელია, გოგა ხაინდრავა, ლაშა ჩხარტიშვილი და ადა მარშანია კვლავ ვარაზისხევთან არიან შეკრებილები. მთლიანობაში იქ 50-მდე ადამიანი იმყოფება.

გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე კვლავ რჩება საპატრულო პოლიციის ცოცხალი კედელი, რათა ვარაზისხევის ტერიტორიაზე მყოფი პირები გმირთა მემორიალთან ვერ მოხვდნენ.

**ინტერპრესნიუსი**

# რას გვიშვრება მთავრობა და ოპოზიცია

## გასა ვირებელი ჯერ კიდევ ბევრია

თეა მარხვაი ე

**ჩვენს ხელისუფლებას ალიან, ალიან უყვარს სიურპრიზები. მისი წყალობით ერსა და ოპოზიციას საფიქრალი არ ელევათ. ადამიანმა კი უნდა იფიქროს და, როგორც ჩვენმა პრეზიდენტმა თქვა, კარგი ცხოვრება ხანდახან მოსაწყენიც კია.**

როგორც ეს ხელისუფლება ამბობს, ნაციონალების აყვავების შემდეგ ქვეყანაში საამური ხანა დადგა.



იმის მოითხოვს ხალხი საკუთარი უფლებების დაცვას

თავისი სიმართლის დასამტკიცებლად მათ მრავალი არგუმენტი აქვთ. მათ შეუძლიათ თქვან, რომ საქართველო ასეთი განათებული არასდროს ყოფილა. ეს ნამდვილად სიმართლეა. თუმცა, ურიგო არ იქნებოდა იმის განმარტებაც, თუ რატომ არ გვქონდა იმ წლებში დენი. და რადგან ეს სიბნელე წარსულს ჩაბარდა, ამაზე საუბარი არ ღირს.

სამაგიეროდ ნამდვილად გასარკვევია, რატომ ვაწვდით თურქეთსა და სომხეთს ელექტროენერგიას იმაზე იაფად, ვიდრე საქართველოს მოსახლეობას. ისიც გასარკვევია, თუ რატომ არის პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველოში ყველაზე მაღალი კომუნალური გადასახადები. ექსპერტების განმარტებით, ასეთი მაღალი გადასახადები ევროპის ბევრ ქვეყანაშიც კი არ არის.

ეს არგუმენტი ჩვენს ხელისუფლებას „წინსვლაში" ხელს ნამდვილად ვერ შეუშლის. როგორც მთავრობა ამბობს, ჩვენ ბევრ რამეში ჩამოვიტოვეთ ბევრი წარმატებული ქვეყანა უკან. ჰოდა, რადგან ასეთი ტემპებით მივდივართ წინ, გადასახადებზე რატომ უნდა შევჩერდეთ.

რატომ უნდა შეიკავოს ხელისუფლებამ გადასახადების გაზრდისგან თავი მხოლოდ იმის გამო, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილობის პირასაა?! ხელისუფლებამ პენსიები გაზარდა და მათ სულ არ ადარდებთ, ეყოფათ თუ არა ეს თანხა პენსიონერებს.

დენის გადახდის თავი თუ არა გაქვს, არ უნდა მოიხმარო ელექტროენერგია. ამით გარკვეულწილად გაიხსენებ ახლო წარსულს. ვითომ შევარდნაძის დროა და დენი არ არის. იგივე შეიძლება მოხდეს გაზის შემთხვევაშიც.

მოხმარებული დენისა და გაზის გადაუხდელობის გამო ენერგომატარებლების გათიშვა ჩვენში ალარავის უკვირს. თუმცა, ვერავინ გაარკვია, რატომ უნდა გაგვითიშონ დენი, თუ ნაგვის და წყლის გადასახადს არ გადავიხდით.

ამას კარგა ხანს ვერ გავარკვევთ, ამიტომ ჯობია, ჩაძიებას თავი დავანებოთ. რადგანაც ხელისუფლებამ ასე გადაწყვიტა, ასეც იქნება. იანვრიდან ჩვენი მოსახლეობა ერთიან ქვითრებს მიიღებს. იმ შემთხვევაში, თუ ნაგავსა და წყალს არ გადაიხდით, დენი გაგეთიშებათ. თანაც, იანვრიდან წყლისა და ნაგვის ტარიფი განსხვავებული სახით მოგვივა. მათ შემცირებაზე არც იოცნებოთ! ერთსაც და მეორესაც გაზრდილი სახით გადავიხდით. რადგან ეს წელს პირველად ხდება, შეგვიძლია, რაიმე ჩავიფიქროთ კიდეც. გადაუხდელობას ნამდვილად არ გირჩევთ, თუ, რასაკვირველია, რომანტიკულ გარემოში არ გსურთ რამდენიმე დღის გატარება.

ისე, ლეიბორისტები გვირჩევენ, არ გადავიხადოთ ნაგვის გადასახადი, სახლში დაგროვილი საყოფაცხოვრებო ნაგავი კი გიგი უგულავას მივუტანოთ კაბინეტში. ეს იდეა გულის მოსაფხანი კია, მაგრამ უფრო ძვირი დაჯდება. უდენოდაც დარჩებით და თანაც ყოველ დილით უგულავას კაბინეტში ვინ შეგვიშვებს ნაგვის პარკით ხელში.

მიტანასა და ტრანსპორტზე რადგან ჩამოვარდა საუბარი, ტრანსპორტიც გაძვირდა და, როგორც ოპოზიცია ამტკიცებს, კიდევ უფრო გაიზრდება.

ეს ყველაფერი ხელისუფლებამ გააძვირა, მაგრამ გარკვეული პასუხისმგებლობა ოპოზიციასაც ეკისრება. განსაკუთრებით იმ ოპოზიციურ პარტიებს, რომლებიც თბილისის საკრებულოში არიან თავმოყრილი. მართალია, ისინი უმრავლესობაში არ არიან და ნაციონალების გადაწყვეტილებას ვერ შეაცვლევინებდნენ. თუმცა, მათი მხრიდან ხალხი მათ პროტესტს ელოდა.

საკრებულოში მყოფი ოპოზიციონერები ერთი-ორი საპროტესტო განცხადებით შემოიფარგლნენ. ყველაზე აქტიური თინა ხიდაშელი იყო. დანარჩენები უფრო მსუბუქი პროტესტით შემოიფარგლნენ, მათ შორის, ისინიც, ვინც წყალს საერთოდ უფასოდ გვპირდებოდნენ.

გადასახადების გაზრდის გამო თავი არც სხვა ოპოზიციას მოუკლავს. არადა, გვპირდებოდნენ, ხელისუფლებას თქვენს თავს არ დავაჩაგვრინებთო. ამის პირობას ისინი ახლაც იძლევიან. თუმცა, მათ ყველაზე კარგად იციან, რომ ხელისუფლება ერთხელ გაძვირებულს აღარ გააიაფებს.

ანდა, რა ნამუსით უნდა მოვთხოვოთ ხელისუფლებას ტარიფების გაიაფება. ამ ადამიანებს უამრავი საქმე აქვთ ჩვენთვის გაკეთებული და ჩვენ ისიც არ გვინდა, რომ ცოტა მეტი გადავიხადოთ.

მოსახლეობა ჯერჯერობით არაფერს ამბობს. სათქმელი ქვითრების მოსვლის შემდეგ იქნება. თუმცა, არა გვგონია, ხალხი კარგ ხასიათზე დადგეს. ხალხის უხასიათობა კი ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც არაფერში აინტერესებს და ასე იქნება მანამ, სანამ მოსახლეობა ქუჩაში საკუთარი უფლებების დასაცავად არ გამოვა, ასე იქნება მანამ, სანამ ხალხი სოციალურ მოთხოვნებს არ წამოსწევს წინა პლანზე.

ჩვენში ბევრმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ საქართველოში სოციალურ ფონზე ქუჩაში არავინ გამოვა. ჯერჯერობით ასეც არის. ბოლო ხანებში ცხოვრება ისეთი გაუსაძლისი გახდა, რომ მშიერი ბუნტი შეიძლება ქართველებმაც მოაწყონ, რისთვისაც მათ ოპოზიციის მყვირალა ლიდერები აღარ დასჭირდება. ასეთი ბუნტი ალბათ ქვეყანას დაღუპავს.

ხელისუფლება ამის საშიშროებას ჯერ ვერ ხედავს. ამიტომაც ტარიფები ისევ გაიზრდება. ხელისუფლებას წინ კიდევ ბევრი მეძავ-ფართი აქვს მოსაწყობი. ეს ფართები კი ფული ჯდება. ლისაბონის ელიტურ სასტუმროებში გრიალი ადვილი არ არის. ეს მოსახლეობამაც უნდა გაიგოს.

# ნინო ბურჯანაძე დიპლომატიურ კორპუსს მიმართავს

„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველო" საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დიპლომატიურ კორპუსს გმირთა მოედანზე ომის ვეტერანთა დარბევის გამო მკაცრ რეაგირებას სთხოვს.

ნინო ბურჯანაძის პარტიის განცხადებით, მთელს მსოფლიოში განსაკუთრებული პატივისცემითა და დაფასებით სარგებლობენ ჯარისკაცები, რომლებიც საკუთარი ქვეყნის მთლიანობასა და ღირსებას იცავენ, საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ კი, საკუთარი ჯარისკაცების ღირსება ფეხქვეშ კიდევ ერთხელ გათელა.

„სააკაშვილმა და მისმა ხალხმა შეურაცხყო დაღუპული გმირების ხსოვნა და მათ ფოტოებს ადგილი ნაგავსაყრელზე მიუჩინა, ომის ვეტერანებს შეუქმნა იმდენად მძიმე მორალური და სოციალური მდგომარეობა, რომ ისინი იძულებული გახადა საკუთარი ღირსების დასაცავად პროტესტის უკიდურესი ფორმისთვის, შიმშილობისთვის მიემართათ. ვინ, თუ არა ჩვენმა ჯარისკაცებმა იციან თუ როგორი მხდალი და დისკრედიტირებულია მთავარსარდალი სააკაშვილი, რომელმაც საკუთარი ჯარი, საკუთარი მოსახლეობა ომში მიატოვა და უკან მოუხედავად, მიწაზე ფორთხვით გაიქცა. სწორედ ამიტომ სააკაშვილს არ სჭირდება ძლიერი, ღირსეული არმია და მიზანმიმართულად შეურაცხყოფს და ანგრევს ქართულ ჯარს. მივმართავთ საერთაშორისო თანამეგობრობას, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, უმწვავესი რეაგირება მოახდინონ საქართველოს ხელისუფლების ამ სამარცხვინო ქმედებაზე, რადგან დაუშვებელია მსგავსი ფაქტი მათი მხრიდან ადეკვატური რეაგირების გარეშე დარჩეს",—აცხადებენ ნინო ბურჯანაძის პარტიაში და დასძენენ, რომ „დამნაშავე ხელისუფლებას" ხალხის ნებით და ხალხთან ერთად აუცილებლად შეცვლიან. მათი თქმით, სააკაშვილის მიერ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ განხორციელებული ყველა ქმედება, იქნება გარანტი იმ უმძიმესი განაჩენისა, რომელსაც მას ხალხი გამოუტანს.

შეგახსენებთ, რომ პოლიციის წარმომადგენლებმა საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალთან, ვეტერანთა შიმშილობის აქცია ძალის გამოყენებით დაშალეს. აქციის დაშლას შეხლა-შემოხლა მოჰყვა, დააკავეს რამდენიმე ვეტერანი.

ვეტერანები ხელისუფლებას მათ მიმართ უყურადღებობაში ადანაშაულებდნენ და სოციალური პირობების გაუმჯობესებას ითხოვდნენ. აქციის მონაწილეებმა შიმშილობა 29 დეკემბერს დაიწყეს და აქციის შეწყვეტას 6 იანვრისთვის გეგმავდნენ.

**მედიანიუსი**

## ლაშა ჩხარტიშვილი გმირთა მოედანზე მიმდინარე მოვლენებს დიქტატურას უწოდებს



„კონსერვატიული პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი გმირთა მოედანზე მიმდინარე მოვლენებს დიქტატურას უწოდებს, ამის შესახებ მან ჟურნალისტებს განუცხადა. მისი თქმით, თავისუფალი და მშვიდობიანი საპროტესტო აქციის ჩატარების უფლება თითოეულ მოქალაქეს აქვს და სამართალდამცავებს უფლება არ აქვთ, აქციის მონაწილეებს და ორგანიზატორებს თავისუფალი შეკრებისა და აზრის გამოხატვის უფლება წაართვან.

გმირთა მოედანზე ობილიზებული სამართალდამცავები აქციის მონაწილეებს ტერიტორიის დატოვებას და ვარაზისხევის გავლით ვაკის მიმართულებით გადაადგილებას ურჩევენ.

**ინტერპრესნიუსი**

## ვეტერანების აქციის დარბევაზე დავით ბაქრაძეს კომენტარის გაკეთება არ სურს

ვეტერანების აქციის დარბევაზე და, ზოგადად, ამ მხრივ განვითარებულ მოვლენებზე კომენტარის გაკეთება პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეს არ სურს.

დავით ბაქრაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას ვეტერანების აქციების შესახებ დასმულ კითხვას არაფერი უპასუხა და, შესაბამისად, არც უკომენტარობის მიზეზი განმარტა.

დავით ბაქრაძემ გუშინ პარლამენტში „საზოგადოებრივი მაუწყებლის" გადაცემა „მოამბის" 40 წლის იუბილეს უმასპინძლა.

**ინტერპრესნიუსი**

## დიმიტრი ლორთქიფანიძე სამართალდამცველებს უკანონო ქმედებაში ადანაშაულებს

საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი დიმიტრი ლორთქიფანიძე სამართალდამცველებს უკანონო ქმედებაში ადანაშაულებს.

როგორც მან გმირთა მოედნის ტერიტორიაზე გამართული აქციის კომენტირებისას ჟურნალისტებს განუცხადა, პოლიციას უფლება არ ჰქონდა დღეს, ვეტერანების მხარდამჭერებისთვის აქციის ჩატარების საშუალება არ მიეცა.

მისი განმარტებით, აქციის ჩატარების შესახებ ორგანიზატორებს მერიაში განაცხადი ჰქონდათ შეტანილი. ლორთქიფანიძის განცხადებით, ის ამ განაცხადს გაეცნო და ნახა ყველა დოკუმენტაცია, რომლითაც ორგანიზატორებმა მერიას აქციის ჩატარების თხოვნით მიმართეს.

აქედან გამომდინარე დიმიტრი ლორთქიფანიძე მიიჩნევს, რომ დღევანდელ აქციაზე პოლიციის მხრიდან ადგილი ჰქონდა ძალის გადამეტებას.

**ინტერპრესნიუსი**

## აშშ რუსეთში ოპოზიციის ლიდერების დაკავების გამო გაკვირვებას გამოთქვამს

ამერიკის შეერთებული შტატები მოსკოვში ოპოზიციის წარმომადგენელთა დაკავების გამო მწუხარებას გამოთქვამს. „ეხო მასკვის" ცნობით, სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ფილიპ ქროულიმ განაცხადა, რომ მომხდარი ეწინააღმდეგება პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევის განცხადებებსა და ქვეყნის მოდერნიზაციის პროგრამას. მისი თქმით, დაპატიმრებები რუსეთის გრძელვადიან ინტერესებს ზიანს აყენებს.

მანამდე, ამერიკის ეროვნული უშიშროების საბჭოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა, მაიკლ ჰამერმა განაცხადა, რომ ამერიკაში გაკვირვება გამოიწვია ოპოზიციის აქტივისტებისა და მათი ერთ-ერთი ლიდერის, ბორის ნემცოვის დაკავების ფაქტმა, რადგან რუსეთის ხელისუფლებამ რამდენიმე თვის წინ ოპოზიციას ყოველი თვის 31 რიცხვში მშვიდობიანი დემონსტრაციების გამართვის ნება დართო.

**ინტერპრესნიუსი**

# თურქებმა აჭარა ძალიან იაფად იყიდეს

## ბათუმში ტაძრის დანგრევა ისევ დღის წესრიგში დგას

თეა მარხვაძე

**თურქეთის ხელისუფლებამ ტაო-კლარჯეთში 4 ქართული ძეგლის აღდგენის უფლება მოგვცა. ამის სანაცვლოდ თურქეთმა საქართველოს ტერიტორიაზე 4 მეჩეთის აღდგენა მოითხოვა. ქართული მხარე ამ შეთავაზებას დათანხმდა. თურქოლოგ ელიზბარ ჯაველიძეს 4 მეჩეთის აღდგენა დიდ ტრაგედიად არ მიაჩნია. ამასთან ის თურქეთიდან დიდ საფრთხეს ელოდება. რა საფრთხეებს უნდა ველოდოთ თურქეთისგან, ამის შესახებ ჯაველიძე „ახალ თაობას" ესაუბრება.**

ელიზბარ ჯაველიძე:

— თურქეთი, როგორც ყველა ჩვენი მეზობელი ქვეყანა, აკეთებს თავის საქმეს. გაუნათლებელი თურქების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ საქართველო არის თურქეთის ნაწილი. მარტო აჭარაზე კი არ აქვთ პრეტენზიები, არამედ მთლიანად საქართველოზე. განსაკუთრებული ინტერესები, რა თქმა უნდა, აჭარის მიმართ აქვთ. ამიტომაც ჩადეს დიდი ინვესტიცია ამ რეგიონში. ააშენეს უამრავი ნაგებობა. ბათუმში მთლიანად აღმოსავლური არქიტექტურაა. იქ ქართული აღარაფერი არ ჭაჭანებს. ამას დიდი ზარ-ზეიმით ხვდება ჩვენი ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე. ერთი შეხედვით ის გულუბრყვილო, პატიოსანი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. მისი გაკრიალებული თვალებიდან არ გამოსჭვივის სამშობლოს სიყვარული. ის დიდი ინვესტიციები არის ჩვენი ქვეყნის უბედურება.

***— რატომ არის ეს ინვესტიციები უბედურება?***

— თურქები ამბობენ, ჩვენ ძალიან იაფად ვიყიდეთ და დავიბრუნეთ აჭარაო.

***— ამ განცხადებებს ღიად აკეთებენ?***

— რა თქმა უნდა. ისინი ამას არ მალავენ. ეკონომიკურად აჭარაში ბატონობს თურქული ელემენტები. ყველაფერი თითქმის მათია: სასტუმროები, კაფეები, ფაბრიკები.

***— ქართველებიც ხომ არიან მოწილეები?***



ტეფტი აღშფოთდა, როგორ შეიძლება საქართველოს მოსახლეობის 7§0 მართლმადიდებელი იყოსო

— კი არიან, მაგრამ ისინი არაფერს არ წყვეტენ. დღეს ქვეყნებს ორი გზით იპყრობენ. ერთი მხრივ, ეკონომიკის, მეორე მხრივ — კულტურის მეოხებით. თურქები ცდილობენ, რომ მთლიანად შეცვალონ კულტურული სამყარო მთელ საქართველოში. ჩვენს ქვეყანაში მართლმადიდებლების შემდეგ ყველაზე მრავალრიცხოვანი არიან აზერბაიჯანელები, იგივე თურქები. თურქები აზერბაიჯანს და აზერბაიჯანულ ენას ცალკე არ გამოყოფენ. ისინი ერთნაირად წერენ და ერთნაირად მსჯელობენ. დღეს ისინი ამბობენ, რომ აზერბაიჯანული არის თურქული ენის დიალექტი. მათ შორის ძალიან მცირე სხვაობა არსებობს. ეს არ არის პანისლამიზმის მოძღვრების განხორციელება. თურქებს დიდი ხანია კლავთ დიდი თურქეთის აღდგენის სურვილი. მათი ლიდერები გარკვეული პერიოდის განმავლობაში თითქმის ნახევარ მსოფლიოს განაგებდნენ. ეს სურვილი მათში არ ჩაკლულა. უფრო მეტად გამძაფრდა მას შემდეგ, რაც ეკონომიკურად მომძლავრდნენ. ისინი ცდილობენ, რაც შეიძლება დიდი ეკონომიკური სივრცის დაკავებას. გარდა ამისა, გაჩაღებულია ისლამის ქადაგება. ისლამი გახლავთ ძალიან ფუნდამენტური რელიგია. მთელი დაპყრობითი ომები თურქეთისა რელიგიური დოქტრინით მიმდინარეობდა. ამ დოქტრინის თანახმად, თუკი კაცი ბრძოლაში მოკვდებოდა, ის სამოთხეში ხვდებოდა. დღეს მათ ბრძოლის სტილი შეცვალეს. ამიტომაც არის, რომ აჭარიდან 3 ათასამდე ბავშვი წაიყვანეს თურქეთში სასწავლებლად. ეს იმ ოჯახის შვილები არიან, რომლებსაც ეკონომიკურად უჭირთ.

***— რა სასწავლებლებში მიჰყავთ აჭარის რეგიონიდან ბავშვები?***

— მედრესებში ასწავლიან. მოლობის კურსს გადიან ეს ბავშვები.

***— ჩვენი ხელისუფლება ამაზე არაფერს არ ამბობს?***

— ჩვენი ხელისუფლება ამაზე დუმს. ისინი პირიქით, მიესალმებიან ასეთ რამეებს. ან სად სცალია საააკაშვილს ქვეყნისთვის, გართობაზეა გადასული. ჩამოიყვანა ახალი წლისთვის ვიღაცა ბებერი მომღერალი.

***— ანდრეა ბოჩელი გაქვთ მხედველობაში?***

— ის მყავს. ამ სისულელეებზე ხარჯავენ ფულს და ქართულ ფასეულობებს ყურადღებას არ აქცევენ. რა დროს ბოჩელია. ყოველდღე აჭარაში რომ ჩადის, ნახოს ერთი, რა კატასტროფული მდგომარეობაა.

***— რა კატასტროფულ მდგომარეობაზე საუბრობთ?***

— გასული საუკუნის ბოლოს მასობრივად ხდებოდა აჭარის მოსახლეობის გაქრისტიანება, ახლა მიდის გამუსლიმანება. რელიგია ფრთხილი საკითხია და ამაზე ფრთხილად უნდა ვისაუბროთ. ჩვენ არც ერთი რელიგიის წინააღმდეგი არა ვართ. მე, უბრალოდ, ფაქტები მოვიყვანე. ჩვენს ხელისუფლებას ეს საერთოდ არ ადარდებს. გასულ წელს ერთმა თურქმა ინვესტორმა ბათუმში წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიის დანგრევა მოითხოვა. ეკლესია თურმე სასტუმროს მშენებლობაში უშლიდა ხელს. წესით, ჩვენი ხელისუფლება ინვესტორის მოთხოვნაზე უნდა აღშფოთებულიყო. ისინი კი სიამოვნებით დათანხმდნენ მის წინადადებას.

***— ამის მიუხედავად, ტაძრისთვის ხელის ხლება ვერავინ გაბედა.***

— ვერ გაბედეს იმიტომ, რომ ამის წინააღმდეგი წავიდა აჭარის მოსახლეობა. მათ ძალიან მტკიცე პროტესტი გამოხატეს. მაშინ ამის გაკეთება ვერ გაბედეს. მომავალში რა იქნება, არავინ იცის.

***— თქვენი აზრით, შეიძლება კიდევ დადგეს დღის წესრიგში ტაძრის დანგრევა?***

— ეს საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნილი არ არის. უამრავი მეჩეთია საქართველოში. ისინი ამას არ სჯერდებიან და ახალ-ახალ მეჩეთებს აშენებენ. მე ხაზგასმით ვამბობ, რომ ქართველები მეჩეთების წინააღმდეგი არა ვართ. ჩვენ ყველა ტრადიციულ რელიგიას პატივს ვცემთ. უბრალოდ, არ მოგვწონს, რომ მეჩეთების და მედრესების მშენებლობამ მიიღო სტიქიური სახე. ხელისუფლება კი არაფერს აკეთებს.

***— სამწუხაროდ, ამ საკითხთან დაკავშირებით პროტესტს არც საპატრიარქო გამოხატავს.***

— საპატრიარქომ მართლა უნდა ამოიღოს ხმა. ასევე იმ ორგანიზაციებმაც უნდა ამოიღონ ხმა, რომლებიც, მათი თქმით, იცავენ მართლმადიდებლობას. არის ასეთი ორგანიზაცია მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი. მე ამ ორგანიზაციას დიდ პატივს ვცემ. მათ, ცოტა არ იყოს, გამაკვირვეს.

***— რატომ გაგაკვირვეს?***

— მათ ხმა არ ამოიღეს ფლეჩერის მოღვაწეობასთან დაკავშირებით. ეს ფლეჩერი ანტიქრისტიანულ მოვლენად უნდა აღექვათ. ამაზე დუმან. მე იმედი მაქვს, რომ ისინი თავის სათქმელს იტყვიან. ასევე ხმა უნდა ამოიღოს საპატრიარქომაც.

***— რა უნდა თქვას საპატრიარქომ?***

— საპატრიარქომ უნდა თქვას, ჩვენ მივესალმებით ყველა რელიგიას, მაგრამ წამყვანი და მთავარი არის მართლმადიდებლობა. ეს აუცილებლად უნდა თქვას საპატრიარქომ. როცა ეს ხელისუფლება მოვიდა, მაშინ დაიწყო მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლა. ამათ ხელისუფლებაში ადგილი ტაძრების ნგრევითა და ჯვრების მოთხრით დაიკავეს. ის, ვინც ამ რბევაში მონაწილეობდა, ყველა დააწინაურეს. ეს არის ჩვენი უბედურება.

***— ტაო-კლარჯეთში ქართული ძეგლების აღდგენის სანაცვლოდ საქართველოს ხელისუფლებამ თურქებს 4 მეჩეთის აღდგენის უფლება მისცა. რამდენიმე პოლიტიკოსმა ეს გააპროტესტა. თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?***

— ეს არის ჩვენი კულტურის უდიდესი ცენტრები. მათი დაკარგვა არ შეიძლება. ისინი აუცილებლად უნდა აღვადგინოთ. ისინი თუ დავკარგეთ, ჩათვალეთ, რომ საქართველოს მოვაჭერით მარჯვენა ხელი. საქართველო იქედან იწყება. გრიგოლ ხანძთელი და საბა იშხნელი იქ მოღვაწეობდნენ. ეს იყო ერთი არეალი, რომელმაც შექმნა დიდი იდეოლოგია. ამ იდეოლოგიამ განაპირობა საქართველოს ერთიანობა და სიმძლავრე.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ ამ ძეგლების აღდგენის სანაცვლოდ ღირს მეჩეთების აღდგენა?***

— საქართველოში ისედაც უამრავი მეჩეთია. კი ბატონო, ამ ძეგლების აღდგენის სანაცვლოდაც ააშენონ. ამ მეჩეთების აშენებას ძალიან დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ხელისუფლება ებრძვის მართლმადიდებლობას. უტევენ ჩუმად პატრიარქს. ყველაფერს აკეთებენ, რომ მისი ავტორიტეტი დასცენ. მას ხან მოწამლავენ და ხან ათასგვარ ინტრიგას უხლართავენ. უშიშროების თანამშრომლები მოახვიეს გარშემო. მადლობა უფალს, რომ მის გარშემო არსებობენ ერთგული ადამიანებიც, რომლებიც ერთგულად ემსახურებიან სამშობლოს, რელიგიას და პატრიარქს. ერთ-ერთი ასეთია მეუფე იობი. მისი იმედი აქვს ქართველ ხალხს. ქართული ეკლესია არ დაეცემა, ის მოძალადე მტერს გაუმკლავდება. ეს მტერი დღეს სიცილით და მეგობრობით მოდის. მოდის და კანფეტები მოაქვს. საქართველოში ამერიკის ელჩი იყო ჯონ ტეფტი. ეს ტეფტი აღშფოთებული იყო, როგორ შეიძლება, საქართველოში 87 პროცენტი მართლმადიდებელი იყოსო. ეს ძალიან ბევრ რამეზე მიუთითებს. ვინ კითხავს, ერთი გამაგებინეთ, ტეფტს?! არავინაც არ ჰკითხავს. ჩვენმა ხელისუფლებამ ამაზე მას შეპასუხებაც კი ვერ გაუბედა. პროტესტის გრძნობა არც კი გასჩენიათ. ისინი სკამებს ქართული ინტერესების და ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლით ინაჩუნებენ.



## ვეტერანებს „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" კანონი არ დაურღვევიათ

ვეტერანებს „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" კანონი არ დაურღვევიათ.

აღნიშნული კანონით, დაუშვებელია შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზაციისას და ჩატარებისას მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობის ან ძალადობით შეცვლისაკენ, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ან ისეთი მოწოდება, რომელიც წარმოადგენს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.

ასევე, აკრძალულია შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება შემდეგ შენობებში და მათი შესასვლელებიდან ოცი მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე — საქართველოს პარლამენტი; საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საქართველოს უზენაესი სასამართლო, საერთო სასამართლოები, პროკურატურის, პოლიციის, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები და სამართალდამცავი ორგანოები; სამხედრო ნაწილები და ობიექტები; რკინიგზის სადგურები, აეროპორტები, პორტები; საავადმყოფოები; დიპლომატიური დაწესებულებები; სამთავრობო დაწესებულებები; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები; შრომის უსაფრთხოების სპეციალური რეჟიმის ან შეიარაღებული დაცვის მქონე საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები.

ამავე კანონით, აკრძალულია შენობების ბლოკირება, შენობის ბლოკირების აკრძალვა კი არ გულისხმობს აქციის ბლოკირების გარეშე ჩატარების შესაძლებლობის შეზღუდვას.

შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეებს ეკრძალებათ იქონიონ იარაღი, ფეთქებადი, ადვილად აალებადი, ცრემლმდენი, რადიოაქტიური, ნერვულ - პარალიტიკური მოქმედების და მომწამვლელი ნივთიერებანი, ალკოჰოლიანი სასმელები; განზრახ დაბრკოლებები შეუქმნან ტრანსპორტის გადაადგილებას.

რაც შეეხება „სხვადასხვა კონსტრუქციებს", რაშიც კარავიც შედის, აკრძალვა მხოლოდ ასეთი კონსტრიუქციებით გზის გადაკეტვას ეხება.

სახელმწიფო დაწესებულებებს, თანამდებობის პირებსა და მოქალაქეებს უფლება არა აქვთ ხელი შეუშალონ ამ კანონით დადგენილი წესის დაცვით შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზაციასა და ჩატარებას, მოქალაქეთა მიერ საკუთარი შეხედულებების საჯაროდ გამოხატვას. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის შეკრებაზე ან მანიფესტაციაზე ცნობების მიღებასა და გავრცელებაში ხელის შეშლაც, კანონით ისჯება.

მანიფესტაციის დაშლა, მხოლოდ აღნიშნული წესების დარღვევის შემთხვევაშია დასაშვები.

**ინტერპრესნიუსი**

## ნუგზარ წიკლაური ვეტერანებს მორალს და ეთიკას უწუნებს

საპარლამენტო უმრავლესობაში აქციის მონაწილე ვეტერანებს მორალს და ეთიკას უწუნებენ.

როგორც უმრავლესობის წევრმა, ნუგზარ წიკლაურმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, ვეტერანებს ნამდვილად აქვთ პროტესტის გამოხატვის და სოციალური მოთხოვნების დაყენების უფლება, თუმცა დაღუპულ გმირთა ხსოვნის მემორიალთან ლეიბები და „ლეჟანკები" არ უნდა დაყარონ.

მისი თქმით, მემორიალის ანტისანიტარიის ბუდედ ქცევა მიუღებელია და ამ მხრივ ერთგვარი ეთიკის ნორმები, საქართველოშიც უნდა დამკვიდრდეს.

ნუგზარ წიკლაურს მიაჩნია, რომ სიტუაციის გამწვავება აქციის პოლიტიკურმა შეფერილობამ და საბოლოოდ მასში „კრემლის წარმომადგენლების" ჩართვამ განაპირობა.

**ინტერპრესნიუსი**

## ჯორჯ ბუშის თანაშემწის ცხედარი ნაგავსაყრელზე იპოვეს

ამერიკის ექსპრეზიდენტ ჯორჯ ბუშ უმცროსის თანაშემწის, 66 წლის ჯონ უილერის ცხედარი ნაგავსაყრელზე იპოვეს.

ტელეკომპანია „ფოქს ნიუსის" ცნობით, გარდაცვლილი უცნობმა პირებმა სანაგვე ავზში ჩააგდეს, ცხედარი კი, კომუნალური სამსახურის თანამშრომლებმა აღმოაჩინეს.

ადგილობრივმა პოლიციამ მოსახლეობას მკვლელობის გამოძიებაში დახმარებისთვის მიმართა.

ჯონ უილერი პრეზიდენტ რონალდ რეიგანის დროს ვეტერანთა მემორიალის ფონდსაც ხელმძღვანელობდა.

**ინტერპრესნიუსი**

## „ფეისბუქში" ეკა მათიაშვილზე თავდამსხმელი ამოიცნეს

სოციალურ ქსელ „ფეისბუქში" „ქართული პარტიის" წევრ ეკა მათიაშვილზე თავდამსხმელი ამოიცნეს.

ქსელში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მამაკაცი, რომელმაც მითიაშვილს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, შს სამინისტროს თანამშრომელი, 26 წლის ოთარ გვენეტაძეა.

ომის ვეტერანთა აქციის დარბევის ამსახველი ერთ-ერთი ფოტო, რომელზეც კარგად ჩანს თავდამსხმელი მამაკაცის სახე, „ფეისბუქზე" გუშინვე გავრცელდა.

ეკა მათიაშვილი „ქართული პარტიის" ისნის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეა. ვეტერანების აქციის დაშლისას მომხდარი ინციდენტის დეტალები მან თავად გაიხსენა.

მათიაშვილის თქმით, ერთ-ერთმა პირმა მუშტი სახეში დაარტყა. როგორც მან „ინტერპრესნიუსს" განუცხადა, თავდამსხმელის სახე არ დაუნახავს. მისი ცნობით, ის ჩაიკეცა და მე-9 საავადმყოფოში აღმოჩნდა, საიდანაც მალევე გაწერეს. მათიაშვილს ცხვირის არეში სისხლჩაქცევა აღენიშნება.

**ინტერპრესნიუსი**

## საქართველოში ვეტერანის სტატუსის მქონე 54 ათასი ადამიანია

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე სოსო ლობჟანიძის განცხადებით, საქართველოში ვეტერანის სტატუსის მქონე 54 ათასი ადამიანია.

როგორც „ინტერპრესნიუსს" ლობჟანიძემ განუცხადა, მონაცემები მუდმივად იცვლება და ამ დროისთვის ქვეყანაში სულ 54 ათასი ადამიანია, ვისაც ვეტერანობასთან აქვს კავშირი.

რაც შეეხება სახელმწიფო დახმარებას, ის პირები, რომლებიც კომპენსაციას იღებენ, მათ პენსია არ ეძლევათ და პირიქით.

„კომპენსაცია და პენსია ერთმანეთს გამორიცხავს. ის პირები, რომლებიც პენსიას იღებენ, არ ღებულობენ კომპენსაციას და პირიქით. პენსია აქვთ იმ პირებს, რომლებიც ამა თუ იმ საბრძოლო მოქმედების დროს გაიწვიეს და არ იყვნენ საბრძოლო შენაერთების კადრებში, კომპენსაცია კი ეძლევათ კადრის ოფიცრებს და სამხედრო პირებს. იმისთვის, რომ მათ კომპენსაცია მიიღონ, ნამსახურეობის სულ მცირე 20 წელი უნდა ჰ ქონდეთ", — აღნიშნა ლობჟანიძემ.

მისივე თქმით, კომპენსაცია განისაზღვრება ნამსახურეობის წლების მიხედვით. თუ სამხედრო პირი 55 წლამდე გადის პენსიაზე, თითო ნამსახურებ წელზე სარგოს 0.75%-ს იღებს, თუ 55-დან 65-წლამდე, მაშინ ეს 1%-ია.

„სარგო არის ის თანხა, რომელსაც პირი ხელფასის სახით იღებს პენსიაზე გასვლამდე. ვთქვათ, პირს აქვს 800 ლარი ხელფასი და 20 წლის ნამსახურეობის სტაჟი აქვთ, თითოეულ წელზე მიიღებს 0.75%, გამოდის, რომ სულ ხელფასის 15%-ს მიიღებს კომპენსაციის სახით", — აღნიშნა სოსო ლობჟანიძემ.

რაც შეეხება სახელმწიფო პენსიას, ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საბრძოლო მოქმედების და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების დროს მკვეთრად და მნიშვნელოვნად დაინვალიდებულთათვის (I და II ჯგუფის ინვალიდებისათვის) გამოყოფილი პენსია 129 ლარია, ომის მონაწილეებზე, რომელთაც არ აქვთ ინვალიდობა, არის 80 ლარი გამოყოფილი.

„ომში მონაწილეებთან გათანაბრებულ სამოქალაქო პირებს, რომლებიც რეგულარულ ჯარში არ იყვნენ, მაგრამ სამხედრო ნაწილებში სამოქალაქო პოზიციაზე იყვნენ, ეძლეოდათ 70 ლარი, მაგრამ იმის გამო, რომ საქართველოში მინიმალური პენსია 80 ლარია, მათაც ამდენი ეძლევათ", — აღნიშნა ლობჟანიძემ.

რაც შეეხება მუნიციპალური ტრანსპოტით უფასო მგზავრობის ბარათებს, ლობჟანიძის თქმით, ისინი ვეტერანებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ეძლევათ.

„ომის ინვალიდებს საყოფაცხოვრებო სუფსიდიის სახით კომუნალური მომსახურების 44 ლარიანი ვაუჩერი ეძლევათ, მონაწილეებს კი 22 ლარიანი ვაუჩერი", — აღნიშნა ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილემ, სოსო ლობჟანიძემ.

**ინტერპრესნიუსი**

## საპროტესტო აქციების გამართვა ყოველი თვის 25 რიცხვში იგეგმება

გმირთა მოედანზე გუშინ გამართული აქციის ორგანიზატორები საპროტესტო აქციების გამართვას ყოველი თვის 25 რიცხვში გეგმავენ.

როგორც „ინტერპრესნიუსს" აქციის საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელმა ჯაბა ტყემალაძემ განუცხადა, 25 რიცხვი კონსტიტუციის 25-ე მუხლს უკავშირდება, რომელიც შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლებას ეხება.

— ჩვენ ვებრძვით ბოლშევიზმს, კონსტიტუციის 25-ე მუხლის დამრღვევებს და ვისთვისაც მნიშვნელოვანია თავისუფალ საქართველოში ცხოვრება, ყოველი თვის 25 რიცხვში ჩვენს აქციებზე მოვლენ, რომელიც სავარაუდოდ ისევ გმირთა მოედანზე გაიმართება, — განაცხადა ჯაბა ტყემალაძემ.

**მედიანიუსი**

# ჯონ ტეფტიმ აგვისტოს ომზე ტყუილი დაწერა

გულიკო ბალა ე

**გასული წლის მსოფლიო პოლიტიკური ცხოვრებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა „ვიკილიქსის" მიერ გავრცელებული ინფორმაციები გახლდათ, რომლებიც ამერიკელ დიპლომატთა მიმოწერებს შეეხებოდა.**

ამერიკელ დიპლომატთა მიმოწერებში არც საქართველოს შესახებ მიმოწერების გავრცელება გამორჩენიათ.

საქართველოს შესახებ ათასობით დოკუმენტია გამოქვეყნებული. მათ შორის ერთ-ერთი 2008 წლის აგვისტოს ომსაც ეხება.

აგვისტოს ომის დროს ამერიკის ყოფილი ელჩი ტეფტი საქართველოში შტატებში გაგზავნილ წერილში წერს, რომ 7 აგვისტომდე 5 და 6 აგვისტოს ცხინვალის მიდამოებში გაცხარებული შეტაკებები იყო.

ჰამლეტ ჭიპაშვილი აცხადებს, რომ ამერიკის ყოფილი ელჩი საქართველოში ჯონ ტეფტი ტყუის და რეალურად არავითარი ბრძოლები 7 აგვისტომდე ცხინვალის მიდამოებში არ ყოფილა.

ჰამლეტ ჭიპაშვილი იმოწმებს ეუთოს ორ დამკვირვებელს, რომლებიც იმ პერიოდში ცხინვალში იმყოფებოდნენ.

აქვს თუ არა გავლენა ეუთოზე რუსეთს და შედეგად შეეძლოთ თუ არა ეუთოს დამკვირვებლებს, ზეწოლის გამო ეთქვათ ის, რაც რუსეთს აწყობდა? ჰამლეტ ჭიპაშვილი ამბობს, რომ რუსეთის გავლენა ეუთოზე თავდაპირველად იყო, მაგრამ ახლა ამერიკის გავლენას განიცდის.

***— ბატონო ჰამლეტ, მოგეხსენებათ, წინა წელს „ვიკილიქსის" მიერ გამოქვეყნებულ მასალებში საქართველოც ფიგურირებდა. თუ არ ვცდები, საქართველოს შესახებ 1500-ზე მეტი წერილი იყო გამოქვეყნებული. ერთ-ერთი დოკუმენტი 2008 წლის აგვისტოს ომსაც ეხება, სადაც ამერიკის მაშინდელი ელჩი ტეფტი აცხადებს, რომ 7 აგვისტომდე ცხინვალის რეგიონში გამალებული ხელჩართული ბრძოლები მიმდინარეობდა. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?***

— დიახ, ვიკილიქსის მიერ გამოქვეყნებულ მასალებში ლაპარაკია ამერიკის მაშინდელი ელჩის ტეფტის წერილზე, რომელიც 7 აგვისტოს გაუგზავნა ამერიკას, სადაც აღნიშნულია, რომ თითქოს 5 და 6 აგვისტოს იყო გაცხარებული შეტაკებები, ბრძოლები ცხინვალის მიდამოებში.

საქმე ისაა, რომ ძალიან ხშირად დიპლომატია იძლევა ისეთ ინფორმაციას, რომელმაც მეორე მხარე, მისი მკითხველი ან უნდა მოატყუოს, ან, ელემენტარულად, შეიყვანოს შეცდომაში. ეს არის შეგნებული მეთოდი. დიპლომატიაში ასეთი რამ გამოიყენება. რაც შეეხება ტეფტის მიერ (7 აგვისტოთი დათარიღებულ) გაგზავნილ წერილს, რომელშიც ნათქვამია, რომ 5 და 6 აგვისტოს, ანუ 7 აგვისტოს წინა დღეებში ხელჩართული ომი მიმდინარეობდა ცხინვალის მისადგომებთან, ეს ყველაფერი ტყუილია.

***— ისე, ბრძოლები ხომ იყო, იქითა მხრიდან ქართულ სოფლებს ხომ ბომბავდნენ...***

— არა, არა. ტეფტი იყო თბილისში. თუ დავუჯერებთ ეუთოს ორ წარმომადგენელს, რომლებიც ზუსტად იმ დროს ცხინვალსა და მის შემოგარენში იმყოფებოდნენ, სადაც, ტეფტის აღწერით, თითქოსდა ბრძოლები მიმდინარეობდა, ასე არ იყო. ეუთოს დამკვირვებლები ამბობენ, რომ არავითარ შეხლა-შემოხლას არც 5 აგვისტოს და არც 6 აგვისტოს ადგილი არ ჰქონია. როგორც კი ომი დაიწყო, ეს მათ ოფიციალურად განაცხადეს.

***— ბატონო ჰამლეტ, სინამდვილეში 7 აგვისტომდე ცხინვალიდან ქართულ სოფლებს ხომ ბომბავდნენ. ოფიციალურად ომის დაწყებამდე, ანუ ომის წინა დღეებში ქართული სოფლების მიმართულებით იქითა მხრიდან ხომ ისროდნენ?***

— ეუთოს ის ორი დამკვირვებელი აცხადებს, რომ არავითარ ასეთ დაბომბვას იქიდან და აქედან ადგილი არ ჰ ქონია. ეს მერე დაიწყეს ამ თემაზე ლაპარაკი, რომ თითქოს იმიტომ წავიდა საქართველოს არმია შეტევაზე, რომ გამოწვევა იყო ცხინვალიდან. საქმე ისაა, რომ დამკვირვებლები შემდეგ ამის გამო (მართალი სიტყვისთვის) ამერიკელთა დაჟინებული მოთხოვნით სამსახურიდან გააგდეს. ტეფტი წერს ტყუილს. მან იცის, რომ ის დოკუმენტი, რაც დაწერა, შემდეგ სადღაც თავს წამოყოფს — როცა წლები გაივლის და ამერიკას ექნება კოზირი ხელში — აი, ბატონო, აგერ არის ტეფტის წერილი, აი, ნახეთ, რას წერს მაშინდელი ამერიკის ელჩი საქართველოში, 5 და 6 აგვისტოს იქ ომები მიმდინარეობდაო. ამ დროს, ბრძოლები არ მიმდინარეობდა.

***— პირდაპირი მნიშვნელობით, გამოცხადებით, ომი შეიძლება არ ყოფილა, მაგრამ ბრძოლები ხომ იყო, ანუ ვითარება გამწვავებული ხომ იყო იმაზე უფრო მეტად, ვიდრე ადრე?***

— არა, არა...

***— საერთოდ არაფერი ხდებოდა, ბატონო ჰამლეტ? მე იქ არ ვყოფილვარ, მაგრამ ინფორმაცია ხომ იყო, რომ ქართულ სოფლებს თავს ესხმოდნენ?***

— იქ არც მე ვყოფილვარ, მაგრამ, ვინც იმ დროს ცხინვალში იმყოფებოდა — ეუთოს ორი დამკვირვებელი — ის ამბობს, რომ არავითარ მსგავს ქმედებას ადგილი არ ჰ ქონია, არც იქიდან და არც აქედან. ასევე არც არავითარ პროვოკაციას ადგილი არ ჰ ქონია.

***— ბევრჯერ მომისმენია, რომ ეუთოში ძალიან დიდი გავლენა ჰქონდა და აქვს რუსეთს, ამიტომ შეიძ-***


„ჯორჯია-ნიუსის" ფოტო

***ლებოდა, ეუთოს დამკვირვებლებს ის განეცხადებინათ, რაც რუსეთს აწყობდა.***

— არა, გავლენა რუსეთს ადრე ჰქონდა, საერთოდ... გავლენა, რა? კაცმა რომ თქვას, ამ ორგანიზაციის (ეუთოს) შექმნა, ელემენტარულად, თავიდანვე საბჭოთა კავშირის ინიციატივა იყო და ა.შ., მაგრამ ეს იყო წინათ, როცა ეუთო შეიქმნა. როდესაც ამ ორგანიზაციამ ფუნქციონირება დაიწყო, ეუთო უკვე გახდა დანარჩენი სახელმწიფოებისა და, უპირველესად ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი იარაღი თავისი მიზნების განხორციელების გზაზე.

***— ეუთო გახდა ამერიკის მიზნების განხორციელების იარაღი?***

— დიახ, ეუთო... ისე, როგორც არის ნატო, ევროსაბჭო და ა.შ. შეიძლება, ვინმემ თქვას, რა შუაშია ევროსაბჭოო? იმ შუაშია, რომ ეს ორგანიზაცია, რომელიც მაინც შორს უნდა იყოს ოკეანის გადაღმელისგან, იქიდან მაინც ღებულობს პრესსა და გარკვეულ ზეწოლას.

***— ეს ინფორმაციები საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე რა გავლენას მოახდენს?***

— საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს, ვინაიდან, დარწმუნებული ვარ, რაც მოხდა და რაც ხდება ჩვენს ქვეყანაში, მის დიპლომატიაში, საქართველო ისედაც კომპრომეტირებულია, მეტი რაღა კომპრომეტირება უნდა.

აქ მკითხველს ტალიავინის კომისიის მიერ გაკეთებული დასკვნის ერთ პატარა მონაკვეთს შევახსენებთ, თუმცა, აქვე აღვნიშნავთ, რომ ქართველი საზოგადოების მხრიდან არც ტალიავინის დასკვნას აქვს დიდი ნდობა, არც ამ დასკვნაშია ყველაფერი ბოლომდე დადგენილი. როგორც დასკვნაშია აღნიშნული, „მისიისთვის არ იყო ხელმისაწვდომი დაზვერვის ანგარიშები ან სატელიტური ფოტომასალა დაზვერვის წყაროებისაგან".

ტალიავინის კომისიის დასკვნა, რომელიც მომხდარ მოვლენას (ანუ 2008 წლის აგვისტოს ომის) აღწერს, პირდაპირ ასე იწყება:

***— 2008 წლის 7-8 აგვისტოს ღამეს ქართულმა არტილერიამ ქალაქ ცხინვალზე განუწყვეტელი საარტილერიო შეტევა მიიტანა.***

ხდებოდა ქართული შეიარაღებული ძალების სხვა გადაადგილებებიც ცხინვალისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების მიმართულებით.

მალე ბრძოლებში რუსეთის, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სამხედრო ნაწილები და შეიარაღებული ქვედანაყოფები ჩაერთვნენ.

თუმცა, საქართველოს იერიში სამხრეთ ოსეთის მიმართულებით მალევე შეჩერდა კონტრშეტევის შედეგად, რომელიც საჰაერო დარტყმებითა და შავი ზღვის ფლოტის ქვედანაყოფების მონაწილეობით განხორციელდა, რუსეთის შეიარაღებული ძალები ღრმად შეიჭრნენ საქართველო ტერიტორიაზე, გადაკეტეს ქვეყნის ძირითადი აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალი... მიაღწიეს ფოთის პორტამდე და თბილისის მახლობლად გაჩერდნენ.

დაპირისპირება სახელმწიფოთაშორის და ქვეყნის შიდა კომბინირებულ კონფლიქტში გადაიზარდა.

ერთი მხრივ, საქართველოსა და რუსეთის შეიარაღებულ ძალებს შორის დაპირისპირებაში, ხოლო, მეორე მხრივ, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მეომრებსა და ქართულ შეიარაღებულ ძალებს შორის.

ტალიავინის დასკვნაში რუსეთის მხარის გასამართლებლად დასახელებულია არგუმენტი, რომელშიც, ფაქტობრივად, ჩანს, რომ 7-8 აგვისტოს ომს ცხინვალის მხრიდან შეიარაღებული დაჯგუფებების მოქმედებები უძღოდა წინ. კერძოდ, დასკვნაში აღნიშნულია (ციტატა დასკვნიდან):

— სხვადასხვა დონეზე მიმდინარე კონფლიქტების ამგვარი კომბინაციის დროს დიდია ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებების სფეროში საერთაშორისო სამართლის დარღვევის ალბათობა. ამჯერადაც ასე მოხდა. ბევრი ამგვარი ფაქტი განაპირობა სამხრეთ ოსეთის მხარის არარეგულარული შეიარაღებული დაჯგუფებების მოქმედებებმა, რომლებიც არ და ვერ იქნებოდა სათანადოდ კონტროლირებული რეგულარული შეიარაღებული ძალების მიერ.

შეიძლება ითქვას, ფაქტობრივად, დასკვნაში შეფარულად აღიარებულია, რომ კონფლიქტის ზონაში მოქმედებდნენ ე.წ. სამხრეთ ოსეთის მხარის „არარეგულარული შეიარაღებული დაჯგუფებები", რომელიც ვითომდა რეგულარული შეიარაღებული ძალების მხრიდან ვერ კონტროლდებოდა.

შეიძლება ითქვას, რომ აგვისტოს ომთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ბევრი რამ არის დასადგენი. არის თუ არა ამერიკის ყოფილი ელჩი საქართველოში ჯონ ტეფტი მართალი, როცა ამერიკაში გაგზავნილ წერილში აცხადებს, რომ 7 აგვისტომდე 5 და 6 აგვისტოს ცხინვალის მისადგომებთან ბრძოლები იყო? ეს მომავალში კიდევ შეიძლება დადასტურდეს, რადგან ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსი ეუთოსთან და ტალიავინთან დაკავშირებით რუსულ გავლენაზე საუბრობს.

## საჯარო შეტყობინება სასამართლოს წარმოებაში სარჩელის არსებობის შესახებ

სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ 2010 წლის 08 ოქტომბრის განჩინების საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია აცნობებს მოპასუხე ნინო გელოვანს (რეგისტრაციის მისამართი: თბილისი, ქ.წამებულის გამზ.№2, ბინა №70, პირადი №61001009436), რომ მის წინააღმდეგ სასამართლოს წარმოებაში (მოსამართლე ელისო ტუკვაძე) იმყოფება თინა მაისურაძის სარჩელი ვალის აღიარების ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის — 7850 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ. მოპასუხე ნინო გელოვანის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია და მისთვის სარჩელისა და თანდართული საბუთების ჩაბარება ვერ ხერხდება.

სასამართლო განუმარტავს მოპასუხე ნინო გელოვანს, რომ იგი ვალდებულია წერილობითი ფორმით, როგორც წესი, ნაბეჭდი სახით შეადგინოს პასუხი (შესაგებელი) თინა მაისურაძის სარჩელზე და წარმოადგინონ თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ; №6) გზავნილის ჩაბარებიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში. სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შემთხვევაში, სარჩელი მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება შეტყობინების გაზეთში გამოქვეყნებიდან მეშვიდე დღეს. შესაბამისად, მოპასუხე ნინო გელოვანმა მოსარჩელე თინა მაისურაძის სარჩელზე წერილობითი შესაგებელი სასამართლოში უნდა წარმოადგინოს საჯარო შეტყობინების გაზეთში გამოქვეყნებიდან მეშვიდე დღიდან 7 დღის ვადაში.

სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში პასუხის (შესაგებლის) არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

მოპასუხე ნინო გელოვანს შეუძლია გაეცნოს საქმის მასალებს სასამართლოში.

**მოსამართლე ელისო ტუკვაძე**

## აშშ-ის ელჩი ჯონ ბასი თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლს ეწვევა



აშშ-ის ელჩი ჯონ ბასი და აშშ-ის საელჩოში განთავსებული საზღვაო ქვეითები თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლს მოინახულებენ. საზღვაო ქვეითებმა, რომელთაც სერჟანტი ჯოზეფ სორგი მეთაურობს, ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს „სათამაშოები ბავშვებს" პროგრამის ფარგლებში, საელჩოს თანამშრომლების მიერ შემოწირული სათამაშოები შეუგროვეს. სათამაშოების შეგროვებაში სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაც" მონაწილეობდა.პროგრამა „სათამაშოები ბავშვებს" 1947 წელს დაარსდა. პროგრამის მიზანია აშშ-სა და მთელ მსოფლიოში სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის საშობაოდ საჩუქრების შეგროვება. პროგრამის 63-წლიან ისტორიაში აშშ-ის საზღვაო ქვეითთა კორპუსმა 188 მილიონ ბავშვს 400 მილიონზე მეტი საჩუქარი მიუტანა.

**მედიანიუსი**

## ბელორუსში აქციის მიმდინარეობისას დაკავებულები გაათავისუფლეს

საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მინსკის არასანქცირებული მიტინგის თითქმის ყველა მონაწილე საპატიმროდან გათავისუფლებულია. ამის შესახებ ინფორმაციას ბელორუსის შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

„ყველა დაკავებულმა, რომლებიც სასამართლო გადაწყვეტილებით გათავისულფებული არიან, უკვე დატოვეასაპატიმრო დაწესებულება", — ნათქვამია ბელორუსის შსს-ს განცხადებაში.

ლაპარაკია დაახლოებით 150 ადამიანზე, რომლებიც 19-20 დეკემბერს მინსკში გამართული არასანქცირებულ აქციაში მონაწილეობდნენ. დაკავებულები სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 15 დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ. გარდა ამისა, დაახლოებით 20 ადამიანი ჯერ ისევ პატიმრობაში რჩება. მათ მინსკში მასობრივი არეულობის მოწყობისათვის ედებათ ბრალი.

**მედიანიუსი**

## პაკისტანის პენჯაბის პროვინციის გუბერნატორი მოკლეს

პაკისტანის დედაქალაქ ისლამაბადში მოკლეს ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური ფიგურა სალმან ტასირი.

ტელეკომპანია „ბი-ბი-სის" ინფორმაციით, პაკისტანის მმართველი პარტიის ერთ-ერთ ლიდერსა და გუბერნატორს ქალაქის ბაზართან ახლოს ესროლეს. იგი საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

გუბერნატორის მკვლელობის მოტივი უცნობია. პოლიციის ინფორმაციით, ტასირს თავისი დაცვის კუთვნილი იარაღიდან ესროლეს.

„ბი-ბი-სის" ექსპერტების აზრით, ტასირის მკვლელობა პაკისტანში პოლიტიკურ კრიზისს გამოიწვევს. მომხდარზე პასუხისმგებლობა ჯერჯერობით არცერთ ტერორისტულ დაჯგუფებას არ აუღია.

მიმდინარეობს გამოძიება.

**მედიანიუსი**

# საქართველოში ინფლაცია, შესაძლოა, არა 10,5, არამედ 13–14 პროცენტი იყოს

ეკონომიკის ექსპერტი, პოლიტიკური პარტია „თავისუფალი დემოკრატები-ჩვენი საქართველოს" წევრი დავით ონოფრიშვილი არ გამორიცხავს, რომ საქართველოში წლიური ინფლაციის მაჩვენებელი 13-14 პროცენტი იყოს.

ხელისუფლების ინფორმაციით, 2010 წლის ბოლოსთვის ინფლაციის მაჩვენებელმა დაახლოებით 10,5 პროცენტი შეადგინა, ეკონომიკის ზრდა კი 6-დან 6,5 პროცენტამდეა ნავარაუდევი.

როგორც ონოფრიშვილმა „მედიანიუსს" განუცხადა, ჯერჯერობით ამის ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ სხვადასხვა წელს ინფლაციის მონაცემები ხელისუფლების ინტერესების მიხედვით ყალიბდებოდა, შესაძლოა, ზემოთ დასახელებული 10,5 პროცენტიც შელამაზებული მაჩვენებელი იყოს, რეალური კი 13-14 პროცენტია. რაც შეეხება მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელს, 13-14 პროცენტიანი ინფლაციის პირობებში ის არა 6,5, არამედ 2-3 პროცენტი იქნებოდა.

დავით ონოფრიშვილის თქმით, საერთაშორისო ბაზრებზე ფასების ზრდა ყველა ქვეყანაზე მოქმედებს, მაგრამ საქართველოს მეზობელ სახელმწიფოებსა და რეგიონში ინფლაციას ისეთი მაღალი მაჩვენებლისათვის არ მიუღწევია, როგორც საქართველოში, მაგალითად, აზერბაიჯანში მან 7, სომხეთში 8, ხოლო ბულგარეთში მხოლოდ 5 პროცენტი შეადგინა. „ასე რომ, საერთაშორისო ფასები სხვა ქვეყნებზეც მოქმედებს, მაგრამ იქ ინფლაციას ასეთი მაღალი მაჩვენებლისათვის არ მიუღწევია. საქართველოში ინფლაციის მაღალი მაჩვენებელი ხელისუფლებისა და იმ სტრუქტურების არაკვალიფიციურ ქმედებებზე მეტყველებს, რომლებსაც ინფლაციის კონტროლი ევალებათ. როცა ქვეყანაში ინფლაცია მაღალია, ე.ი. ხელისუფლებას მასთან ბრძოლა არ ძალუძს, ან გაზრდილია ხარჯები და მიმოქცევაში საჭიროზე მეტი ეროვნული ვალუტა არის გაშვებული", — აღნიშნა დავით ონოფრიშვილმა.

მისი თქმით, მეორე მხრივ, საკვები პროდუქტების მნიშვნელოვანი გაძვირება იმით არის გამოწვეული, რომ სოფლის მეურნეობა 7 წელია, „მიგდებულია", ქვეყანას სასურსათო დამოუკიდებლობა დაკარგული აქვს და საკვები პროდუქტების 80 პროცენტი იმპორტირებულია.

„ეს ფასების ზრდის კიდევ ერთი ფაქტორია. ჩვენ საერთაშორისო ფასებზე ვართ დამოკიდებულნი", — დასძინა დავით ონოფრიშვილმა.

**მედიანიუსი**

საქმე №2/11092-10

**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**

საქართველოს სახელით საჯარო პუბლიკაციის შესახებ

20 დეკემბერი 2010 წ. ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

**მოსამართლე:** დიანა ბერეკაშვილი

**მოსარჩელე:** სს "ბანკი რესპუბლიკა"

**მოპასუხე:** ნატო ჯაფარიძე;

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება;

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მოპასუხე ნატო ჯაფარიძეზე სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების საკითხი და

***გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:***

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2010 წლის 26 ოქტომბერს სარჩელით მომართა სს „ბანკი რესპუბლიკას" წარმომადგენელმა მოპასუხე ნატო ჯაფარიძის მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე;

მოსარჩელე სს „ბანკი რესპუბლიკა"-ს წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ 2008 წლის 22 ივლისს სს „ბანკ რესპუბლიკა"-სა და ნატო ჯაფარიძე შორის გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულება, როლის თანახმად საკრედიტო ლიმიტის ოდენობა განისაზღვრა 3000 (სამი ათასი) ლარით, 2 წლის ვადით – 2010 წლის 22 ივლისამდე, საპროცენტო სარგებელი წლიყური 26 %, ხოლო 32 % ბანკებსა და ბანკომატებში განაღდებული თანხებისათვის და საკომისიოებისათვის. 2010 წლის 06 ოქტომბრის მდგომარეობით ნატო ჯაფარიძის საკრედიტო დავალიანება შეადგენს 3 562,68 ლარს, საიდანაც ძირითადი თანხა შეადგენს 2 999,36 ლარი, დარიცხული პროცენტი – 365,85 ლარი, ჯარიმა – 195,97, თანხის განაღდების საკომისიო – 1.50 ლარი. ზემოაღნიშულიდან გამომდინარე მოსარჩელე ითხოვს ნატო ჯაფარიძეს დაეკისროს სს „ბანკი რესპუბლიკა"-ს სასარგებლოდ დავალიანება 3 562,68 ლარის გადახდა, სს „ბანკი რესპუბლიკა"-ს მიერ წინასწარ გადახდილი სახ. ბაჟი 106.88 ლარის ოდენობით და იურიდიული მომსახურეობისათვის გაწეული ხარჯი დავის საგნის ღირებულების 5%-ის ოდენობით.

მოპასუხე ნატო ჯაფარიძეს გაეგზავნა სარჩელი, თანდართული მასალებით, საქმეში მითითებულ მისამართზე (ამბროლაური, ბრატისლავა-რაჭის ქ. №17) მაგრამ ვერ ჩაბარდა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

საქმეში მოპასუხე ნატო ჯაფარიძის მისამართად მითითებულია შემდეგი: ამბროლაური, ბრატისლავა-რაჭის ქ. №17 აგრეთვე სამისამართო ამონაწერის თანახმად რეგისტრაციის ადგილი არის: ამბროლაური, ბრატისლავა-რაჭის ქ. №17, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს ზემოაღნიშნული ნორმით გათვალისწინებულ შემთხვევას - მოპასუხეს ვერ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები (არ ჩაბარებია სარჩელი, თანდართული მასალებით) სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების (მოცემულ შემთხვევაში სარჩელისა და თანდართული მასალების ) საჯაროდ გავრცელების შესახებ გაზეთ „ახალი თაობა"-ს მეშვეობით, ვინაიდან იგი მასობრივადაა გავრცელებული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის „ა" და „ბ" პუნქტის თანახმად, სასამართლო უგზავნის მოპასუხეს სარჩელისა და ამ კოდექსით გათვალისწინებული დოკუმენტების ასლებს; დაუნიშნავს მოპასუხეს ვადას იმისათვის, რომ მან წერილობით წარმოადგინოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასზე დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ და წარუდგინოს ისინი სასამართლოს. დანიშნული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 14 დღეს, ხოლო რთული კატეგორიის საქმეებზე 21 დღეს.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო თვლის, რომ მოპასუხეს შესაგებლის (წერილობითი პასუხის) წარმოსადგენად უნდა განესაზღვროს 05 (ხუთი) დღე.

***სარეზოლუციო ნაწილი:***

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7, 70-78-ე, 201-ე, $232^{1}$-ე, 284-285-ე მუხლებით და

***დ ა ა დ გ ი ნ ა:***

1. მოპასუხე ნატო ჯაფარიძეს ეცნობოს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია სამოქალაქო საქმე № 2/11092-10 სს "ბანკი რესპუბლიკა"-ს სარჩელისა გამო მოპასუხე ნატო ჯაფარიძის მიმართ |თანხის დაკისრების თაობაზე.

1. მოპასუხე ნატო ჯაფარიძეს სარჩელის თაობაზე პასუხის (შესაგებლის) წარდგენისათვის განესაზღვროს 05 (ხუთი) დღის ვადა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში წარმოსადგენად (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

2. განემარტოს მოპასუხეს, რომ სარჩელი და თანდართული მასალები მისთვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გაზეთში გამოქვეყნებიდან მეშვიდე დღეს და სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა აითვლება ამ დროიდან.

3. განემარტოს მოპასუხეს, რომ სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი. საპატიო მიზეზად კი ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით, ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთიუთებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

4. განემარტოს მოპასუხეს, რომ მის მიერ, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას, რის შესახებას ეცნობება მხარეებს ამ კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებების მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

5. განემარტოს მოპასუხეს, რომ სასამართლოში წარმოდგენილ წერილობით პასუხში მითითებული უნდა იყოს:

სამართლოს დასახელება, რომელშიც მოპასუხეს შეაქვს პასუხი;

მოპასუხის, მისი წარმომადგენლის (თუ პასუხი შეაქვს წარმომადგენელს), მოქმის, სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის სახელი, გვარი (სახელწოდება), ძირითადი მისამართი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი, აგრეთვე არსებობის შემთხვევაში ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მათ შორის მობილური, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი; პასუხში შესაძლოა მიუთითოს ასევე საკონტაქტო პირის მონაცემები;

ცნობთ თუ არა სარჩელს და რა ნაწილში; ხოლო თუ არ ცნობთ, მაშინ რა კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს ემყარება თქვენი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ; ასევე მტკიცებულებები, რომებიც ადასტურებს თქვენს მიერ მითითებულ გარემოებებს;

რა საპროცესო საშუალებებით აპირებთ სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ სარჩელის დასაშვებობას, ხომ არ გაქვთ აცილება მოსამართლის ან სასამართლოს მიმართ და ა.შ.

ვინ შეიძლება ჩაებას პროცესში თანამონაწილედ ან მესამე პირად;

რომელი მოწმე უნდა იქნას გამოძახებული სასამართლოს სხდომაზე და სხვა შუამდგომლობები;

პასუხისათვის დართული დოკუმენტების ნუსხა;

**მოპასუხის მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე;**

პასუხს უნდა დაერთოს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ პასუხი სასამართლოსი შეაქვ წარმომადგენელს;

პასუხში სრულყოფილად და თანმიმდევრობით უნდა აისახოს მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ გარემოებას, ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოთ შესაბამისი არგუმენტაციით;

მოპასუხე ვალდებულია პასუხს დაურთოთ მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფლება შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები; მოპასუხე უფლებამოსილია მტკიცებულებათა წარდგენისათვის მმოითხოვოს გონივრული ვადა;

მოპასუხე ვალდებულია თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ წარუდგინოს სასამართლოს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. შესაგებელი უნდა პასუხობდეს საქართველოს სამოოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ მოთხოვნებს;

მოპასუხეს შეუძლია პასუხის შეტანისას განაცხადოს, რომ თანახმაა წერილობითი მასალები მიიღოს ელექტრონული ფოსტით. ასეთ შემთხვევაში სასამართლო, როგორც წესი, მოპასუხეს მასალებს უგზავნის ელექტრონული ფოსტით;. სხვა სახის შუამდგომლობები;

**6.** განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთ "ახალ თაობა"-ში;

7. აღნიშნული განჩინების გამოქვეყნება დაევალოს მოსარჩელეს სს "ბანკი რესპუბლიკა"-ს საკუთარი ხარჯით;

**8.** განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

***მოსამართლე: /დიანა ბერეკაშვილი/***

# სამცხე-ჯავახეთში ისტორიული ძეგლების რეაბილიტაცია სრულდება

**სამცხე-ჯავახეთში არსებული ქართული ისტორიული ძეგლების სარეაბილიტაციო სამუშაოები დასასრულს უახლოვდება. გათვალისწინებული სამუშაოები საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა უკვე მოინახულა. ვარძიის სამონასტრო კომპლექსში გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები უკვე დასრულებულია, მოწყობილია სპეციალური ტურისტული ბილიკები. მოეწყო წყლის სისტემებიც. მას ქვეყნის ტურისტული პოტენციალის გაზრდის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ახალი, ისტორიული გზა, რომელიც სამცხე-ჯავახეთში გაკეთდა, დამთვალიერებლებს საშუალებას აძლევს, ხერთვისიდან ვარძიამდე მოინახულონ თმოგვის ციხე, წუნდის ეკლესია და ვანის ქვაბების სამონასტრო კომპლექსი. ყოველწლიური აუცილებელი გაწმენდითი სამუშაოები ვარძიაში დასრულებულია. სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე ამჟამად სარეაბილიტაციო სამუშაოები საფარის სამონასტრო კომპლექსსა და ტიმოთესუბნის ეკლესიაში მიმდინარეობს.**

**ეკა ირემაშვილი**

საფარის სამონასტრო კომპლექსი ძირძველი ქართული მხარის, მესხეთის მიწაზე მდებარეობს, ახალციხიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით ათიოდე კილომეტრის დაშორებით. ადრე აქ სამცხის ათაბაგთა, ჯაყელთა, ერთ-ერთი რეზიდენცია იყო, ამიტომ ამ ადგილებში ძველ ნაგებობათა მრავალფეროვნებაა. საფარის კომპლექსი მაღალი მთის ტერასაზე ტყით დაბურულ ვიწრო ხეობაშია განლაგებული, რომლის ქვემოთ, ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდინარე ურაველისწყალი მიედინება. სამონასტრო კომპლექსში სხვადასხვა ეპოქის მრავალი ნაგებობა შედის. მათ შორის ცენტრალურია წმინდა საბას ტაძარი. მის გარდა, აქაა რადენიმე დიდი და პატარა ეკლესია, სამრეკლო, საცხოვრებელი სახლები, სასახლე, კოშკები, სენაკები და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობა. ეს შენობები მთის ფერდობის სხვადასხვა სიმაღლეზე მდებარეობს. საფარის ანსამბლის დღემდე მოღწეული ნაგებობებიდან უძველესია ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი. იგი X საუკუნით თარიღდება. მას მოგვიანებით მიადგეს წმიდა საბას სახელობის ეკლესია, რომლის თანადროულია იქვე, დასავლეთით მდგარი სამრეკლო. წმიდა საბას სახელობის ტაძარი XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზეა აგებული. მისი აშენება უკავშირდება სამცხის მმართველებად ჯაყელთა ფეოდალური გვარის აღზევებას. მისი აგების შესახებ ისტორიული წყაროები თითქმის არაფერს გვაუწყებენ, მაგრამ ტაძრის კედლებსა და ფრესკებზე შემორჩენილი წარწერები მისი დათარიღებისა და ქტიტორთა შესახებ ძალზე საინტერესო ცნობებს იძლევა. ამ მხრივ ყველაზე მეტყველ მასალას გვაძლევს ტაძრის სამხრეთი კედლის მხატვრობის ქვედა რეგისტრზე არსებული ოთხი პირის ჯგუფური გამოსახულება. მათგან პირველი სასულიერო პირია შავი მოსასხამით, რომლის თავთან არსებული ასომთავრული წარწერა — (საბა ათაბაგი) იდენტიფიცირებულია სამცხის ცნობილ ათაბაგთან სარგისთან, რომელიც ბერად აღკვეცის შემდეგ საბას სახელს ატარებდა. საბას უკან დგას ბექა მანდატურთუხუცესი, რომელსაც ხელში ეკლესიის მოდელი უჭირავს. იგი ქტიტორია ტაძრის, რომელიც მამის — სარგისის ბერად აღკვეცის შემდეგ ხდება ათაბაგი და მამის სიცოცხლეშივე, დიდად ნაამაგარი სარგისოყფილ საბას სახელზე აშენებს ტაძარს. ამ ცნობას ძველი ქართლის ცხოვრების ბოლო ასწლოვანი მონაკვეთის ავტორის ჟამთააღმწერლის უწყებაც ადასტურებს. ჯგუფური ფრესკის მეორე პირი, წარწერის მიხედვით, სამცხის სპასალარი სარგისია, ხოლო ჯგუფის ბოლოს მდგარი უწვერული ახალგაზრდა, რომელსაც წარწერა არ შერჩენია, ესაა „ბექას მეორე ვაჟი ყუარყუარა“. იქვე ფრესკაზე, სარგისის თავს ზემოთ, მოთავსებული ყოფილა მშენებლობისა და მხატვრის მაუწყებელი წარწერა, რომლის მარჯვენა ნაწილი ბათქაშიანად ჩამოცვენილა. წარწერის შერჩენილი ფრაგმენტის მიხედვით ირკვევა, რომ ტაძრის მომხატველიც ბექა მანდატურთუხუცესი ყოფილა. ტაძრის კარიბჭის დასავლეთის სარკმლის ორივე თაღზე და მარჯვენა კედელზე საღებავით შესრულებული წარწერები იუწყება მისი ხუროთმოძღვრის შესახებაც. ტაძრის დასავლეთის კედლის, კარის ტიმპანის და პატრონიკეთა განაპირა მრგვალი სარკმლების ირგვლივ არსებული ეპიგრაფიკული წარწერები იმ კერძო პირთა ვინაობას გვატყობინებს, რომელთაც გარკვეული მონაწილეობა მიუღიათ ეკლესიის მშენებლობაში ან შეწირულობები შეუწირავთ. ეპიგრაფიკული წარწერების მრავალრიცხოვნების მიუხედავად, ტაძრის აგების თარიღის შესახებ არაფერია უწყებული, თუმცა, ქართლის ცხოვრების მიხედვით, ცნობილია დაახლოებითი თარიღი ბექას სამცხეში გამთავრებისა და, აქედან გამომდინარე, საფარის წმიდა საბას სახელობის ტაძრის აგებას XIII საუკუნის 80-იან წლების დასაწყისს მიაკუთვნებენ. ტაძრის ასაშენებლად რთულ რელიეფიან ხევში მშენებლებს საგანგებო ბაქანი შეუქმნიათ და ამისთვის ხელსაყრელ ადგილად უკვე არსებული მიძინების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია მიუჩნევიათ, ამიტომაც წმიდა საბას ტაძარი უშუალოდ არის მიდგმული ძველ საყდართან. ახალი ტაძრისთვის სამი მხრიდან — დასავლეთიდან, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან — მშენებლებს დაუტოვებიათ შესასვლელები, მაგრამ ხატმწერს სამხრეთის კარი ამოუშენებია და მთელი ფასადი ერთიან მოსახატ სიბრტყედ გადაუქცევია. ტაძრის შიდა სივრცის მთავარი ნაწილი შექმნილია ცენტრალური ჯვრით, რომლის აღმოსავლეთის მკლავი აფსიდით მთავრდება, დანარჩენი კი სწორკუთხაა. ამათგან, სამხრეთისა და ჩრდილოეთის მკლავები მოკლეებია, ხოლო დასავლეთისა მათ თითქმის ორჯერ აღემატება. აფსიდისა და ბემისაგან შემდგარი საკურთხეველი შეისრული კონქითა და კამარითაა გადახურული. საკურთხევლის ცენტრში ტრაპეზია. საკურთხევლის სამხრეთით და ჩრდილოეთით სადიაკვნო და სამკვეთლოა. ორივე სათავსო ერთნარია. მათი ძირითადი სივრცის საფუძველი კვადრატს უახლოვდება და აღმოსავლეთით ღრმა აფსიდით მთავრდება. ამ სათავსოთა განათება აღმოსავლეთის მხრიდან არსებული თითო სარკმლით ხდება. სადიაკვნესა და სამკვეთლოს თავზე ე.წ. საიდუმლო ოთახებია განლაგებული. სადიაკვნისა და სამკვეთლოს შესასვლელები დარბაზიდანაა, სამკვეთლო საკურთხეველთან კარითაა დაკავშირებული. ტაძრის ცენტრალური სივრცის დამაგვირგვინებელი გუმბათი ეყრდნობა საკურთხევლის კუთხეებსა და დასავლეთის პილონებს. ტაძრის შიდა სივრცე საშუალოდაა განათებული. სინათლის ძირითადი წყარო გუმბათის ყელში არსებული რვა სარკმელი და ჯვრის ყოველ მკლავში განლაგებული თითო სარკმელია. წმიდა საბას ეკლესიის კედლის ძველი მიძინების კედელზე მიშენების გამო ერთმანეთში შესასვლელი კარი არის გაჭრილი. ეკლესიათა იატაკების დონეთა დიდი სხვაობის გამო ახალი ტაძრიდან ძველში ჩასასვლელად კიბეა მოწყობილი. ახალ ტაძარში, სადიაკვნოს ქვეშ დუღაბის კამაროვანი გადახურვითა და დიდ ლოდებიანი კედლებით ნაშენი სათავსი — საძვალე სამარხი ყოფილა. დასავლეთის კარიბჭე სანახევროდ ღია სათავსს წარმოადგენდა. მისი სამხრეთის მხარე პატარა სამლოცველოს უკავია, ხოლო მოპირდაპირე — ჩრდილოეთის მხარეს კედელია პატარა კარითურთ, დასავლეთის მხარე კი ღიაა სამი შეისრული თაღით. საფარის წმიდა საბას სახელობის ტაძარი არქიტექტურული თვალსაზრისით შუაფეოდალური ხანის ცენტრალურ-გუმბათოვან ეკლესიათა განვითარების უკანასკნელ საფეხურზე დგას. მასში ჯერ კიდევ ჩანს ქართული საეკლესიო არქიტექტურის სიდიადე, იგი გრანდიოზულისა და დიდებულის შთაბეჭდილებას ტოვებს. საკმაოდ ვრცელი ინტერიერი აქვს, გარე მასები კი იმპოზანტურად გამოიყურება. ინტერიერის ყველა ნაწილი კარგადაა ურთიერთშერწყმული. საფარის ტაძრის ოსტატის მიერ შექმნილ აღნიშნულ კომპოზიციას არც წინამორბედი ჰყოლია და არც მიმდევარი. საფარის გუმბათის ყელისა და კარიბჭეთა მორთულობის შესახებაც ძალიან ბევრი საინტერესო დეტალი შეიძლება გამოიკვეთოს, რითაც იგი წინა და შემდეგდროინდელი ტაძრებიდან მკვეთრად გამოირჩევა. საფარელ ოსტატს მორთულობის გამარტივებისა და სისადავისაკენ სწრაფვა ახასიათებს. საფარა ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი გამორჩეული ტაძარია. მასში ერთი მხრივ ჩანს წინა საუკუნეების დიდებული მემკვიდრეობითობა და, მეორე მხრივ, იმ დაღმართის საწყისი ეტაპი, რაც შემდეგდროინდელი ქართული სატაძრო არქიტექტურის დამახასიათებელ ნიშნად გვევლინება.

ტიმოთესუბნის ეკლესია ბორჯომიდან, წაღვერიდან სამი კილომეტრის დაშორებით, მდინარე თორის ღრმა და ვიწრო ხეობაში მდებარეობს. ტიმოთეს უბანში დღესაც შეიმჩნევა სხვადასხვა სახის ნაგებობათა ნანგრევები. მონასტერი XVIII საუკუნემდე მოქმედი იყო, XIX საუკუნეში იგი დაყრუვდა და დაცარიელდა, შენობები კი დაინგრა. ტიმოთესუბნის გუმბათიანი ეკლესია რამდენჯერმე შეაკეთეს. ტიმოთესუბნის სამონასტრო კომპლექსის შენობათა შორის მთავარი ნაგებობაა წმინდა მარიამის დიდი




...ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი

**მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.**
**შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.**

**დარეკეთ!**

**მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607**
**ახალი ქსელები 700 608**
**გაერთიანებული ტელეკომი 608 608**



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად
შეგიძლიათ გამოიყენოთ
**სწრაფი გადახდის აპარატები**

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

**ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.**


# ქართველი რეჟისორი ჩერნობილის ტრაგედიაზე ფილმს იღებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ავარიის შედეგად გაჩენილმა რადიოაქტიურმა ღრუბელმა გადაიარა ევროპული ნაწილი, აღმოსავლეთი ევროპა, სკანდინავია, დიდი ბრიტანეთი და აშშ-ის აღმოსავლეთი ნაწილი. რადიოაქტიური ნალექის 60% დაილექა ბელორუსიის ტერიტორიაზე. დაბინძურებული ზონიდან ევაკუირებული იყო დაახლოებით 200. 000 ადამიანი.

ეს ავარია გახდა უდიდესი სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენა. მისი მიზეზების გამოძიება დიდი ხნით გაჭიანურდა. ფაქტების ინტერპრეტაცია და ავარიის ვითარების ანალიზი დროთა განმავლობაში იცვლებოდა და ამიტომ დღემდე მასზე სრული და ზუსტი ინფორმაცია არ არსებობს.

მეოთხე ბლოკში უშუალოდ აფეთქების დროს დაიღუპა ერთი კაცი, კიდევ ერთი დამწვრობებით დაიღუპა იმავე დღეს. ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის 134 თანამშრომლიდან და მაშველი ჯგუფის წევრებიდან, რომლებიც აფეთქებისას იმყოფებოდნენ სადგურზე, მოგვიანებით 28 დაიღუპა დასხივების შედეგად.

— აფეთქებისას შენობის სხვადასხვა განყოფილებაში და სახურავზე გაჩნდა ხანძარი. ამის შემდეგ აქტიური ზონების ნარჩენები ჩამოდნა. დამდნარი ლითონის, სილის, ბეტონისა და საწვავის ნარჩენის ნარევი მოედო ქვერეაქტორის განყოფილებებს. ავარიისას მოხდა რადიოაქტიური ნივთიერებების გავრცელება. მათ შორის იყო ურანის იზოტოპი, პლუტონიუმი, იოდი-131, ცეზიუმი-134, ცეზიუმი-137 და სტონციუმი-90. ეს ძალიან საშიში ნივთიერებებია, — ამბობს რეჟისორი.

პირველ რიგში ავარიის მიზეზად დაასახელეს პერსონალი. თუმცა ბოლო წლებში ავარიის მიზეზების ამხსნელი ვერსიები სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ხელახლა განიხილება. თანამედროვე ანგარიშებში ავარიის მიზეზები შემდეგია — რეაქტორი იყო არასწორად დაპროექტებული და საშიში; პერსონალი არ იყო სავარაუდო საფრთხის შესახებ ინფორმირებული; მათ დაუშვეს რამდენიმე შეცდომა და დაარღვიეს არსებული ინსტრუქციები რეაქტორის მუშაობით გამოწვეული საფრთხის ინფორმაციის არქონის გამო. დაცვის მექანიზმის გამორთვა ან არ იმოქმედებდა ავარიის განვითარებაზე, ან არ შეეწინააღმდეგებოდა დოკუმენტების ნორმატივებს.

— ევროპაში ამ ავარიის შემდეგ დაფიქსირებულია ახლად დაბადებულთა სიკვდილიანობის 10 ათასი შემთხვევა, 10 ათასი ფარისებრი ჯირკვლის კიბოს შემთხვევა და მოსალოდნელია კიდევ 50 ათასი. 1987 წელს დაფიქსირდა დაუნის სინდრომის რამდენიმე შემთხვევა, ბავშვთა სიკვდილიანობა ძალიან მაღალი იყო სამივე დაზარალებულ ქვეყანაში. ეს საკმაო საგანგაშო რიცხვებია და მათდამი ყურადღების გამოჩენა გვმართებს, — აღნიშნავს ფილმის ავტორი.

ალექსანდრე მინდაძის ფილმის მთავარი გმირი, კომკავშირელი მუშაკი, ვალერი კაბიში, ერთ-ერთი პირველი იგებს სიმართლეს ჩერნობილთან დაკავშირებით და არჩევნის წინაშე დგება — გააფრთხილოს თავისი მეგობრები მომხდარის თაობაზე, გადაარჩინოს ისინი და გადარჩეს თავად თუ შეასრულოს „ზევიდან“ წამოსული ბრძანება — „პანიკას ნუ დათესავთ“. როგორ განვითარდება მოვლენები, ამას მაყურებელი უკვე ფილმის პრემიერაზე ნახავს.

ფილმში მთავარ როლს რუსი მსახიობი ანტონ შაგინი ასრულებს. ფილმში ასევე დაკავებული არიან სვეტლანა სმირნოვა-მარცინკევიჩი, სტანისლავ რიადინსკი, სერგეი კუზმინი და სხვები. ალექსანდრე მინდაძის ფილმის „შაბათს“ პრემიერა 2011 წლის გაზაფხულისთვის არის დაგეგმილი.

# ნინო ქათამაძემ ტაიმ აუტი აიღო

დასაწყისი მე-12 გვერდზე

როგორც ნინო ქათამაძის ოფიციალურ საიტზეა ნათქვამი, ქართველი მომღერალი და ჯგუფი „ინსაითი“ საგასტროლო ტურნეს 17 თებერვლიდან განაახლებს. მომღერლის კონცერტები ძირითადად რუსეთისა და უკრაინის ქალაქებშია დაგეგმილი. პირველ კონცერტს ნინო ქათამაძე დონეცკში გამართავს, შემდეგ სევასტოპოლს ესტუმრება. მარტიდან ქართველ მომღერალს სიმფეროპოლში, დნეპროპეტროვსკში, ხარკოვში, იჟევსკში, პერმში, ტიუმენში, ეკატერინბურგსა და ჩელიაბინსკში ელიან. ნინო ქათამაძე საგასტროლო ტურნეს ჯგუფ „ინსაითთან“ ერთად 7 აპრილს დაასრულებს. ჩაატარებს თუ არა კონცერტს მომღერალი საქართველოში, ამაზე მის ოფიციალურ ვებგვერდზე არაფერია ნათქვამი.

## განცხადებები

● ქირავდება ერთოთახიანი ბინა ალმაშენებელზე, ჭავჭავაძის ქუჩაზე (ყოფილი შეროზია), III სართული, გარემონტებული. ფასი 200 დოლარი. ტელ: 855-45-90-06; 893-27-24-61.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

● იყიდება საკარმიდამო მიწის ნაკვეთი 2000 და 2500 კვ.მ. სასმელი და სარწყავი წყლით, ხეხილით, მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში. თბილისიდან 30 კმ-ში. ფასი 1 კვ.მ 2 დოლარი. ტელ: 890-53-02-41; 53-15-87;

● ბაგებში იყიდება მიწის ნაკვეთი, 716 კვ.მ. შესანიშნავი ხედით, დამტკიცებული პროექტითა და მშენებლობის ნებართვით. მიყვანილია ყველა სახის კომუნიკაცია. ტელ: 899-49-02-67.

● ვყიდი 37,5 კვ-იან დიზელის გენერატორს და ვიყიდი 15 ან 20 კვ-იან დიზელის გენერატორს. შესაძლებელია გაცვლაც. ტელ.: 890-388-142. 899-388-141.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● იყიდება ერთოთახიანი იზოლირებული ბინა დიდი ლოჯით, სამზარეულოთი, ვანა-ტუალეტით. საერთო ფართი 54 კვ.მ. იტალიური ეზოს მე-2 სართულზე (ხარფუხში, დემირელის სკოლასთან). ტელ.: 857 99 05 40.

● იყიდება ავტომობილი „ნივა“ კარგ მდგომარეობაში, ფასი 2000. ტელ:. 899 932 732.

# გოგიტა გოგუა „ვოლგას“ შეუერთდა

საქართველოს ნაკრების ფეხბურთელმა გოგიტა გოგუამ რუსული პრემიერლიგის დასრულების შემდეგ კლუბი რომ შეიცვალა და ნალჩიკის „სპარტაკიდან“ ნიჟნი-ნოვგოროდის „ვოლგაში“ გადაბარგდა, უცხო არავისთვის არ უნდა იყოს.

ჩვენებური გუშინ კლუბის განკარგულებაში იყო, მანამდე კი ახალი წელი საქართველოში გაატარა, რამდენიმე ჭიქა გემრიელი ღვინო დალია და საკუთარ თავსა თუ ახლობლებს ბედნიერი ახალი წელი უსურვა.

თუმცა, ეს მხოლოდ ახალ წელს ხდებოდა და გოგუა უკვე ვარჯიშს შეუდგა. თუ რას აპირებს ახალ კლუბში ქართველი ფეხბურთელი, იმ მცირე ინტერვიუდან შეიტყობთ, რომელიც „ვოლგას“ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

***— როგორ შეაფასებდით გასულ წელს და სეზონს?***

— ვერ გეტყვით, რას იტყვიან საფეხბურთო სპეციალისტები და ჟურნალისტები გოგიტა გოგუაზე, მაგრამ შემიძლია დარწმუნებით გითხრათ, რომ გასული წელი საუკეთესო იყო ჩემს კარიერაში.

***— მაშინ რატომ გადაწყვიტეთ კლუბის შეცვლა?***

— ახლა აუცილებლად მჭირდებოდა ცვლილებები, ახალი სიტუაცია, ახალი კოლექტივი. ნალჩიკელებთან კონტრაქტი დამიმთავრდა და ცვლილებების მოსახდენად დროული მომენტი დადგა. ნალჩიკურმა კლუბმა ჩემთვის ძალიან ბევრი გაიღო, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი როგორც ხელმძღვანელობას, ისე — გულშემატკივარს.

***— „ვოლგაზე“ რა შეგიძლიათ თქვათ?***

— სიმართლე გითხრათ, გუნდის შესახებ დიდი არაფერი ვიცი, რადგან ჯერ საქმეში არ მინახავს. ერთადერთი, გასულ ზაფხულს „ვოლგას“ რუსეთის თასზე ვეთამაშეთ და მაშინ ვესაუბრე მთავარ მწვრთნელს. ვიცი, რომ მეგობრული გუნდია და შესანიშნავი გულშემატკივარი ჰყავს. ამ გუნდში ბევრი ჩემთვის ნაცნობი ფეხბურთელია, რომელთანაც რუსეთის ჩემპიონატში გზების გადაკვეთა მომიხდა.

***— ვოლგასა და ოკას სანაპიროზე ოჯახის ჩამოყვანას გეგმავთ?***

— რა თქმა უნდა. თუმცა, მანამდე მე უნდა მოვერგო გუნდს და შევეჩვიო ახალ გარემოს.

# განსაკუთრებული ლეონარდო — „მილანიდან“ „ინტერში“



„მილანის“ ექსმწვრთნელი, ბრაზილიელი ლეონარდო სათავეში მეორე მილანურ კლუბსა და „როსონერის“ დაუძინებელ მწვრთნელ „ინტერს“ რომ ჩაუდგა სათავეში, არახალი ამბავია. აღსანიშნავია, რომ 41 წლის სპეციალისტი დიდი ამბიციებით მივიდა გუნდში, გულშემატკივრებს უკვე ჩემპიონობის შანსი ახარა და განაცხადა, რომ ეს მაშინაც კი შესაძლებელია, თუ კლუბი კაკას გადაბირებას ვერ შეძლებს.

„ინტერმა“ კი საახალწლოდ გადაწყვიტა მწვრთნელის შეცვლა. ყოველთვის უკმაყოფილო ბენიტესი, რომელმაც ვერც ის დონე შეინარჩუნა, რასაც გუნდი გასულ სეზონში აჩვენებდა, კლუბის პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ თავიდან მოიშორა. ახლა კი ინტერნაციონალურ გუნდს ლეონარდო გაწვრთნის, რომელიც „მილანში“ თამაშით ახსოვს გულშემატკივარს. საერთოდ, ამ გუნდებში ფეხბურთელების თუ მწვრთნელების გადასვლა უცხო არ არის, მაგრამ არც ხშირი შემთხვევებია, ამიტომაც იყო, ლეონარდოს „მილანის“ გარშემო მყოფმა ადამიანება მოღალატე რომ უწოდეს, მაგრამ ბრაზილიელს ეს სულაც არ ანაღვლებს. მით უფრო, რომ „მილანში“ მისი მწვრთნელობა არ შედგა და ახალ ძალებს „ინტერში“ მოსინჯავს.

რამდენად სწორი გამოდგება თავად „ინტერის“ ხელმძღვანელთა გადაწყვეტილება, ეს სეზონის ბოლოს გამოჩნდება, მანამდე კი გთავაზობთ ლეონარდოს ინტერვიუს, რომელიც იტალიურ მედიაში გამოქვეყნდა.

***— რას ნიშნავს თქვენთვის ისეთი კლუბის გაწვრთნა, როგორიც „ინტერია“?***

— ეს გუნდი ჩემთვის არის მძლავრი, მიმზიდველი და მოულოდნელი გამოცდა. ახლა გავწვრთნი მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ კლუბს, ამასთან, კლუბის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში. გასულ წელს ხომ „ნერაძურიმ“ ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც შეიძლებოდა — სერია ა, იტალიის თასი, ჩემპიონთა ლიგა და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი.

***— ელოდით, რომ ასეთ საპასუხისმგებლო და სერიოზულ წინადადებას შემოგთავაზებდნენ?***

— სიმართლე გითხრათ, „ინტერი“ ჩემთვის რეალობად იქცა. ვოცნებობდი სერიოზულ კლუბში მემუშავა, ხოლო „ინტერის“ წინადადებაზე უფრო სერიოზულს ვერც მოვიგონებდი.

***— როდესმე თვლიდით თავს ინტერისტად?***

— ყოველთვის ვაფასებდი თავისუფლებას, მინდოდა ყველაფერი ჩემებურად გამეკეთებინა. „მილანთან“ ძალიან ბევრი საერთო მაქვს, რადგან იქ დიდი დრო გავატარე, რომელსაც ვერასდროს დავივიწყებ, მაგრამ ახლა თავს დამნაშავედ არ ვგრძნობ. უბრალოდ, არ შემეძლო „ინტერის“ წინადადებაზე უარი მეთქვა, რადგან ეს განსაკუთრებული რამ არის, ნამდვილი გამოწვევა.

***— რას გრძნობთ მაშინ, როდესაც „მილანის“ მხარდამჭერები მოღალატეს გიწოდებენ?***

— მრჩება მხოლოდ ის გრძნობა, რომ ყველას აზრი დავაფასო, რადგან მე თვითონაც ყოველთვის ჩემს აზრს ვიცავდი. მათ შემიძლია ერთი ვუთხრა — მე ჩემს თავს ვერ დავადანაშაულებ ამ გადაწყვეტილების მიღებაში, მით უფრო, რომ იმ მომენტში თავისუფალი ვიყავი.

***— შეგიძლიათ შეადაროთ „მილანის“ და „ინტერის“ პირველი სამწვრთნელო დღეები?***

— არ შეიძლება ამ სიტუაციების შედარება მაშინაც კი, როდესაც ერთსა და იმავე კლუბს რამდენიმე წლის განმავლობაში წვრთნი, ყოველი წელი ახალი და განსაკუთრებულია. „მილანში“ 12 წელი ვთამაშობდი და ეს ძალიან დამეხმარა იქაურობა ჩემთვის ნაცნობი ყოფილიყო. „ინტერშიც“ ვიცნობ რამდენიმეს, მაგრამ ბევრის გაგება კიდევ საჭიროა. საერთოდ, ჩემი თავიც განსაკუთრებული მგონია — ვმუშაობდი „მილანში“ და ახლა ვარ — „ინტერში“.

***— გაქვთ სურვილი „ინტერში“ მუშაობისას ვინმეს დაემსგავსოთ?***

— მივხვდი, რომ ჟოზე მოურინიო გაქვთ ნაგულისხმები. მას რამდენიმე დღის წინ ვესაუბრე, რადგან არ შეიძლება „ინტერში“ დაიწყო მუშაობა და მოურინიოს გვერდი აუარო. ის ამ გუნდში დიდებულად მუშაობდა. ჩვენ რამდენიმე საკითხზე ვისაუბრეთ და მოხარული დავრჩი მისი რჩევებით. ჟოზე მართლაც ვარსკვლავია — ის არამარტო შესანიშნავად მუშაობს გუნდთან, არამედ თავისი იმიჯი აქვს პრესკონფერენციებზე. მან ფეხბურთს ყველაფერი მიუძღვნა და მისი ნამუშევარი „ინტერში“ ახლაც ჩანს.

***— თქვენი აზრით, „ინტერს“ აქვს შანსი მოიგოს წლევანდელი იტალიის ჩემპიონატი?***

— ამაში ეჭვიც არ მეპარება — შანსები, რა თქმა უნდა, გვაქვს. მართალია, სადღეისოდ კონკურენტებს ჩამოვრჩებით, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ შესაძლებელია მათთან გათანაბრება.

***— „მილანი“ ახლა თქვენი კონკურენტია. მზად ხარ მასთან საბრძოლველად?***

— ახლა ჩემპიონობის მთავარ ფავორიტებად ისინი მიიჩნევიან, მაგრამ ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ დავეწიოთ. ვფიქრობ, საკლუბო ჩემპიონატის მოგებამ „ინტერის“ ფეხბურთელები უფრო ემოციურად დამუხტა და ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უნდა გახდეს ჩვენთვის.

***— რაც შეეხება ახალ შენაძენებს, მონიშნეთ ვინმე? იქნება „ინტერში“ ახალი ტრანსფერები?***

— კლუბის პრეზიდენტმა უკვე განაცხადა, რომ მზად არის 5 ფეხბურთელი შეიძინოს.

***— ამბობენ, რომ „ინტერი“ მზად არის კაკას შესაძენად.***

— ამ ფეხბურთელს კარგად ვიცნობ და ის „რეალიდან“ მანამდე არ წამოვა, სანამ მასთან ერთად რამდენიმე ტიტულს არ მოიგებს. ამის შესახებ პირადად მითხრა და ეჭვიც არ მეპარება, რომ ასე იქნება. რაც შეეხება სხვა შენაძენებს, ამაზე კონტაქტი სპორტულ დირექტორთან მქონდა და აუცილებლად იქნება.

# ნუგზარ კანდელაკი მედიკოსებს გაწვრთნის

სატრანსფერო გაწამაწია მიმდინარეობს საკალათბურთო გუნდებს შორისაც. ბოლო დროის ყველაზე ხმაურიან გარიგებად სამედიცინო უნივერსიტეტის სამწვრთნელო შტაბის გამოცვლა უნდა მივიჩნიოთ. მედიკოსებს სერგო იშხნელის ნაცვლად ნუგზარ კანდელაკი გაწვრთნის. გუნდის ხელმძღვანელობას მწვრთნელის შეცვლა არასახარბიელო შედეგმა გადააწყვეტინა — გუნდს საკმაოდ კარგი შემადგენლობა ჰყავს, თუმცა პირველი წრის 11 მატჩში მხოლოდ 3 მატჩის მოგება მოახერხა.

შეიცვალა ასისტენტიც — სერგო იშხნელის თანაშემწედ მისი ვაჟი, ვახტანგ იშხნელი მუშაობდა, რომლის ნაცვლად ვეტერანი კალათბურთელი, ძველი „დინამოს“ წევრი თენგიზ ფიცხელაური დაინიშნა.

რაც შეეხება ახლა მწვრთნელს. კანდელაკი საკმაოდ სახელიანი და გამოცდილი მწვრთნელია. სუპერლიგაში ბოლოს 2008-09 წლის სეზონში მუშაობდა, როდესაც ქართულ-აზერბაიჯანულ „ნტდ-დევონს“ წვრთნიდა. მაშინ მოახერხა და გუნდი პლეი-ოფში გაიყვანა, სადაც მეოთხედფინალში 0:2 დამარცხდა „ავიამშენთან“.

ამ სეზონის დაწყებამდე, კანდელაკს რუსული „ხიმკი“ ეპატიჟებოდა, მაგრამ ბოლო მომენტში მათი თანამშრომლობა არ შედგა. არადა, „ხიმკი“ რეგულარულად ასპარეზობს ევროტურნირებზე.

ჩაშლილი რუსული ვარიანტის შემდეგ კანდელაკი სათავეში 18-წლამდე ჩემპიონატში მოთამაშე „ავერსს“ ჩაუდგა და საწყის ტურებში ყველა მატჩი მოაგებინა. თუმცა, ახლა მისი დახმარება სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდს დასჭირდა და ახალი წლიდან ამ გუნდში იმუშავებს.

როგორც შევიტყვეთ, კანდელაკის გადაბირების სურვილი „ბათუმსაც“ ჰქონდა, რომელიც დავით უსტიაშვილის შსს-ში გადასვლის შემდეგ კვალიფიციურ სპეციალისტს ეძებს. თუმცა, ბათუმელებმა დააგვიანეს.

სავარაუდოდ, ცვლილებები მედიკოსთა შემადგენლობაშიც უნდა ვიხილოთ, რადგან ყველა მწვრთნელს თავისებური ხედვა აქვს და ყოველთვის ახალი კალათბურთელები მიჰყავს გუნდში.

ქართული კლუბების სასიამოვნო სიახლე კიდევ ის არის, რომ უკვე დაიწყეს უცხოური შეკრებების გავლა, რაც უსახსრობის გამო აქამდე უიშვიათესი (ბოლო დროს კი საერთოდ არ ხდებოდა) შემთხვევა იყო. წელს კი ერთბაშად 2 გუნდი შეკრებაზე საზღვრებს გარეთ გაემგზავრა.

სლოვენიაში წავიდა „არმია“, რომელიც იქ 16 იანვრამდე გაჩერდება და რამდენიმე ამხანაგურ მატჩსაც გამართავს. ჯერჯერობით, მეტოქეები ცნობილი არ არის, მაგრამ როგორც შევიტყვეთ, გუნდები იქაური ჩემპიონატის უმაღლესი ლიგიდან შეირჩევა.

10 დღე დაჰყოფს თურქეთის ქალაქ ანტალიაში „სოხუმი“. საწვრთნელ ვარჯიშებთან ერთად ზღვისპირელები 8, 10 და 12 იანვარს 3 საკონტროლო მატჩს გამართავენ. მათი მეტოქეები ძირითადად თურქეთის მეორე ლიგის გუნდები იქნებიან.

„სოხუმი“ საქართველოში 14 იანვარს დაბრუნდება.

# ქართული გუნდები თურქეთში მოემზადებიან

ჩაიარა ახალი წლის სადღესასწაულო დღეებმა და საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდების გარკვეული ნაწილი უკვე შეუდგა მეორე ეტაპისთვის მზადებას.

თბილისის „დინამო“ საკუთარ ბაზაზეა და ორჯერად ვარჯიშებით შემოიფარგლება. პირველ ეტაპზე ყურადღება ფიზიკური კონდიციების აღდგენა-ამაღლებას დაეთმობა. მეორე ეტაპს გუნდი უკვე 23 იანვრიდან დაიწყებს. „დინამო“ თურქეთის ზღვისპირა ქალაქ ანტალიაში გაემგზავრება და იქ 2 საკონტროლო მატჩის გამართვასაც გეგმავს.

რაც შეეხება შემადგენლობაში ცვლილებებს, აქ განსაკუთრებული არაფერია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ჯერჯერობით, გაურკვეველია დავით მუჯირის გუნდში დარჩენა-წასვლის ბედი. სხვა მხრივ გუნდი იმ შემადგენლობით შეიკრიბა, როგორც პირველი ეტაპი ჩაამთავრა.

სამაგიეროდ, ცვლილებაა მწვრთნელთა ბანაკში. მეორე ეტაპზე გუნდის მთავარ მწვრთნელ კახა კაჭარავას დახმარებას ზაურ სვანაძე გაუწევს, რომელსაც „დინამოში“ ამავე თანამდებობაზე ადრეც უმუშავია, როდესაც ასისტენტობას კახა ცხადაძეს უწევდა. დინამოელი მეკარეების მწვრთნელად კვლავაც გელა ჭანტურია რჩება, ხოლო გუნდის ფიზმომზადებას ისევ მილოშ ევტიჩი უხელმძღვანელებს.

რაც შეეხება სეზონის ბოლოს „დინამოს“ მთავარ მწვრთნელად მომუშავე თამაზ სამხარაძეს, როგორც შევიტყვეთ, „დინამოს“ ბავშვთა აკადემიაში გადაინაცვლებს.

ვარჯიში დაიწყო ქუთაისის „ტორპედომაც“, რომელთა რიგებში რამდენიმე ახალწვეულია. ადრე უკვე ვწერდით, რომ გუნდში მივიდნენ მერაბ მეგრელაძე, რევაზ გოცირიძე, ნიკა მაისურაძე, ლუკა გუგუჩია, ლევან წურწუმია. ახალი წლიდან მათ კიდევ დაემატათ გრიგოლ დოლიძე, რომელსაც გულშემატკივრები საფეხბურთო კლუბ „ამერიდან“ იცნობენ. შემდეგ დოლიძემ ძალები აზერბაიჯანის ჩემპიონატშიც მოსინჯა, ბოლოს კი ზუგდიდის „ბაიაში“ იყო, საიდანაც ფინანსურ პრობლემებს გამოექცა და ახალი წლიდან თავი უკვე ქუთაისს შეაფარა.

ვარჯიშზე გამოჩნდა „სამტრედიას“ 2 ფეხბურთელიც — დავით კირკიტაძე და ლევან ბაკურაძე. თუმცა, მათი გუნდში დარჩენა მთავარ მწვრთნელზე იქნება დამოკიდებული — ორივე ფეხბურთელი ჯერ მხოლოდ სინჯებზეა.

ვარჯიშს არ დასწრებიან დავით დიღმელაშვილი და ნიკა საბანაძე, მაგრამ როგორც ირკვევა, მათი არყოფნის მიზეზი საპატიოა და გუნდს უახლოეს დღეებში შეუერთდებიან.

„ტორპედო“ ქუთაისში 22 იანვრამდე დაჰყოფს და „დინამოს“ ანტალიაში ერთი დღით ჩაასწრებენ. დინამოელთაგან განსხვავებით, რიონისპირელებს მეტი სპარინგი აქვთ დაგეგმილი და ცნობილია 5 მეტოქის ვინაობა, ვისთანაც „ტორპედო“ ითამაშებს.

25 იანვარს ტორპედოელთა მეტოქე უკრაინული „სევასტოპოლი“ იქნება, 27 იანვარს რუმინულ „გაზ მეთანს“ გაეჯიბრება, 29-ში მათი მეტოქე სომხური „ბანანცია“, 31-ში კი — მოლდავური „შერიფი“, ხოლო ბოლო მატჩს, 2 თებერვალს, ქუთათურები სავარაუდოდ, რუსულ „ტომთან“ გამართავენ. რუსებს ჯერ მხოლოდ წინასწარი თანხმობა აქვთ მიცემული, ამიტომ არსებობს იმის ალბათობა, რომ „ტორპედოს“ ბოლო მეტოქე შეეცვალოს.

თურქეთში გაივლის შეკრებას რუსთავის „ოლიმპი“ და 3 საკონტროლო მატჩი აქვთ დაგეგმილი. კლუბის პრესსამსახურის უფროსის, მიხეილ ჯორბენაძის თქმით, სამივე მეტოქე ავსტრიულია — „ალტახი“, „ლინცი“ და „ზალცბურგი“. აქედან მხოლოდ ამ უკანასკნელს არ აქვს მიცემული საბოლოო პასუხი და თუ ზალცბურგელები ქართულ გუნდთან თამაშს არ დათანხმდებიან, მაშინ ქვემოქართლელებს სათადარიგო ვარიანტებს ბულგარული „ჩერნო მორე“, დანიური „აკადემისკი“ და რუმინული „ვიქტორია“ ჰყავთ შემონახული.

რაც შეეხება ცვლილებებს, რუსთავული გუნდი ცნობილია თავისი შემადგენლობის ნახევარწლიანი როტაციის ციკლით, თუმცა ამჯერად მსგავსი რამ არ მომხდარა. ჯერჯერობით, გუნდი მხოლოდ მეკარე გრიგოლ ჭანტურიამ და თავდამსხმელმა გიორგი ბერიაშვილმა დატოვეს.

უმაღლესი ლიგის გუნდებიდან ხვალ პირველ მატჩს გამართავენ ფოთის „კოლხეთი“ და „სამტრედია“. ორივე გუნდს უკიდურესად უჭირს როგორც ფინანსურად, ასევე სატურნირო ცხრილიდან გამომდინარე, მაგრამ როგორც ჩანს, უიმედოდ ყოფნას არ აპირებენ და სეზონს ადრიანად იწყებენ.

ერთია, ფოთელები ისევ პორტის იმედად არიან და დაპირებული თანხის გადარიცხვას ელოდებიან, ხოლო „სამტრედიამ“ საახალწლოდ ხაზინა 10.000 დოლარით შეივსო, რომელიც კლუბს კახა კალაძემ აჩუქა. თუმცა, როგორც ჩანს, ეს თანხაც არ არის საკმარისი ელემენტარული პირობებისთვის, რადგან როგორც შევიტყვეთ, „სამტრედია“ რამდენიმე ფეხბურთელმა უკვე დატოვა, თუმცა კონკრეტული გვარ-სახელები ჯერჯერობით არ ხმაურდება.

**მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა**

## შედეგები

### ფეხბურთი

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| ბარნსლი-ქოვენთრი | 2:1 |
| დერბი-მილუოლი | 0:0 |
| იფსვიჩი-ნოტინგემი | 0:1 |
| ქპრ-ბრისტოლი | 2:2 |
| კრ.პალასი-პრესტონი | 1:0 |
| ლესტერი-სუონსი | 2:1 |
| მიდლსბრო-ნორვიჩი | 1:1 |
| პორთსმუთი-ჰალი | 2:3 |
| რედინგი-ბარნლი | 2:1 |
| სკანთორპი-უოტფორდი | 1:2 |
| შეფილდი-დონკასტერი | 2:2 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ატლეტიკო-რასინგი | 0:0 |
| ვილიარეალი-ალმერია | 2:0 |
| მალიორკა-ერკულესი | 3:0 |
| სარაგოსა-სოსიედადი | 2:1 |
| ხეტაფე-რეალი | 2:3 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 17 | 15 | 1 | 1 | 53-10 | 46 |
| 2.რეალი | 17 | 14 | 2 | 1 | 42-14 | 44 |
| 3.ვილიარ. | 17 | 11 | 3 | 3 | 32-14 | 36 |
| 4.ვალენსია | 17 | 9 | 4 | 4 | 26-20 | 31 |
| 5.ესპანიოლი | 17 | 9 | 1 | 7 | 19-24 | 28 |
| 6.ატლეტიკო | 17 | 8 | 3 | 6 | 27-19 | 27 |
| 7.ხეტაფე | 17 | 8 | 2 | 7 | 28-25 | 26 |
| 8.ბილბაო | 17 | 8 | 1 | 8 | 26-29 | 25 |
| 9.მალიორკა | 17 | 7 | 3 | 7 | 19-20 | 24 |
| 10.სევილია | 17 | 7 | 2 | 8 | 22-27 | 23 |
| 11.სოსიედადი | 17 | 7 | 1 | 9 | 23-28 | 22 |
| 12.დეპორტ. | 17 | 5 | 6 | 6 | 15-20 | 21 |
| 13.ერკულესი | 17 | 5 | 4 | 8 | 18-25 | 19 |
| 14.რასინგი | 17 | 5 | 4 | 8 | 13-23 | 19 |
| 15.ოსასუნა | 17 | 4 | 5 | 8 | 15-21 | 17 |
| 16.მალაგა | 17 | 5 | 1 | 11 | 22-36 | 16 |
| 17.ლევანტე | 17 | 4 | 3 | 10 | 19-28 | 15 |
| 18.სარაგოსა | 17 | 2 | 7 | 8 | 16-28 | 13 |
| 19.ალმერია | 17 | 2 | 7 | 8 | 15-27 | 13 |
| 20.ხიხონი | 17 | 2 | 6 | 9 | 13-26 | 12 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სალამანკა-ხერესი | 2:3 |

**პორტუგალია. თასი**

| | |
|---|---|
| სპორტინგი-ნავალი | 2:0 |
| ბრაგა-გიმარაეში | 3:1 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| სტ.მირენი-კილმანროკი | 0:2 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სელტიკი | 19 | 14 | 3 | 2 | 41:13 | 45 |
| 2.რეინჯერსი | 17 | 13 | 2 | 2 | 39:19 | 41 |
| 3.ჰართსი | 19 | 12 | 3 | 4 | 33:15 | 39 |
| 4.კილმანროკი | 19 | 9 | 3 | 7 | 32:21 | 30 |
| 5.ინვერნესი | 20 | 7 | 6 | 7 | 30:26 | 27 |
| 6.მოზერველი | 18 | 7 | 3 | 8 | 24:23 | 24 |
| 7.დანდი | 15 | 5 | 6 | 5 | 18:23 | 21 |
| 8.სტ.ჯონსონი | 18 | 6 | 3 | 9 | 13:25 | 21 |
| 9.აბერდინი | 19 | 5 | 2 | 12 | 19:38 | 17 |
| 10.ჰიბერნიანი | 19 | 4 | 4 | 11 | 21:32 | 16 |
| 11.სტ.მირენი | 19 | 4 | 4 | 11 | 17:33 | 16 |
| 12.ჰამილტონი | 17 | 2 | 5 | 10 | 11:30 | 11 |

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ორლანდო-გოლდენ სტეიტი | 110:90 |
| შარლოტი-მაიამი | 82:96 |
| ბოსტონი-მინესოტა | 96:93 |
| ნიუ ორლეანი-ფილადელფია | 84:77 |
| დენვერი-ჰიუსტონი | 113:106 |
| იუტა-დეტროიტი | 102:97 |

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| კაროლინა-ფლორიდა | 3:4(0:1ბ) |
| ტორონტო-ბოსტონი | 1:2 |
| კალგარი-აილენდერსი | 2:5 |
| ლოს ანჯელესი-ჩიკაგო | 3:4 |
| სან ხოსე-ვანკუვერი | 3:4 |

## დღის კალენდარი

**5 იანვრისთვის**



**წლის მე-5 დღე, ახალ წლამდე დარჩა 360 დღე.**

### საეკლესიო კალენდარი

**ოთხშაბათი**

ხსენება ათთა მოწამეთა კრეტელთა: თეოდულესი, სატორნინესი, ევპოროსი, გელასისა, ევნიკიანესი, ზოტიკესი, პომპისა, აღათოპუსესი, ვასილიდასი და ევარესტისა (VII), ღირსი ნიფონტისა — კვიპრელ ეპისკოპოსისა (IV). ღირსი პავლესი ნეოკესარიელ ეპისკოპოსისა (IV),

10 კრიტელი წმიდა მოწამე იმპერატორ დეკიოსის დროს ევნენ ქრისტეს სახელისათვის.

ღირსი მამა ნიფონტე, ეპისკოპოსი კვიპროსისა პაფლაგონიაში დაიბადა, განათლება კი კონსტანტინეპოლში მიიღო. სიჭაბუკეში ეშმაკს დაემონა და გარყვნილი ცხოვრება დაიწყო. ბოლოს ხანგრძლივი ლოცვა-ვედრებით შემობრუნდა სარწმუნოებისკენ. უკვე ხანდაზმულ ასაკში, როცა წმიდა ნიფონტე ალექსანდრიაში ჩავიდა, იგი კუნძულ კვიპროსის ქალაქ კონსტანციის მღვდელმთავრად იქნა დადგენილი.

ღირსი მამა პავლე, ეპისკოპოსი ნეოკესარიისა იმპერატორ ლიკინიუსის დროს ევნო ჭეშმარიტი რწმენისთვის, სამსჯავროზე მან მხნედ აღიარა რწმენა ქრისტესი და უარი თქვა კერპთა თაყვანისცემაზე. ამისთვის წარმართებმა სცემეს უმოწყალოდ, შემდეგ შიმშილითაც დიდხანს ამყოფეს, მაგრამ ვერ გატეხეს წმიდანის რწმენა. ბოლოს რკინით დაუშანთეს ხელები და მდინარე ევფრატის სანაპიროზე მდებარე საპყრობილეში ჩააგდეს.

### დაიბადნენ:

1519 — ეკატერინე მედიჩი, საფრანგეთის მეფე, ჰენრიხ II-ის მეუღლე. გარდაიცვალა 1589 წელს.

1863 „ მელიტონ ბალანჩივაძე, ქართული საოპერო მუსიკის ფუძემდებელი, გამოჩენილი კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1937 წელს.

1876 — კონრად ადენაუერი, გერმანელი პოლიტიკოსი. გარდაიცვალა 1967 წელს.

1921 — ფრიდრიხ დიურენმატი, შვეიცარიელი მწერალი. გარდაიცვალა 1990 წელს.

1938 — ხუან კარლოს I, ესპანეთის მეფე.

1948 — თემურ ბაბლუანი, კინორეჟისორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

1968 — ლეილა მესხი, ჩოგბურთელი.

1968 — გიორგი ბარამიძე, სახელმწიფო მინისტრი ევროპასთან და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, ვიცე-პრემიერ მინისტრი.

### გარდაიცვალნენ:

1589 — ეკატერინე მედიჩი, საფრანგეთის მეფე.

1933 — კალვინ ქულიჯი, ამერიკის შეერთებული შტატების 30-ე პრეზიდენტი, რესპუბლიკელი.

1970 — მაქს ბორნი, გერმანელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

### მოვლენები:

1875 — პარიზში გაიხსნა ეროვნული საოპერო თეატრის გრანდ-ოპერის„ შენობა.

1896 — გერმანელმა ფიზიკოსმა რენტგენმა მის მიერ აღმოჩენილი სხივების პირველი ჩვენება ჩაატარა.

1937 — ჩატარდა სსრკ-ს მოსახლეობის აღწერა. შედეგები არ გამოქვეყნებულა.

1957 — აშშ-ს პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა გამოაქვეყნა მისი სახელით ცნობილი დოქტრინა.

1971 — ისრაელმა, ეგვიპტემ და იორდანიამ განაახლეს სამშვიდობო მოლაპარაკებები.

**მედიანიუსი**

## კრწანისის რაიონის ნაწილს ელექტროენერგია შეეზღუდება

ქვესადგურში „ნავთლუღი 220“ საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მიერ სარემონტო სამუშაოების ჩატარების მიზნით, 5 იანვარს 10 საათიდან 11 საათამდე კრწანისის რაიონის მოსახლეობის ნაწილს ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეეზღუდება, — აცნობეს „მედიანიუსს“ „თელასიდან“

შეზღუდვა შეეხება: ზემო და ქვემო ფონიჭალის, გეოლოგების დასახლების, რუსთავის გზატკეცილის, ჟორდანიას, მარნეულის, ღოღობერიძისა და სურგულაძის ქუჩების მაცხოვრებლებს.

ელექტრომომარაგება აგრეთვე შეეზღუდება ტ4 მაცივარს, ელექტროშემდუღებელ და ასფალტის ქარხნებს. დაგეგმილი შეზღუდვის შესახებ, ამ ორგანიზაციებს „თელასმა“ წინასწარ უკვე აცნობა.

**მედიანიუსი**

## ქართველებს პოლონეთში მუშაობის უფლება ექნებათ

2011 წლის პირველი იანვრიდან საქართველოს, ბელორუსის, მოლდოვის, უკრაინისა და რუსეთის მოქალაქეები პოლონეთში მუშაობის უფლების ქონის გარეშეც იმუშავებენ.

ამის შესახებ განკარგულებას ხელი პოლონეთის შრომის მინისტრმა იოლანტა ფედაკმა მოაწერა. ახალი კანონმდებლობის მიხედვით, უცხო ქვეყნის მოქალაქეები პოლონეთში მუშაობას იმ შემთხვევაში შეძლებენ, თუ დამსაქმებლი შრომის სამმართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქის სამუშაოზე მიღების შესახებ, განაცხადს დაარეგისტრირებს.

**მედიანიუსი**

## მწერალთა კავშირი ძველ შენობაში ბრუნდება

მწერალთა კავშირი ძველ შენობაში, რომლიც მაჩაბლის ქუჩაზე მდებარეობს, იანვრის ბოლოსთვის დაბრუნდება. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელმა, მაყვალა გონაშვილმა განუცხადა. მისი თქმით, ძველი შენობა მწერალთა კავშირის „სახელმწიფოს კეთილი ნების და გადაწყვეტილების საფუძველზე უბრუნდება“.

— ამ შენობასთან დაკავშირებით უამრავი დავა და სასამართლო პროცესი გაიმართა, მიდიოდა მსჯელობა, უნდა ჰქონოდა თუ არა ძველი შენობა მწერალთა კავშირს. საბოლოო ჯამში სახელმწიფომ გამოიჩინა კეთილი ნებას და შენობა მწერალთა კავშირს უზურფუქტის წესით უბრუნდება, — განაცხადა გონაშვილმა.

ძველ შენობაში დაბრუნების შემდეგ მწერალთა კავშირის მფლობელობაში დარჩება ნუცუბიძის ქუჩაზე მდებარე „ეროვნული მწერალობის“ შენობა, სადაც ამ დროისთვის მწერალთა კავშირია განთავსებული.

— ის შენობა, სადაც ახლა ჩვენ ვართ განთავსებული, მწერალთა კავშირის მფლობელობაში დარჩება და ძველ შენობაში დაბრუნების შემდეგ, ახალგაზრდა მწერლებს დაეთმობათ. მასში სხვადასხვა სახის გამოფენები მოეწყობა, — აღნიშნა გონაშვილმა.

მაჩაბლის ქუჩაზე მდებარე შენობა მწერალთა კავშირს 2004 წელს ჩამოერთვა.

**ინტერპრესნიუსი**

## ტუბერკულოზის პრობლემის მოსაგვარებლად სპეციალური სარეჟიმო დაწესებულება აშენდება

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო ტუბერკულოზის პრობლემის მოსაგვარებლად სპეციალურ სარეჟიმო დაწესებულებას ქსანში აშენებს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სამინისტროში განუცხადეს, ახალი სარეჟიმო კორპუსი, რომლის მშენებლობაც 2012 წელს დასრულდება, ხელს შეუწყობს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ტუბერკულოზის პრობლემის მოგვარებას.

დაწესებულება 1000 ადგილიანი იქნება და პატიმრებს ტუბერკულიოზის დაავადების გამოვლენისთანავე მოათავსებენ. ისინი სასჯელს აღნიშნულ დაწესებულებაში მოიხდიან.

გარდა ამისა, სამინისტროში განმარტავენ, რომ რეკონსტრუქცია ჩაუტარდება და განახლდება ქსანში მდებარე ტუბერკულიოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაც.

სამკურნალო დაწესებულებაში ტუბერკულოზის მძიმე ფორმებით დაავადებული პირები გადაჰყავთ. სამინისტროში აცხადებენ, რომ აღნიშნულ დაწესებულებაში პატიმრებს მკურნალობა ტუბერკულიოზის ეროვნული პროგრამის ადეკვატურად უტარდებათ ისე როგორც სამოქალაქო კლინიკებში მკურნალობენ.

მათივე ინფორმაციით, დაწესებულებაში ყველა პაციენტს საკუთარი საწოლი აქვს და გადატვირთულობის პრობლემა არ არის.

სამინისტროს ინფორმაციით, სასჯელაღსრულების სისტემაში ტუბერკულიოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა რაოდენობა სტაბილურია და არ გაზრდილა. ტუბერკულიოზის პრობლემა მათი თქმით, მხოლოდ საქართველოს ციხეებში არ არის, ეს დაავადება სხვა ქვეყნების ციხეებშიც არსებობს. საქართველოს პატრიარქმა საკვირაო ქადაგებაში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არაჰიგიენურ მდგომარეობაზე და ტუბერკულიოზის პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება.

**ინტერპრესნიუსი**

## დიდ ლილოში არქივის თანამედროვე შენობა შენდება

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო დოკუმენტაციის ქაღალდის ვერსიის უსაფრთხოდ შენახვისა და დაცვის განსაკუთრებული აუცილებლობის გათვალისწინებით, დიდ ლილოში არქივის ახალ, თანამედროვე შენობას აშენებს. მისი საერთო ფართი 3000კვ. მეტრი იქნება.

როგორც „მედიანიუსს“ იუსტიციის სამინისტროდან აცნობეს, შენობაში ქვეყნის მასშტაბით არსებული სხვადასხვა ტიპის ქაღალდის დოკუმენტაცია, ასევე საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტაციის ნაწილი განთავსდება.

იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრმა არსებული საარქივო სისტემის წინასწარი შესწავლისა და ანალიზის შემდეგ დოკუმენტაციის სარქივო სტრატეგია შეიმუშავა, რომელიც მცირე დანახარჯებს ეფუძნება და უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, ასევე ქაღალდის დოკუმენტების ხანგრძლივი ვადით საუკეთესოდ შენახვას.

ახალი თანამედროვე საარქივო სისტემის შექმნის მიზანია არსებული ქაღალდის დოკუმენტაციის შენახვისათვის საუკეთესო, უსაფრთხო პირობების შექმნა. დიდ ლილოში არქივის თანამედროვე შენობის მშენებლობა გასულ წელს დაიწყო და მისი დასრულება 2011 წლის გაზაფხულისთვის იგეგმება.

**მედიანიუსი**

## სოფელ მელაანში ახალი სკოლა შენდება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, გურჯაანის რაიონის სოფელ მელაანში 200 ბავშვზე გაანგარიშებული თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სკოლა შენდება, რაზეც 1 მილიონი ლარი დაიხარჯება.

ახალი სკოლა 2011 წლის 15 სექტემბერისთვის შევა ექსპლუატაციაში, ამის შესახებ განცხადება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა გააკეთა, რომელმაც სოფელ მელაანში მშენებარე სკოლა სამინისტროს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორთან ირაკლი თოდუასთან ერთად დაათვალიერა.

ძველი სკოლის შენობა, რომელიც 1955 წელს იყო აშენებული, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში არ ფუნქციონირებდა. სკოლის 175 მოსწავლე გადანაწილებული იყო სოფლის ამბულატორიისა და სამედიცინო პუნქტის შენობებში, ბავშვებს სწავლისათვის სრულიად შეუფერებელ პირობებში უხდებოდათ სწავლა. ადგილი, სადაც მომავლის სკოლა აშენდება მეწყრულ ზონაშია, ამიტომ საძირკვლის შესწავლასა და შესაბამისი პროექტის მომზადებას წინ დიდი მოსამზადებელი სამუშაოები უძღოდა.

**მედიანიუსი**

## სამცხე-ჯავახეთში ისტორიული ძეგლების რეაბილიტაცია სრულდება

დასაწყისი მე-8 გვერდზე

გუმბათიანი ეკლესია. მისი გეგმა ძალზე რთულია. აქ მხატვრობა შედარებით კარგადაა დაცული. ტაძარი აგებულ იქნა თორის მფლობელ შალვა ერისთავთ-ერისთავ ახალციხელის მიერ. თორი შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კუთხე იყო. გეოგრაფიულად იგი მოიცავდა ახლანდელ ბორჯომის მუნიციპალიტეტს. სოფელ ტიმოთესუბანში მდებარეობს ხუროთმოძღვრების ეს ძეგლი. ამ ადგილას, ძველი მონასტრის ნანგრევებზე, XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე შალვა ახალციხელმა ააგო ყოვლაწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი. ნაგებია მოვარდისფრო „ქართული აგურით“. ჩახაზული ჯვრის ტიპის ცენტრალურ-გუმბათოვან ნაგებობას აღმოსავლეთ მხარეს სამი შვერილი აფსიდი აქვს. გუმბათის ყელი დაყრდნობილია ორ თავისუფლად მდგარ ბოძსა და საკურთხევლის კედლის შვერილებზე. მოგვიანებით დასავლეთ მხრიდან აგურის კარიბჭე მიაშენეს, სამხრეთიდან — გათლილი ქვისა. შიგნით ეკლესია მთლიანად მოხატულია. მხატვრობა შესრულებულია არაუგვიანეს XIII საუკუნის 20-იანი წლებისა და თამარ მეფის ეპოქის ბრწყინვალე ძეგლთა რიცხვს მიეკუთვნება. თავისი იკონოგრაფიული პროგრამა-შემადგენლობით იგი არაჩვეულებრივად მდიდარი და ტიპურად ქართულია. მოხატულობაში ცხადად განირჩევა სხვადასხვა ოსტატის ხელწერა. ისინი სტილისტური ერთიანობის ფარგლებში ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავისი მკვეთრი, სრულიად განუმეორებელი ხასიათით. ერთ-ერთ წარწერაში მოხსენებულია XII-XIII საუკუნეების გამოჩენილი ქართველი სამხედრო მოღვაწე შალვა თორელ-ახალციხელი, რომელსაც მიეწერება ტიმოთესუბნის მონასტრის გაფართოება, დიდი ტაძრის აგება და მოხატვა. ტაძრის ჩრდილოეთით სამონასტრო ნაგებობათა ნაშთია. შემონახულია აგრეთვე თლილი ქვით ნაგები დარბაზული ეკლესია. მონასტრის ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილია სხვადასხვა საყოფაცხოვრებო და საცხოვრებელი შენობების ნანგრევები. ცენტრალური ტაძარი ყოვლაწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობისაა და ქართული კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ძეგლია. გუმბათის ყელი შემკულია ლაჟვარდოვანი ჭიქური ფიალებით. ჩრდილოეთის მხრის ფანჯრები ამოშენებულია და მოხატული. ტაძრის მოხატულობა თარიღდება 1205-1215 წლებით (თამარ მეფის ეპოქა) და, თავის მხრივ, უნიკალურია. ტიმოთესუბნის ტაძარში ერთ-ერთი ყველაზე რთული მხატვრობაა თავისი პერიოდისათვის. ფრესკების დიდი ნაწილი შენარჩუნებულია. 2000-2006 წლებში ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის მიერ მათ ჩაუტარდა გაწმენდისა და გამაგრების სარესტავრაციო სამუშაოები. რესტავრაციის შემდეგ ამავე ცენტრმა ღვთისმშობლის ტაძარზე ჩატარებული პროექტი ევროგაერთიანების კულტურული მემკვიდრეობის პრიზზე — ევროპა ნოსტრას ჯილდოზე წარადგინა, რის შედეგაც პროექტმა ერთ-ერთი პრესტიჟული ჯილდო — მედალი მოიპოვა. ზემო, ჩრდილოეთის ტერასაზე, მდებარეობს პატარა, ერთნავიანი ბაზილიკა, წმინდა ბარბარეს სახელობის, ხოლო ცენტრალური ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთით შემორჩენილია ქვისგან ნაგები თაღოვანი საძვალე.



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ყაჩაღის, მძარცველის ძველებური სახელწოდება; 2. ქართული სამშენებლო კომპანია; 3. სამშობიარო სახლი ძველად საქართველოში; 4. ქერის პური; 5. ძალზე ხელმომჭირნე, ძუნწი ადამიანი; 7. გემის სამზარეულო; 11. რაიონული ცენტრი ქვემო ქართლში; 12. ქართული იუმორისტული ჟურნალი; 13. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 14. სარეკლამო ლოზუნგი; 15. აეროპორტი მილანში; 18; „ფორმულა-1“-ში მონაწილე ავსტრალიელი ავტომრბოლელი; 19. მდგომარეობა ჭადრაკში.

**თარაზულად:** 5. ბაზრის ძველი სახელწოდება; 6. უღელტეხილი აჭარაში; 8. იაპონური ჭიდაობა; 9. ფულის ერთეული ვიეტნამში; 10. კულინარიაში გამოყენებული ტროპიკული მცენარის გამხმარი, სურნელოვანი ნაყოფი; 11. სწორი ხაზი მათემატიკაში; 13. კორიდის ცხენიანი მონაწილე; 14. იმრე კალმანის ოპერეტა; 16. აზროვნების ორგანო; 18. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 20. ყვავილის მიერ გამოყოფილი ტკბილი წვენი; 21. ფულის ერთეული მონღოლეთში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ანორაკი; 2. „ბერიკები“; 3. ანთრაციტი; 4. ბარტერი; 5. კომპრომისი; 10. კათეტი; 11. ოპონენტი; 12. იდიოტია; 13. „დარნიცა“; 16. ინტერნეტი; 17. ჩუქურთმა; 19. ესკულაპი; 21. მალტა; 23. იარდი.

**თარაზულად:** 6. ანტვერპენი; 7. სადროშო; 8. პანიკა; 9. ბაზალეთი; 14. ტაშკენტი; 15. „ჰეინიკენი“; 18. ანტრე; 20. კუპლეტი; 22. ჰაიდუკი; 24. მალიბუ; 25. ბეჰემოტი; 26. ნადიმი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. სულორი; 2. პიკასო; 3. სორბონა; 4. „მალბორო“; 5. გეიმერი; 7. შავთელი; 11. „ბაფტა“; 12. ხანძთა; 13. ვაკუუმი; 14. მემფისი; 15. „ყოჩები“; 17. „სუძუკი“; 19. კომო.

**თარაზულად:** 5. გერუსია; 6. ჰიპოგეა; 8. სუვა; 9. პონტო; 10. ესკიმო; 11. ბუცი; 13. ვიქტორია; 14. მაფია; 16. ესაძე; 18. სტუკო; 20. სტიმული; 21. ბაიკერი.

# ავსტრალიაში წყალდიდობა გრძელდება




**ავსტრალიის ქალაქ როკჰემპტონის მოსახლეობა წინასწარ იყო გაფრთხილებული იმის შესახებ, რომ წყლის დონე უახლოეს მომავალში მაქსიმუმს მიაღწევდა.**

ხელისუფლების განცხადებით, ქალაქში დარჩენილ მოსახლეობას პირველ რიგში გველების და ნიანგების შიში უნდა ჰქონდეს.

როკჰემპტონის მეტი ნაწილი წყლით არის დაფარული. ქალაქში დარჩენილ მოსახლეობას წყალს და სურსათს სამხედრო ავიაცია აწვდის.

ხელისუფლების განცხადებით, ნაპირებიდან გადმოსული მდინარე ქვეწარმავლებით არის სავსე. ქვინსლენდის სხვა რაიონებში წყლის დონემ უკვე კლება იწყო და მოსახლეობა წყალდიდობის შედეგების ლიკვიდაციას შეუდგა.

ქვინსლენდის პროვინციაში გარე სამყაროს 20-მდე ქალაქი და დასახლებული პუნქტი იყო მოწყვეტილი. წყალდიდობით დაზარალებულ რაიონებში 200 ათასამდე ადამიანი ცხოვრობს.

საგანგებო მდგომარეობა, ხელისუფლების განცხადებით, კიდევ ერთ თვეს დარჩება ძალაში.

ამჟამად ქალაქი როკჰემპტონი წყალდიდობის ცენტრში იმყოფება. მდინარე ფიცროიში წყლის დონემ 9.2 მეტრით მოიმატა. მეტეოროლოგების თქმით, წყალმა კიდევ 20 სმ შეიძლება მოიმატოს და წყალდიდობა რამდენიმე კვირას გასტანს.

ხელისუფლებმა 500-მდე ოჯახი გახიზნეს, ზოგიერთმა მცხოვრებმა თავიანთი საკუთრების დატოვებაზე უარი განაცხადეს, რადგან მაროდიორობის რამდენიმე შემთხვევა აღინიშნა.

საევაკუაციო ცენტრში, რომელიც 1500 ადამიანზე იყო გათვლილი, 50-მდე ადამიანმა გაატარა ღამე.

როკჰემპტონისაკენ მიმავალი ერთადერთი გზა გარემო სამყაროსთან დამაკავშირებელ ერთადერთ მაგისტრალად რჩება, თუმცა, უახლოეს მომავალში ეს გზაც შეიძლება დაიკეტოს. ავსტრალიის პრემიერ-მინისტრმა ჟულია გილროდმა წყალდიდობას უდიდესი ბუნებრივი კატასტროფა უწოდა და განაცხადა, რომ დაზარალებულ რაიონებში მდგომარეობის აღდგენას მნიშვნელოვანი დრო დასჭირდება.

# ლუკაშენკოს ევროკავშირში შესვლას აუკრძალავენ

ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერები კავშირის 27 ქვეყანაში ბელორუსიის პრეზიდენტის, ალექსანდრ ლუკაშენკოს სტუმრობის აკრძალვის განახლებას აპირებენ. გასული წლის დეკემბერში პრეზიდენტის არჩევნებში მის გამარჯვებას ბელორუსიის ოპოზიციის მრავალი წარმომადგენლის ფიზიკური შეურაცხყოფა და დაპატიმრება მოჰყვა.

ევროკავშირის სანქციები არჩევნების ფალსიფიკაციაში დადანაშაულებული 40-მდე ბელორუსი თანამდებობის პირის მიმართ პირველად 2006 წელს შემოიღეს, 2008 წელს 36 მათგანს, მათ შორის ლუკაშენკოს ეს აკრძალვა მოუხსნეს.

ამჟამად ევროკავშირმა შესაძლოა ლუკაშენკოს კვლავ აუკრძალოს ევროკავშირში შესვლა, გარდა ამისა, შეაჩეროს ეკონომიკური დახმარება, რომლის მოცულობასაც მომავალი სამი წლის განმავლობაში 3 მილიარდი ევრო შეიძლება შეედგინა.

ამ განცხადებით შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილდტი ინტერნეტ საიტ „ეუობსერვერის" მიერ სამშაბათს გამოქვეყნებულ ინტერვიუში გამოვიდა.

გარდა ამისა, ბელორუსიისათვის სანქციების განახლების საკითხს გერმანიის მმართველი კოალიციაც იხილავს. ამ განცხადებით გერმანული გაზეთი „ზუდდოიჩე ცაიტუნგი" გამოვიდა.

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ბელორუსიის წინააღმდეგ სანქციების შემოღების საკითხს ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე მიმდინარე წლის 31 იანვარს განიხილავენ.

შვედი მინისტრის თქმით, ბელორუსიის მიმართ სანქციები მას შემდეგ შერბილდა, რაც ციხიდან რამდენიმე ოპოზიციონერი გაათავისუფლეს. ბილდტის თქმით, ევროკავშირი თავს ჩვეულ პოლიტიკას უნდა მიჰყვეს, რაც იმას ნიშნავს, რომ პოზიციის შერბილება ბელორუსიაში პოლიტპატიმრების გათავისუფლებას მოჰყვა, ამჯერად პოლიტპატიმრების რიცხვი გაიზარდა და შესაბამისად, ეს ევროკავშირში შესვლის აკრძალვის სიაში მოხვედრილებზე აისახება.

„ეუობსერვერის" თქმით, ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა სამინისტროები ამზადებენ იმ პირთა სიებს, ვისაც ევროკავშირში შესვლა შეიძლება აეკრძალოთ. ერთ-ერთი დიპლომატის თქმით, სიის წინასწარ ვარიანტში უკვე 100 პიროვნება მოხვდა.

ევროკავშირმა სხვა ზომებიც შეიძლება მიიღოს. ყოველ შემთხვევაში, ეკონომიკური დახმარების საკითხი დღის წესრიგში უკვე აღარ დგას.

ევროკავშირმა შეიძლება შეაჩეროს იმ პროექტების ფინანსირება, რომლებიც ბელორუსიის ხელისუფლებთან არის დაკავშირებული, იმავდროულად, გააფართოოს დახმარება, რომელიც ბელორუსიის არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის არის განკუთვნილი.

ეუთოს წარმომადგენლების მიერ არჩევნების კრიტიკის შემდეგ ბელორუსიის ხელისუფლებმა 31 დეკემბერს მინსკში ეუთოს წარმომადგენლობა დახურეს.

იმავდროულად, როგორც დიპლომატები აღნიშნავენ, ევროკავშირი არ აპირებს ისეთი ზომების მიღებას, როგორიცაა მაგალითად, არჩევნების შედეგების არცნობა, რადგან ბელორუსიის იზოლაციამ მინსკში რუსეთის გავლენის გაძლიერება შეიძლება გამოიწვიოს.

ბილდტმა ისიც აღნიშნა, რომ ლუკაშენკოს კრემლთან არც თუ ისე უღრუბლო ურთიერთობა აქვს.

ბილდტის თქმით, ლუკაშენკომ, როგორც ჩანს, ყველას ზურგი აქცია, მათ შორის ევროკავშირსაც. ბოლო წლებში ლუკაშენკო დასავლეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას აქტიურად ცდილობდა, მისი პოლიტიკის შედეგად იქცა სავიზო სანქციების გაუქმება, რის შედეგადაც მან ევროპის რამდენიმე ქვეყანაში ჩასვლა მოახერხა. რუსეთისა და ბელორუსიის ურთიერთობა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მრავალრიცხოვანი კონფლიქტებით აღინიშნა.

# ეგვიპტელი კოპტები ქუჩებში გამოვიდნენ




ეგვიპტის სპეცსამსახურების ასობით მოსამსახურე ალექსანდრიაში კოპტების ტაძრის დასაცავად არის მობილიზებული. ამ ტაძართან 1 იანვარს მომხდარი აფეთქების შედეგად 21 ადამიანი დაიღუპა და 70-მდე დაშავდა.

კვირას ალექსანდრიისა და კაიროს ქუჩებში კოპტების ტაძარზე თავდასხმით აღშფოთებული ათასობით ქრისტიანი გამოვიდა. ეგვიპტის ხელისუფლები ამ თავდასხმის პასუხისმგებლობას უცხოელებს აკისრებენ, თუმცა პოლიციის განყოფილებაში აფეთქებასთან კავშირში ეჭვმიტანილი რამდენიმე პირი მიიყვანეს.

კოპტები, ისევე, როგორც მართლმადიდებლები, შობის დღესასწაულს 7 იანვარს აღნიშნავენ და ამ თარიღთან დაკავშირებით ეგვიპტის სამართალდამცავი ორგანოები საგანგებო მზადყოფნაში მოიყვანეს.

კერძოდ, გამკაცრდა უსაფრთხოების ზომები აეროპორტებსა და საზღვაო პორტებში, გარდა ამისა, პრესის განცხადებით, მრავალ გზაზე დამატებითი საკონტროლო გამშვები პუნქტები აამოქმედეს.

მაღალი რანგის ეგვიპტელმა მუსლიმანმა სასულიერმა პირმა შეიხმა აჰმედ ტაიებმა რომის პაპი ეგვიპტის საშინაო საქმეებში ჩარევის გამო დაადანაშაულა.

შეიხ ტაიების თქმით, ეს ჩარევა მსოფლიო ლიდერებისადმი ბენედიქტ XVI-ის მიმართვაში მდგომარეობდა, რომლითაც პაპმა ეგვიპტელი ქრისტიანების დაცვა ითხოვა.

ალექსანდრიაში ვითარება ძალიან დაძაბულია. ეკლესიის მახლობლად, სადაც ახალ წელს აფეთქება და შემდეგ ახალგაზრდა კოპტებისა და პოლიციის დაპირისპირება მოხდა, სპეცქვეგანაყოფების თანამშრომლები მორიგეობენ. გარდა ამისა, ხელისუფლები შიშობენ, რომ კაიროში ახალი არეულობები შეიძლება მოხდეს. მანამდე წმინდა მარკოზის ტაძრის მახლობლად, ეგვიპტელი კოპტების ლიდერის, პაპ შენუდა III-ის რეზიდენციასთან მომხდარი შეტაკებების შედეგად 45 პოლიციელი დაშავდა.

ეგვიპტელ კოპტებს მიაჩნიათ, რომ ქრისტიანები ეგვიპტეში სრულიად დაუცველები არიან და მეორეხარისხოვან მოქალაქეებად ითვლებიან. მუსლიმანმა და კოპტმა სასულიერო პირებმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს და განაცხადეს, რომ ბოროტმოქმედებს ორ რელიგიურ სათვისტომოს შორის შუღლის გაღვივების უფლებას არ მისცემენ.

მიუხედავად ამისა, ეგვიპტის საზოგადოებაში ღრმა რელიგიური განხეთქილება არსებობს, რომელიც ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში უფრო ღრმავდებოდა.

მიმომხილველების თქმით, მრავალი კოპტი ეგვიპტიდან წასვლაზე ფიქრობს. მათი აზრით, არსებობს ეგვიპტიდან ეგვიპტელების გაძევების გეგმა და ამ გეგმის უკან „ალ კაიდა" დგას. მთავრობა ვითარებას ვერ აკონტროლებს.

ალექსანდრიაში მომხდარი აფეთქების პასუხისმგებლობა არც ერთ ორგანიზაციას არ უტვირთია. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ აფეთქების უკან დგანან ისლამისტები, რომლებიც „ალ კაიდას" ზეგავლენის ქვეშ მოხვდნენ.

ეგვიპტეში მოქალაქეების უმეტესობა მუსლიმანია. კოპტები და მართლმადიდებელი ქრისტიანები მოსახლეობის 1%-ს შეადგენენ. ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში მრავალი მუსლიმანი ამტკიცებს, რომ ქრისტიანულ ეკლესიაში ძალით აკავებენ პირებს, ვისაც ისლამის მიღება სურს, თუმცა ქრისტიანები ამ ბრალდებებს უარყოფენ.

# ირანმა უცხოელი დიპლომატები თავის ბირთვულ ობიექტებზე მიიწვია

ირანის ხელისუფლებმა გაეროს ატომურ სააგენტოსთან აკრედიტებული უცხოელი დიპლომატები თავის ბირთვულ ობიექტებზე მიიწვია.

მიწვეულთა შორის არიან ევროკავშირის, რუსეთის, ჩინეთის წარმომადგენლები, მაგრამ არა ამერიკელები.

ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების თქმით, ირანის ბირთვულ ობიექტებზე მიწვეული არიან ევროკავშირის რამდენიმე ქვეყნის, ჯგუფის „ხუთი პლუს ერთი" წევრები, აგრეთვე მიუმხრობელი ქვეყნების წარმომადგენლები.

თეირანის ინიციატივით, უცხოელი დიპლომატები ირანსა და ექვსი ქვეყნისგან, აშშ-ის, რუსეთის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და ჩინეთის, აგრეთვე გერმანიისგან შემდგარი ჯგუფის წარმომადგენლების მოლაპარაკებების დაწყებამდე მიიწვიეს.

ირანი აღნიშნავს, რომ მისი პროგრამა მხოლოდ მშვიდობიან მიზნებს ისახავს, თუმცა, დასავლეთის ქვეყნები ეჭვობენ, რომ ირანი ბირთვული იარაღის შექმნას ცდილობს.

ექვსი ქვეყნისა და ირანის მოლაპარაკებები თურქეთის ქალაქ სტამბულში იანვრის ბოლოს გაიმართება.

მანამდე, მსგავსი შეხვედრა ჟენევაში დეკემბრის დასაწყისში გაიმართა. მაშინ ევროკავშირის უზენაესმა წარმომადგენელმა საგარეო პოლიტიკის საკითხებში კეტრინ ეშტონმა ამ მოლაპარაკებას შინაარსიანი უწოდა.

ამ თავისებური ექსკურსიის პროგრამა გულისხმობს ისეთი ცნობილი ობიექტების დათვალიერებას, როგორიცაა ბუშერის ატომური ელექტროსადგური, აგრეთვე ნათანზში ურანის გამამდიდრებელი მიწისქვეშა საწარმო.

ირანის ბირთვული ობიექტები ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ინსპექციას ექვემდებარებიან, მაგრამ ამ შემთხვევაში თეირანმა ექსპერტები კი არა, დიპლომატები მიიწვია.

გაეროს უშიშროების საბჭომ ირანის მიმართ რამდენიმე სანქცია მიიღო, რითაც ცდილობდა აეძულებინა ირანი ურანის გამდიდრება შეეწყვიტა. მაღალი გამდიდრების ურანი ბირთვული იარაღისათვის გამოსადეგი ნედლეულია.

სტამბულში გამართული მოლაპარაკებების დროს ირანმა ურანის გამდიდრებასთან დაკავშირებული საკითხის განხილვაზე უარი განაცხადა.

*მოამზადა გენადი თვაურმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

წავიდა ჩვენგან დერმატო-ვენეროლოგთა საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი, დამსახურებული ექიმი-დერმატო-ვენეროლოგი

**ცაცა ვასილის ასული ტოტორია-უზნაძე**

ოჯახს დააკლდა შესანიშნავი, კეთილი, სათნო, ექიმთა საზოგადოებას კი — მრავალი თაობის აღმზრდელი, კოლეგებისა და პაციენტთა მიმართ გულისხმიერი პიროვნება.



უფალმა ნათელში ამყოფოს ქალბატონი ცაცას ზეცად ამაღლებული სული!

***სს კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები***

სს კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიული დიაგნოსტიკის განყოფილება ღრმა მწუხარებით ვიუწყებით, რომ ენრი და თინათინ უზნაძეებს გარდაეცვალათ დედა, დამსახურებული ექიმი

**ცაცა ვასილის ასული ტოტორია-უზნაძე**

სამძიმარსა და თანაგრძნობას ვუცხადებთ ოჯახის ნათესავებს, ახლობლებსა და მეგობრებს.

**მედეა (ნანანია) ლომთათიძის მონატრება**



ჩემო საყვარელო დედიკო, უკვე 6 თვეა, რაც აღარ გვყავხარ, აღარ ხარ შენს მეუღლესთან, შვილებთან და შვილიშვილებთან. ვიღაცისთვის შეიძლება ექვსი თვე ძალიან ცოტა იყოს, მაგრამ ჩვენთვის ეს საუკუნის ტოლფასია, რადგან ვეღარ ვხედავთ შენს ლამაზ სახეს, რომელიც ყოველთვის სიყვარულითა და სითბოთი იყო სავსე.

დედა, მინდა ახალი წელი მოგილოცო, მაგრამ ვერ ვახერხებ იმიტომ, რომ შენ წახვედი ამქვეყნიდან და უსაზღვრო ტკივილი დაგვიტოვე, არა მარტო შენს ოჯახს, არამედ მეგობრებს, ნათესავებსა და ყველა იმ ადამიანს, ვისაც ერთხელ მაინც უნახიხარ.

ჩემო უტკბილესო დედიკო, შენს საფლავზე 6 თვის განმავლობაში ყვავილი არ დამჭკნარა. ეს მამაჩემის დამსახურებაა, რომელსაც 45 წლის განმავლობაში გულწრფელად უყვარდი და ეყვარები სიცოცხლის ბოლო წუთამდე. მაგრამ უფალმა დროებით დაგაშორათ; ვიცი, ოდესმე შეხვდებით მარადისობაში და ისევ გეტყვის „ნანანია, მიყვარხარ!".

დედა, სანთლები, რომლებიც შენს სახელზე ინთება, გაგინათებს ცათა სასუფეველს და ღმერთი ნათელში ამყოფებს შენს საოცრად თბილსა და კეთილ სულს.

*უსაზღვრო მონატრებით, შენი ოჯახი*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**ოთხშაბათი 5 იანვარი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** დოკ. ფილმი "მსოფლიოს ოდისეები" **08.00** ან. ფილმი "ჯუმანჯი", "ადამიანი ობობა" **09.00** საბ. ფილმი **"ინდიელი კარადაში"** **10.50** ან. ფილმი "ჩარეცხილი" **12.00**, **16.00**, **20.00** მოამბე **12.30** მხ. ფ. **"უმცროსი სანტა"** **14.00** საბ. სერ. **"პინოქიო"** **15.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **17.00** სერ. **"საიდუმლო კუნძული"** **19.05** დოკ. ფ. "სანტა კლაუსი" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **22.00** "შინი" **00.30** მხ.ფ. **"ოცნების გოგონები"** (ბ. ნოულზი) (სუბტ.) **02.45** მოამბე **03.05** მხ. ფილმი **"დიდი ფსონი"** (12) (ბ. პიტი) **04.55** მხ. ფილმი **"მოპარული ჰარვარდი"** (12)

**08.00**, **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00**, **12.00**, **14.45**, **17,45**, **23.00** ბრიფინგის დროით **10.00**, **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00**, **16.00**, **19.00** დოკ. ფილმი "ეგვიპტე" **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **20.00** მხ. ფილმი **"გაიცანით კლაუსების ოჯახი"** **01.00** მხ. ფილმი **"სალაპარაკო თემა"** (12)

**08.00** ანიმაცია "დუმბო" **10.00** ანიმაცია "განძთა პლანეტა" **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00** კურიერი **12.15** მხ. ფილმი **"უკან მომავალში 3"** **14.30** "გუნცაძეები" მე-3 ს. **15.15** მხ. ფ. **"სანამ შენ გძინავ"** **17.30** დოკ. ფილმი "ჯემის ოჯახის შობა" **18.30** სერ. **"სისხლის საიდუმლო"** **18.50** სერ. **"დანიელა"** **19.50** სერ. **"სად არის ელისა"** **22.00** ქართ. მხ. ფილმი **"რაც ყველაზე ძალიან გიყვარს 2"** **00.00** მხ. ფილმი **"ანტარტიკა"** **02.00** მხ. ფ. **"მეფე მორიელი"** **04.00** მხ. ფილმი **"პოლიციელი ბევერლი ჰილზიდან 3"**

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "არგაი" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ. **"თოვლის დედოფალი"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** გადაცემა "მეექვსე გრნობა" (გან.) **15.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **16.00** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** კონცერტი: ქართული ხმები **22.00** მხ. ფილმი (სუბტ.) **00.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **02.00** მხ. ფილმი

**08.00** მხ. ფილმი **"სახლში მარტოდ დარჩენილი 2"** **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** **11.00**, **14.00**, **17.00**, **20.00** ქრონიკა **11.40** ტვ-მარკეტი **11.50** სერ. **"მეორე სიცოცხლე"** **13.00** სერ. **"ლობას საიდუმლო"** **14.40** წუთისოფელში **15.00** ინტუიცია **16.00** სერ. **"ლუნას მემკვიდრეობა"** **17.40** სერ. **"მოჯადოებული"** **18.45** სერ. **"ლობას საიდუმლო"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** კონცერტი: იუმორინა **23.00** "პრაიმ-მენიუ" **00.00** კონცერტი: თ. ყვითელაშვილი **01.15** მხ. ფილმი **"ამერიკელი ცოლი"** (ჯ. ბილი) (სუბტ.) **03.15** მხ. ფილმი **"წინასწარმეტყველი"** (12) (ნ. ქეიჯი) (სუბტ.) **05.15** მხ. ფილმი **"წყალქვეშა საპყრობილე"** (12) (ს. სიგალი) (სუბტ.)

**08.30**, **11.30**, **14.30**, **17.30**, **20.30**, **22.30**, **01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** სერ. **"დაუნების დედოფალი"** **10.30** დოკ. ფილმი **11.50**, **21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **13.00** ქართ. ფილმი **"საბუდარელი ჭაბუკი"** **15.00**, **18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"მოჯადოება"** **19.00** ქართ. ფილმი **"მხიარული რომანი"** **23.00** სერ. **"სალომეა"** **00.00** კონცერტი

ერთსულოვნება

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00**, **19.00**, **22.00**, **00.05** სიახლენი **10.30** დოკ. ფილმი "პატრიარქი ლოცავს საქართველოს" **10.55** მგზავრები წუთისოფლისა **11.20** დროის ჩანაწერები **11.55**, **14.55**, **17.55**, **20.55**, **23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **00.00** საგალობელი **12.05**, **15.05** საეკლესიო კალენდარი **12.20** ფილმი-ოპერა **"დაისი"** **13.45** კონცერტი **15.10** მხ. ფილმი **"კაცია ადამიანი"** **16.30** კვირიაკე **17.35** ახალი აღთქმის განმარტებანი **18.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **19.20** მხ. ფილმი **"პირველი მერცხალი"** **20.40** ძილი ნებისა **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.25** მოკლემ. ფილმი **"ბურთი და მოედანი"** **22.25** ჩვენ მშვიდობა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15**, **00.35** პერსპექტივა **01.35** გადაცემა "კარაბადინი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2010 წლის 5 იანვარს ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

აშშ დოლარი — 1,781

ევრო —2,4644

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7536

რუსული რუბლი — 0,0583

**ამინდის პროგნოზი 5 იანვრისთვის**

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 7-12, ღამით — 1-4

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 7-12, ღამით — 3-§

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — -2-§ღამით — -11-1







## ქართული ფლორის საოცრება „სალხინო“ უებარი წამალია

„სალხინო“ ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს“ ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს“ შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58.


## ასტროპროგნოზი 5 იანვრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!** გაგიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა.

**ვერძი** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **კურო** — პოზიტიური დღეა, თქვენი საქმე კარგად მიდის. **ტყუპები** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **კირჩხიბი** — პოზიტიური დღეა, თქვენი საქმე კარგად მიდის. **ლომი** — ეს დღე მშვიდად გაატარეთ, ზედმეტი აქტიურობა არ ღირს. **ქალწული** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **სასწორი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **ღრიანკალი** — პოზიტიური დღეა, იაქტიურეთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება. მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — პოზიტიური დღეა, იაქტიურეთ. **მერწყული** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **თევზები** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ქართული ტელესერიალი; 2. ქართველი საბავშვო მწერალი ქალი; 3. სისხლის სამართლის დანაშაული; 4. შაქრის შემცვლელი დიაბეტით დაავადებულთათვის; 5. საჭმელი სოკო; 10. ისრაელის კალათბურთელთა გუნდი; 11. გულის კედლის გარეთა ფენა; 12. ცხვრის საკრეჭი დიდი მაკრატელი; 13. დედამიწის ჩრდილო-პოლარული ზონა; 16. ლატვიის ძველი სახელწოდება; 17. საკონდიტრო ტკბილეული; 19. უბანი თბილისში; 21. ვარსკვლავთა კრებულის, თანავარსკვლავედის ქართული სახელწოდება; 23. პლასტიკურ და რიტმულ მოძრაობათა ხელოვნება.

**თარაზულად:** 6. შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 7. მღვდლის ცოლი; 8. ღვინის ვაჭარი ძველად; 9. ზოდიაქოს ნიშანი; 14. თამბაქოს მწარმოებელი კუბური ფირმა; 15. ორკუზიანი აქლემი; 18. ქათმის პროდუქტების მწარმოებელი ბრაზილიური ფირმა; 20. სახალხო მთქმელი, მომღერალი უკრაინაში; 22. ქართული რადიო; 24. ლითონის ფული; 25. უმაღლესი წოდება სამხედრო-საზღვაო ფლოტში; 26. შტატი აშშ-ში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




# ნინო ქათამაძემ ტაიმ აუტი აიღო



ეკა ირემაშვილი

მას შემდეგ, რაც ქართველმა მომღერალმა ნინო ქათამაძემ თავისი მორიგი ალბომი სახელწოდებით „რედ“ (წითელი) გამოუშვა და მისი პრეზენტაცია რუსეთში „კროკუს სითი ჰოლში“ გამართა, საგასტროლო ტურნე შეაჩერა და თავის ვაჟიშვილთან, პატარა ნიკოლოზთან ურთიერთობით ტკბება. ალბომი მომღერლისთვის რიგით მეოთხეა, მანამდე მან გამოუშვა ალბომები სახელწოდებით „შავი“, „თეთრი“ და „ცისფერი“.

ნინო ქათამაძე ბოლო პერიოდში აქტიურად ატარებს კონცერტებს რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში, უცხოეთსაც ხშირად სტუმრობს, სამაგიეროდ, მისი კონცერტები საქართველოში ყველას მოენატრა.

ნინო ქათამაძე, რომლის მუსიკალური ჟანრიც მისი ყველაზე ერთგული თაყვანისმცემლებისთვისაც კი გაუგებარია, ბოლო პერიოდში აქტიურად არის ჩართული საგასტროლო ტურნეში. რუსეთის, ბელორუსიის, ლიტვისა და ლატვიის სხვადასხვა ქალაქში ნინოს განსაკუთრებულად ელიან, ვინაიდან მისი შემოქმედება ყველასთვის განსაკუთრებულად ორიგინალურია. ნინომ ქართველი თაყვანისმცემლები „არტ გენზე“ შემოიკრიბა და თავისი პროგრამით ყველას ერთხმად ათქმევინა, რომ ეს იყო არტგენიალური კონცერტი. არტ გენის შემდეგ ნინო მშობლიურ ბათუმს ესტუმრა და კონცერტი გამართა. ის თავის დაბადების დღეზე გერმანიაში ჩავიდა და ალბომის აქტიური ჩაწერაც დაიწყო.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## იუმორი



— მომისმინე, რას ნიშნავს „წვის პროდუქტები“?

— ნუ, ეს ის ნივთიერებებია, რომლებიც წვის შედეგად მიიღება.

— თუ ასეა, „კვების პროდუქტები“ რაღას ნიშნავს?

***

— გოგონი, ეს კაბა ძალიან გასუქებთ.

— მე სულელი კი ფუნთუშებს ვაბრალებდი...

***

— ახალი სავარცხელი ხომ არ მეყიდა, ჩემსას კბილი მოტყდა.

— ერთი მოტეხილი კბილისათვის ახალი სავარცხელი უნდა იყიდო?

— ჰო, მაგრამ ბოლო იყო...

***

— გუშინ ლექციაზე შევიტყვე, რომ კოცნა არაჰიგიენური და სახიფათოა, გჯერა?

— რა თქმა უნდა, აი, გუშინ ჩვენი დირექტორის გოგოს ვაკოცე, ორი წინა კბილი და სამუშაო დავკარგე...

***

— მე ყველა თითით ბეჭდვა ვისწავლე.

— მართლა? მე კი მხოლოდ ათი თითით ვბეჭდავ...

გ. თ.

# გიორგი ცინცაძე ესტონეთის თასის მფლობელია



საქართველოს ნაკრებისა და ესტონური „ტარტუ როკის“ გამთამაშებელმა გიორგი ცინცაძემ 2011 წელი წარმატებულად დაიწყო და ესტონეთის თასის მფლობელი გახდა.

ჩვენებურის გუნდმა ნახევარფინალში 76:65 დაამარცხა ტტ და ფინალში „რაკვერეს“ დაელოდა, რომელმაც თავის მხრივ 82:74 მოულოდნელად გასული სეზონის ჩემპიონ „კალევს“ სძლია.

ნახევარფინალში ცინცაძემ თამაში სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო და მოედანზე 23 წუთი გაატარა. ამ დროში ჩვენებური გუნდს 5 ქულით, 3 მოხსნითა და 4 პასით შეეწია.

ფინალში კი „როკმა“ დიდი ანგარიშით, 81:51 იმარჯვა და თასიც დაისაკუთრა. ფინალი ცინცაძემ სათადარიგოთა სკამიდან დაიწყო, მაგრამ მოედანზე 22 წუთი მაინც დაჰყო, რომლის განმავლობაში როკერებს 5-5 ქულა-პასითა და 2 მოხსნით დაეხმარა.

ამრიგად, „როკმა“ ამ სეზონში უკვე მეორე ჯილდო მოიგო — ბალტიის თასის შემდეგ ცინცაძემ ესტონეთის თასიც აღმართა. აღსანიშნავია, რომ როკერებს ტრიპ-დაბლის გაკეთების შანსიც აქვთ, რადგან ჩემპიონატშიც ფავორიტებად ითვლებიან.

შეგახსენებთ, რომ ცინცაძეს ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, რამდენიმე კლუბი აქვს გამოცვლილი, მაგრამ ყველაზე უკეთ სწორედ ესტონურ კლუბში თამაშობდა, რომლის შემადგენლობაში 2007-08 წლებში ორჯერ გახდა იქაური ჩემპიონი. „ბუს“ (ცინცაძის მეტსახელი) 2006 წელს მოსკოვის „დინამოს“ შემადგენლობაში ულების თასიც მოუპოვებია, თუმცა გუნდის შემადგენლობაში იშვიათად ჩნდებოდა.

მ. ჟ.

# ქართველი რეჟისორი ჩერნობილის ტრაგედიაზე ფილმს იღებს

ეკა ირემაშვილი

რუსეთში მოღვაწე ქართველი რეჟისორი ალექსანდრე მინდაძე უკრაინაში ახალი ფილმის „შაბათს“ გადაღებას შეუდგა. უკრაინულ-რუსულ-გერმანული ფილმი ჩერნობილის ტრაგედიას ეძღვნება. ფილმის მოქმედება 1986 წლის 26 აპრილს შაბათს, ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი ავარიის შემდეგ ვითარდება.

— ჩერნობილის კატასტროფა — 1986 წლის 26 აპრილს უკრაინის ტერიტორიაზე მდებარე ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის მეოთხე ბლოკის ავარიაა. ავარიის დროს ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე მუშაობდა ოთხი რეაქტორი. ეს იყო ბირთვულ მოვლენათა საერთაშორისო შკალით მეშვიდე დონის ერთადერთი შემთხვევა ისტორიაში. ბირთვული აფეთქების შედეგად რეაქტორი მთლიანად დაინგრა, რამაც მისი მიმდებარე ვრცელი ტერიტორიის რადიოაქტიური დაბინძურება გამოიწვია. ის შეფასებულია, როგორც უდიდესი ავარია ატომური ენერგეტიკის ისტორიაში როგორც დაღუპულთა და მისგან დაშავებულ ადამიანთა რაოდენობით, ისე ეკოლოგიური დაბინძურებითა და ეკონომიკური ზიანით. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს არ არის ხელწამოსაკრავი თემა და ამაზე ყველამ ერთად უნდა ვიფიქროთ. სწორედ ამიტომ დავიწყეთ ფილმის გადაღება, სადაც დეტალურად გადმოვცემთ ყველაფერს, — განაცხადა ფილმის რეჟისორმა ალექსანდრე მინდაძემ.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## ტესტი

# რამდენად გაქვთ განვითარებული ინტუიცია



***1. მიგაჩნიათ, რომ მიმიკა და ჟესტები არის:***

ა. სულიერი მდგომარეობის სპონტანური გამოვლინება. ბ. საუბრის დამატება. გ. ქვეცნობიერის გამოვლინება.

***2. მიგაჩნიათ თუ არა, რომ ქალებში მიმიკა უფრო გამომსახველია, ვიდრე მამაკაცებში?***

ა. დიახ. ბ. არა. გ. არ ვიცი.

***3. როგორ ესალმებით მეგობრებს.***

ა. გამარჯობას ეუბნებით ბ. ხელს ართმევთ. გ. ეხვევით.

***4. შეიძლება თუ არა მიმიკის გაკონტროლება.***

ა. დიახ. ბ. არა. გ. მხოლოდ მისი ცალკეული ელემენტებისა.

***5. მიგაჩნიათ თუ არა, რომ თქვენი ჟესტების უმეტესობა:***

ა. ვიღაცისგან არის გადაღებული. ბ. თაობიდან თაობას გადაეცემა. გ. ბუნების მიერ არის განსაზღვრული.

***6. თქვენი აზრით, წვერი არის:***

ა. ვაჟკაცობის ნიშანი. ბ. სახის ნაკვთების დამალვის საშუალება. გ. სიზარმაცის ნიშანი.

***7. ზოგი ამტკიცებს, რომ სახის მარჯვენა და მარცხენა ნაწილები ერთმანეთისგან განსხვავდება. იზიარებთ?***

ა. დიახ. ბ. არა. გ. მხოლოდ ხანდაზმულებში.

***8. თუ შეიძლება გარეგნობის მიხედვით ტიპური დამნაშავის ამოცნობა?***

ა. დიახ. ბ. არა, გ. არ ვიცი.

***9. მამაკაცი ქალს ესაუბრება. ამას იმიტომ აკეთებს, რომ:***

ა. პირველი ნაბჯი მამაკაცმა უნდა გადადგას. ბ. ქალი ქვეცნობიერად ანიშნებს, რომ სურს გამოელაპარაკონ. გ. არ ეშინია უარის მიღებისა.

*პასუხები შეაფასეთ ა. 1 — ქულა ბ. 2 — ქულა გ. 3 — ქულა*

**პასუხები**

**9-15 ქულა:** თქვენ შესანიშნავი ინტუიცია გაქვთ, ადამიანებისა შესანიშნავად გესმით, სიტყვებზე უფრო მეტად თქვენს ალღოს და დაკვირვებულობას ენდობით. ხანდახან თქვენი დასკვნები ნაჩქარევია და შეიძლება შეცდომა დაუშვათ.

**16-21 ქულა:** გარკვეულ სიამოვნებას განიჭებთ სხვა ადამიანებზე დაკვირვება. კარგად ერკვევით მიმიკასა და ჟესტებში, მაგრამ ჯერ კარგად არ იცით მიღებული ინფორმაციის რეალურ ცხოვრებაში გამოყენება.

**22-27 ქულა:** ჟესტებისა და მიმიკის ენა თქვენთვის გაუგებარია. გიჭირთ ადამიანების სწორად შეფასება. არა იმიტომ, რომ ეს არ შეგიძლიათ, უბრალოდ, სათანადო ყურადღებას არ უთმობთ მათ.

გ. თ.